



სექსუალური უევიწროება-  
ქალთა „უჩინარი“  
დისკრიმინაცია

კვლევის ანგარიში

სოციალური ცვლილების მხარდამჭერები

სექსუალური შევიწროება-  
ქალთა „უჩინარი“  
დისკრიმინაცია

კვლევის ანგარიში

თბილისი, 2015

წინამდებარე ანგარიში ეხება ქალების სექსუალურ შევიწროებას, რომელიც გენდერული დისკრიმინაციის ნაკლებად ხილულ და რთულად იდენტიფიცირებად ფორმას წარმოადგენს. მიუხედავად „უჩინარი“ ხასიათისა, სექსუალური შევიწროება მეტად გავრცელებული, ქალთა უფლებებისა და ღირსების შემლახველი სოციალური პრაქტიკაა, რომელიც მათ სერიოზულ წინააღმდეგობებს უქმნის, როგორც პროფესიული განვითარების, ასევე საზოგადოებრივ სივრცეში თავისუფლად გადაადგილების მხრივ. აღნიშნული ანგარიში მოიცავს სამუშაო ადგილებსა და საჯარო სივრცეში ქალთა სექსუალური შევიწროების ამხსნელი თეორიების მიმოხილვას და სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებაში საერთაშორისო და ქართული სამართლებრივი ნორმების ანალიზს. ანგარიშის კვლევითი კომპონენტი კი მიმოხილავს ქართველი დასაქმებულების დომინანტურ წარმოდგენებსა და დამოკიდებულებებს ქალთა სექსუალური შევიწროების მიმართ და ქალების, სამუშაო ადგილებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, შევიწროების პირად გამოცდილებას.

კვლევითი პროექტი განხორციელდა „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს ფინანსური მხარდაჭერით, რომლის მიზანია საქართველოში ქალების გაძლიერება მათი უფლებების განხორციელების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი სრულფასოვანი ჩართულობისა და მათი ფინანსური და ტექნიკური დახმარების გზით.

კვლევის ავტორების მიერ წარმოდგენილი ხედვა და მოსაზრებები არ გამოხატავს აუცილებლად „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს პოზიციას. ამდენად, „ქალთა ფონდი საქართველოში“ არ არის პასუხისმგებელი კვლევის ანგარიშის შინაარსზე.



კვლევითი პროექტის ავტორი: *მარიამ ამაშუკელი*

სამართლებრივი ანალიზის ავტორი: *ლია ჯვალაღანი*

კვლევის ასისტენტები: *ალა პარუნოვა,*  
*ლილი მამულაშვილი,*  
*ანა ქეიშვილი*

სამეცნიერო რედაქტორი: *ელენე ჯაფარიძე*

© სოციალური ცვლილების მხარდამჭერები, 2015

ISBN 978-9941-457-17-3

# სარჩევი

<b>ნანილი I</b> .....	6
შესავალი .....	6

## **თავი 1. საქსუალური შევინროება**

<b>ევროკავშირის ქვეყნებში</b> .....	12
1.1. კვლევის ძირითადი შედეგები .....	15
1.2. ქალების სექსუალური შევინროების პროფესიული და სხვა რისკ-ფაქტორები .....	16
1.3. რეაქცია სექსუალურ შევინროებაზე .....	19
1.4. FRA-ს შეფასებები და რეკომენდაციები .....	20

## **თავი 2. საქსუალური შევინროების**

<b>ამხსნელი თეორიები</b> .....	21
2.1. სოციოკულტურული თეორია .....	22
2.2. ორგანიზაციული თეორია .....	23
2.3. გენდერული როლების გადანაცვლების თეორია ..	24
2.4. ბიოლოგიური თეორია .....	25
2.5. სოციალურ-კოგნიტური თეორიები .....	26
2.6. მრავალფაქტორიანი თეორიები .....	28

## **თავი 3. ქალთა საქსუალური შევინროება**

<b>სამუშაო ადგილზე</b> .....	29
3.1. სექსუალური შევინროების კატეგორიები და ფორმები .....	33
3.2. შემვინროებელი და მსხვერპლი .....	36
3.3. სამუშაო ადგილზე სექსუალური შევინროების რეგულირება საქართველოსა და უცხო სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში .....	37
3.4. პასუხისმგებლობის საკითხი .....	44
3.5. მტკიცების ტვირთი .....	48
3.6. ზიანის ანაზღაურება და სანქციები .....	49
3.7. დასკვნები და რეკომენდაციები .....	52

<b>თავი 4. სამუშაო ადგილზე საქსუალური შევიწროების მიმართ დასაქმებული ქართველი ქალებისა და კაცების დამოკიდებულებებისა და პირადი გამოცდილების კვლევა</b> .....	53
კვლევის მეთოდოლოგია .....	53
4.1. დასაქმებულ ქალებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგები: წარმოდგენები გენდერულ დისკრიმინაციაზე .....	54
4.2. სამუშაო ადგილზე გენდერული დისკრიმინაციის ცნობიერება და გამოცდილება ....	56
4.3. საქსუალური შევიწროების აღქმა .....	59
4.4. სამუშაო ადგილზე გენდერულ დისკრიმინაციასთან გამკლავება .....	64
4.5. დასაქმების ადგილზე შევიწროების გამოცდილების მქონე ქალებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს შედეგების მიმოხილვა ...	67

<b>თავი 5. საქსუალური შევიწროების მიმართ დასაქმებული კაცების დამოკიდებულების კვლევის ძირითადი მიზნები</b> .....	77
5.1. წარმოდგენები თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ .....	77
5.2. გენდერული დისკრიმინაციის აღქმა .....	78
5.3. დამოკიდებულება სამუშაო ადგილზე ქალების შევიწროების მიმართ .....	81

<b>ნანილი II</b> .....	87
<b>თავი 6. ქალაქის სექსუალური შვიწწროება</b> <b>საზოგადოებრივ სივრცეში</b> .....	87
<b>თავი 7. საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური</b> <b>შვიწწროების რეგულირების პრობლემები</b> .....	91
7.1. საერთაშორისო სტანდარტი .....	98
<b>თავი 8. საზოგადოებრივ სივრცეში ქალთა</b> <b>სექსუალური შვიწწროების რაოდენობრივი</b> <b>და თვისებრივი კვლევის შედეგები</b> .....	102
მეთოდოლოგია .....	102
8.1. სექსუალური შვიწწროების ცნობადობა .....	103
8.2. სექსუალური შვიწწროების ფორმების მიმართ დამოკიდებულება და მათი აღქმა .....	106
8.3. ქალის სექსუალური შვიწწროების განმაპირობებელი მიზეზები .....	110
8.4. სექსუალური შვიწწროების პერსონალური გამოცდილება და მისი შედეგები .....	116
8.5. გადაკიდება და მისი განვითარების ფაზები .....	121
8.6. რეაქცია სექსუალურ შვიწწროებაზე .....	123
8.7. კორექტირებული ქცევა .....	129
8.8. სექსუალური შვიწწროების თავიდან არიდების შესაძლებლობები .....	131
<b>თავი 9. ქუჩაში შვიწწროების რეგულირება</b> <b>საქართველოში</b> .....	134
<b>თავი 10. შიმაჯამბაელი დასკვნა და</b> <b>რეკომენდაციები</b> .....	139
<b>ბიბლიოგრაფია</b> .....	143

# ნაწილი I

## შესავალი

სექსუალური შევიწროება ქალთა სტრუქტურული ჩაგვრის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს და ქალის ღირსების შელახვასა და მისთვის მტრული, შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნაზეა მიმართული (Buker, 1998; Seigel 2003; McCann, 2005; Berdahl, 2007). სექსუალური შევიწროება სექსუალური ძალადობის ფორმაა, რომლის ობიექტი, მეტწილად, ქალები არიან, ხოლო შემვიწროებლები – კაცები<sup>1</sup>.

ქალები ფართო სპექტრის სექსუალურ ძალადობას განიცდიან, დაწყებული შედარებით „მსუბუქი“ ფორმით, დამთავრებული ისეთი მძიმე ფორმით, როგორც არის გაუპატიურება და მკვლელობა. სექსუალური ძალადობის „მსუბუქ“ ფორმებში სამუშაო და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სექსუალურ შევიწროებას მოიაზრებენ. ორივე მათგანი გენდერით განპირობებული მოვლენაა და ერთმანეთის მსგავსი ელემენტებისგან შედგება (Fileborn 2013).

სექსუალური შევიწროება ერთგვარი საშუალებაა ქალების მათთვის „განკუთვნილ“ ადგილზე შესანარჩუნებლად, რაც სუბორდინირებული სოციალური სტატუსის შენარჩუნებას ნიშნავს. ერთი მხრივ, სექსუალურ შევიწროებას სოციალური კონტროლის ფუნქცია გააჩნია, ვინაიდან ის პრივატულ თუ საზოგადოებრივ სივრცეში ქალების ქცევას და გადაადგილებას აკონტროლებს; მეორეს მხრივ, სექსუალური შევიწროება „სექსუალური ტერორიზმის“ გამოვლინებაა, რომელიც ქალებს

1 European Union Agency for Fundamental Rights (2014). Violence against women: an EU-wide survey. Available at: <http://fra.europa.eu/en/project/2012/fra-survey-gender-based-violence-against-women>. GFK (2014). Unsafe and harassed in public space: a national street harassment report. Available at: <http://www.stopstreetharassment.org/our-work/nationalstudy/>

სექსუალურ ობიექტებად მოიაზრებს, ართმევს რა მათ ავტონომიას საკუთარ სექსუალობასა და სხეულზე და ამდენად, აშინებს, ემუქრება და ვნებს ქალებს (Fileborn 2013).

სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილებსა და ქუჩაში გენდერული დისკრიმინაციის ნაკლებად ხილულ და რთულად იდენტიფიცირებად ფორმას წარმოადგენს. მიუხედავად „უჩინარი“ ხასიათისა, სექსუალური შევიწროება მეტად გავრცელებული<sup>2</sup>, ქალთა უფლებებისა და ღირსების შემლახავი სოციალური პრაქტიკაა, რომელიც მათ სერიოზულ წინააღმდეგობებს უქმნის, როგორც პროფესიული განვითარების/სამსახურეობრივი დაწინაურების თვალსაზრისით, ასევე საზოგადოებრივ სივრცეში თავისუფლად გადაადგილების მხრივ (Fileborn 2013).

გარდა ამისა, სექსუალური შევიწროების გამოცდილება ქალებს მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აგდებს, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება მათ შრომისუნარიანობაზე, ჯანმრთელობასა და ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე (Seigel 2003, McCann, 2005, Welsh et al. 2006).

Fairchild-ი და Rudman-ი (2008) აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მკვლევრები აქტიურად ცდილობენ, ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, სექსუალური შევიწროების მაქსიმალურად ამომწურავი განმარტება შეიმუშაონ. რიგი კვლევებისა და თეორიული მუშაობის საფუძველზე Gelfand et al. (1995) სექსუალური შევიწროების სამი ძირითადი კატეგორია განსაზღვრა:

**გენდერული შევიწროება** → ეს კატეგორია მოიცავს ვერბალურ და არავერბალურ ქცევის ფართო დიაპაზონს; ერთმნიშვნელოვნად, სექსუალური კონტაქტის დამყარებაზე ორიენტირებული არ არის, არამედ ქალის (კონკრეტული ქალის ან, როგორც წესი, ზოგადად, ქალების) დამცირებას, შეურაცხყოფას და მათ მიმართ მტრული დამოკიდებულების ქონას გულისხმობს. გენდერული შევიწროების გამოხატულებაა, მაგალითად, ხუმრობა/ანეგდოტი ან თუ-

---

2 Ibid.



ნდაც, ისეთი ნაბეჭდი მასალის ტირაჟირება, რომელიც ქალს სექსუალურ ობიექტად განიხილავს.

**არასასურველი სექსუალური ხასიათის ყურადღება** → შვეინროების უფრო მარტივად „ამოსაცნობი“ ფორმაა და ასევე შედგება ვერბალური და არავერბალური ქცევებისგან, დაწყებული შეხვედრაზე/პაემანზე განუწყვეტელი დაპატიჟებით, მომაბეზრებელი წერილებითა და სატელეფონო ზარებით, თვალთვალით, შეხებით და დამთავრებული თვითნებური სექსუალური ქცევითა და თავდასხმით. მიუხედავად დამაშინებელი ხასიათისა, შვეინროების აღნიშნული კატეგორია სექსუალური იძულებისგან განსხვავდება იმით, რომ ნაკლებად არის კავშირში შვეინროების ადრესატის სამსახურობრივ დანაკარგსა (მაგ., ჩამოქვეითება) თუ ნახალისება/დანინაურებასთან.

**სექსუალური იძულება** → წარმოადგენს სქესობრივი კავშირის დამყარებაზე პირდაპირ შეთავაზებას და/ან მის მოთხოვნას გარკვეული ტიპის სარგებლის მიღების სანაცვლოდ (მაგ., სამსახურობრივი დანინაურება ან მაღალი საგამოცდო ქულა სკოლაში/უნივერსიტეტში).

აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიებიდან ორი, გენდერული შვეინროება და სექსუალური იძულება, საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული და სამართლებრივად დარეგულირებულია: პირველი, როგორც მტრული სამუშაო გარემოს შექმნა და მეორე, როგორც QUID PRO QUO სექსუალური შვეინროება ანუ მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ.

სექსუალური შვეინროების „უჩინარი“ ხასიათი მისი იდენტიფიკაციის (აღმოჩენის) და დეფინიციის (განმარტების) სირთულით არის განპირობებული, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს იქიდან, რომ ყველა ადამიანი იდენტური ტიპის ქცევას სექსუალურ შვეინროებად არ აღიქვამს. კრიტიკრიუმში, რომელიც „ჩვეულებრივ“ ქცევას/ყურადღებას შვეინროებად აქცევს, არის ქცევის განმეორებითობა მიუხედავად ქალის უარისა (Buker, 1998). თუმცა, Buker-ი (1998) აღნიშნულ კრიტიკრიუმს სერიოზულ პრობლემად მოიაზრებს და ამის საფუძველ-

ზე კრიტიკულად აფასებს 1980 წელს დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების კომისიის (EEOC) სახელმძღვანელოს, რომელიც სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ფორმებს აკონკრეტებს (მტრული სამუშაო გარემო და QUID PRO QUO) და რომელშიც სიტყვები „შეურაცხყოფელი“ და „არასასურველი“ სექსუალური შევიწროების ფორმების განსაზღვრაში საკვანძო სიტყვებია. Buker-ის (1998) აზრით, ამგვარ სახელმძღვანელოს შეუძლებელია საკანონმდებლო ღირებულება ჰქონდეს, რამეთუ ინტერპრეტაციებისთვის დიდი სივრცე რჩება და რთული სათქმელია, კანონგარეშედ გამოცხადებას რომელი შემთხვევა „იმსახურებს.“ შესაბამისად, საკითხი დაიყვანება იმ გარემოებაზე, რომ ერთი ინდივიდი მეორესგან განსხვავებით, უხეშობის ან ზედმეტი ყურადღების მიმართ შედარებით უფრო მგრძობიარე შეიძლება აღმოჩნდეს. ამდენად, პრობლემურია ის ასპექტი, რომ კონცენტრირება ხდება არა ქცევაზე, რომელსაც შემვიწროებელი პირი ახორციელებს, არამედ ქცევის ადრესატის მიერ შემთხვევის შეფასებაზე (ინტერპრეტაციაზე). დამსაქმებელისთვის მის ორგანიზაციაში ქალის დასაქმების ერთ-ერთი დაბრკოლებაც სწორედ ეს არის ხოლმე, – დამსაქმებელს, ორგანიზაციაში მომხდარი კონფლიქტის საფუძველზე, პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, ჯარიმა შეიძლება დაეკისროს (Buker, 1998).

სექსუალური შევიწროება, როგორც სოციალური ფენომენი, ძირითადად, სამსახურთან ან სასწავლო დაწესებულებასთან ასოცირდება და ძალიან მცირე ყურადღება ექცევა ქალების შევიწროებას სამსახურს მიღმა ლოკაციებში ანუ საჯარო სივრცეში, მაგალითად, ქუჩაში, ტრანსპორტში, კაფე-ბარებსა და პარკებში. საზოგადოებრივ სივრცეში, განსხვავებით სამუშაო ადგილისგან, შემვიწროებელი სრულიად უცხო ადამიანია (Fairchild et al. 2008, Fileborn 2013). საერთაშორისო ლიტერატურაში საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას სხვადასხვა შესატყვისი აქვს. მაგალითად, “Street Harassment”, “Stranger Harassment” “Eve-teasing” (ინდოეთსა და ბანგლადეშში). სექსუალური შევიწროების ზევით განხილული კატე-

გორიების მსგავსად, საჯარო სივრცეში შევიწროებაც ვერბალური, არავერბალური და ფიზიკური ქცევით ვლინდება, დანყებული სექსუალური და/ან სქესზე მიმანიშნებელი შინაარსის ხმამალალი შეძახილებით, კომენტარებით, სტვენით, მიშტერებით, თვალთვალთ, დადევნებით, გადაკიდებით და დამთავრებული ფიზიკური შეხებითა თუ ფიზიკური ძალადობით (Fairchild et al. 2008, Fileborn 2013).

Fairchild-ი და Rudman-ი (2008) აღნიშნავენ, რომ სოციალური მეცნიერება და ფემინისტური ლიტერატურა, სხვა გენდერულ საკითხებთან შედარებით, საჯარო სივრცეში ქალთა სექსუალური შევიწროების მიმართ გულგრილია, რასაც რამდენიმე მიზეზით ხსნიან. გამომდინარე იქიდან, რომ ღია სივრცეში უცხო პირს (შემვიწროებელს) შეუძლია თვალის დახამხამებაში გაუჩინარდეს, მისი იდენტიფიცირება თითქმის წარმოუდგენელია; გარდა ამისა, ერთი მხრივ, არანაირი სამართლებრივი ნორმა არ არსებობს, რომელიც ქუჩაში სექსუალურ შევიწროებას არეგულირებს და, მეორეს მხრივ, ასეთი ნორმის განსაზღვრა საჯარო სივრცეში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხთან იკვეთება, რასაც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ სოციალური მხარდაჭერა ქონდეს (Fairchild, Rudman 2008).

Seigel-ი (2003) ავითარებს აზრს, რომ სექსუალური შევიწროება იმ ტიპის სოციალური სისტემის პროდუქტია, სადაც ოჯახის ინსტიტუტი და შრომითი ურთიერთობები ქალის სუბორდინაციის საკითხში გადამწყვეტ როლს თამაშობენ, და სადაც ქალსა და კაცს შორის სექსუალური ურთიერთობები ქალის კაცზე ფინანსური დამოკიდებულებით არის განპირობებული. სექსუალური შევიწროება ადამიანებს შორის ძალაუფლების განაწილებისა და ამის შედეგად, კაცების დომინანტობის მანიფესტაციაა, რასაც Seigel-ი (2003) „დომინანტობის ეროტიზაცია“-ს უწოდებს და მას ქალის ჩაგვრის ფართო კონტექსტში განიხილავს.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს 70-იანი წლების პერიოდზე ამერიკაში, როდესაც ქალების ისეთი მიმართულებებით დასაქმება მოხდა, რომელიც, ტრადიციულად, კაცის პრეროგა-

ტივად ითვლებოდა. ამგვარმა ცვლილებებმა სექსუალური შევიწროების პრაქტიკა კიდევ უფრო „მრავალფეროვანი“ გახადა. სამუშაო ბაზარზე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ახალი ფორმა აღმოცენდა, ე.წ. მტრული გარემოს შექმნა. Seigel-ი (2003) განმარტავს, რომ ქალებისთვის მტრული სამუშაო გარემოს შექმნა, ერთი მხრივ, ემსახურება ქალების იმ სამუშაო ადგილებიდან განდევნას, სადაც აქამდე მხოლოდ კაცები იყვნენ დასაქმებულები და, მეორეს მხრივ, ტრადიციული გენდერული როლების შენარჩუნებას, სექსუალური შევიწროება კი მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სექსუალური შევიწროება, როგორც გენდერული დისკრიმინაციის ფორმა, არა მხოლოდ საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპებიდან მომდინარეობს, არამედ აქტიურად გამოიყენებოდა და გამოიყენება ამ სტერეოტიპების გაძლიერებისა და კვლავწარმოებისთვის.

Berdahl-იც (2007) მიუთითებს სქესზე, როგორც სოციალური ორგანიზაციის საფუძველზე. ავტორის აზრით, მსოფლიოში დღეს არსებულ ყველა სოციო-კულტურულ სისტემაში სქესს სოციალური სტატუსის განსაზღვრაში დიდი როლი აქვს. ცნობილია ისიც, რომ ძნელად მოიძებნება საზოგადოება, სადაც კაცებს, ქალებთან შედარებით, მეტად ღირებული სოციალური სტატუსი არ გააჩნდეთ. გენდერული იერარქია გვხვდება სუბ-სისტემებშიც სხვადასხვა ორგანიზაციის სახით. ავტორი აღნიშნავს, რომ კაცები, გამომდინარე სოციალური პრივილეგიებიდან, უფრო მოტივირებულები არიან თავისი სუპერიორული პოზიცია დაიცვან და შეინარჩუნონ.

Berdahl-ის (2007) აზრით, სქესით განპირობებული შევიწროების პრაქტიკა, სწორედ, გენდერული სტატუსის დაცვის მიზნით ხორციელდება. შესაბამისად, შემვიწროებლის ადრესატი/ობიექტი უნდა იყოს ისეთი, რომელიც მიზნის მიღწევაში „ხელს შეუწყობს“. მაგალითად, ის ადამიანები, რომლებიც სქესთა შორის განსხვავებებსა და გენდერულ სტერეოტიპებს ეჭვქვეშ აყენებენ, აკრიტიკებენ გენდერულ იდეალებს ან გენდერული პრივილეგიების ილუზორულობასა და არაკანონიერ ხა-

სიათზე მიუთითებენ, სექსუალური შევიწროების რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ. ამდენად, შევიწროების ობიექტად, შესაძლოა, იქცეს, როგორც მაღალი თანამდებობის მქონე ქალი, ასევე კაციც. თუმცა, ქალების შემთხვევაში ამის ალბათობა უფრო მაღალია, რამეთუ მასკულინური დომინაციის პირობებში, ქალებს ძალაუფლება არ აქვთ. ზევით ხსენებულიდან გამომდინარე, Berdahl-ი (2007) მიიჩნევს, რომ სექსუალური შევიწროება განპირობებულია არა სექსუალური სურვილით, არამედ გენდერული იერარქიის დარღვევის აღკვეთის სურვილით.

ქალთა სექსუალური შევიწროების პრობლემის მასშტაბურობისა და გავრცელების თვალსაჩინოებას წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ევროკავშირის ქვეყნებში 2014 წელს ჩატარებული კვლევა.<sup>3</sup> კვლევის ანგარიშში ერთ-ერთი თავი სრულად ეთმობა ქალების სექსუალურ შევიწროებას და მისი გამოვლინების სხვადასხვა ფორმას. ქვემოთ გთავაზობთ აღნიშნული ქვეთავის მიმოხილვას.

### **თავი 1. სექსუალური შევიწროება ევროკავშირის ქვეყნებში<sup>4</sup>**

მოცემულ თავში წარმოდგენილია შედეგები, რომელიც ქალების სექსუალური შევიწროების გამოცდილებას ეხება. როგორც საერთაშორისო, ისე ევროკავშირის დონეზე არსებობს მრავალი იურიდიული ინსტრუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია სექსუალური შევიწროების განსაზღვრებები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტრუმენტები განსხვავდებიან, ძირითადი ფოკუსის თვალსაზრისით მიღწეულია შეთანხმება იმაზე, რომ სექსუალური შევიწროება არღვევს ქალსა და კაცს შორის თანასწორობის პრინციპებს და, მეორეს მხრივ, ხელს უშლის ამ პრინციპების რეალიზაციას. შესაბამისად, სექსუალური შე-

3 European Union Agency for Fundamental Rights (2014). Violence against women: an EU-wide survey. Available at: <http://fra.europa.eu/en/project/2012/fra-survey-gender-based-violence-against-women>

4 Ibid.

ვინროება აღიარებულია სქესის ნიშნით დისკრიმინაციად და წარმოადგენს სექსუალური ძალადობის ფორმას. აღნიშნული კვლევის ფარგლებში სექსუალური შევიწროება განისაზღვრა, როგორც „აქტები, რომლებიც უსიამოვნო ან არასასურველი იყო რესპონდენტებისათვის და რომლებსაც განიცდიდნენ, როგორც შეურაცხყოფელს ან სახიფათოს“.

ძალადობის სხვა ფორმების მსგავსად, სექსუალური შევიწროებაც ორი სხვადასხვა პერიოდის გამოყენებით გაიზომა: 15 წლის ასაკიდან მოყოლებული და კვლევაში უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. აღნიშნული ქვეთავი კვლევის ძირითად მიგნებებს გამოყოფს და მიმოიხილავს სექსუალური შევიწროების გამოვლენის ფორმებს, მის ინტენსივობას და შედეგებს ევროკავშირის მასშტაბით. აგრეთვე, წარმოდგენილია მონაცემები განმეორებადი ვიქტიმიზაციის შესახებ.

სექსუალურ შევიწროებაზე არსებული კვლევები, ძირითადად, სამუშაო ან სასწავლო გარემოში სექსუალური შევიწროების შემთხვევების შესწავლაზეა ფოკუსირებული.<sup>5</sup> ამის საპირისპიროდ, FRA<sup>6</sup>-ის კითხვარში შეტანილი იყო პუნქტები, რომელიც სექსუალურ შევიწროებას ეხებოდა განსხვავებულ კონტექსტსა და ვითარებაში და, შესაბამისად, არა მხოლოდ სამუშაო გარემოში. სხვადასხვა ქცევის აღმწერი პუნქტების დაჯგუფება შესაძლებელია შემდეგნაირად:

- ✓ **შევიწროების ფიზიკური ფორმები:** არასასურველი შეხება, ჩახუტება ან კოცნა;
- ✓ **შევიწროების ვერბალური ფორმები:** სექსუალური შინაარსის და/ან შეურაცხყოფელი შენიშვნები, კომენტარები ან ხუმრობები; უტაქტო, აბეზარი შეკითხვები პირად ცხოვრე-

5 European Commission (1998). Sexual harassment in the workplace in the European Union, European Commission Directorate – General for Employment, Industrial Relations and Social Affairs. Available at: <http://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/shworkpl.pdf>

6 European Union Agency for Fundamental Rights (2014). Violence against women: an EU-wide survey. Available at: <http://fra.europa.eu/en/project/2012/fra-survey-gender-based-violence-against-women>

ბაზე; უტაქტო და უსიამოვნო კომენტარები ქალის ფიზიკურ გარეგნობაზე;

- ✓ **შევიწროების არავერბალური ფორმები:** მიმტერება, დაჟინებით ყურება, ნების სანინაალმდეგოდ სექსუალური შინაარსის/პორნოგრაფიული ფოტოების, სურათებისა და საჩუქრების ჩვენება/ გაგზავნა; შიშველი სხეულის დემონსტრირება.

იქიდან გამომდინარე, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტების შეფასება ქალების პირადი გამოცდილების საფუძველზე ხდება, ამგვარი შეფასებები მთლიანად არის დამოკიდებული რესპონდენტების სუბიექტურ განცდა-გაგებაზე; კერძოდ, თუ რას მოიაზრებენ ისინი არასასურველ ან შეურაცხმყოფელ ქცევად. კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტები საკმაოდ განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ქცევებს აღიქვამენ სექსუალურ შევიწროებად.<sup>7</sup>

ევროკავშირის ნევრ ქვეყნებს შორის მიღებული განსხვავებები შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ფაქტორით და მათი კომბინაციით. აღმოჩნდა, რომ ქალების მიერ ქცევის სექსუალურ შევიწროებად სახელდება მჭიდრო კავშირშია სამსახურში არსებულ გენდერულ კულტურასთან (მაგ., არადისკრიმინაციული გარემო სამუშაო ადგილზე vs. კულტურა, რომელიც „ნაახალისებს“ შევიწროებას ორგანიზაციაში), ასევე იმ დომინანტურ სოციალურ ნორმებთან და ღირებულებებთან, რომელიც კონკრეტულ საზოგადოებაში (ქვეყანაში) არსებობს. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ სექსუალური შევიწროების აღქმაზე მოქმედებს რესპონდენტების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონე მოცემულ საკითხთან მიმართებაში.

---

7 Ibid.

## 1.1. კვლევის ძირითადი შედეგები

ევროკავშირის 28 წევრ ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ქალების 45%-55% (83-102 მლნ. ქალი), 15 წლის ასაკიდან მოყოლებული, სექსუალური შევიწროების ობიექტი გამხდარა. გამოკითხული ქალების 13%-21%-მა (24-29 მლნ. ქალმა) განაცხადა, რომ მათ სექსუალური შევიწროვება ინტერვიუს ჩატარებამდე 12 თვით ადრე გამოუცდია. იმ ქალების 32%, რომელიც სექსუალური შევიწროების ობიექტი (15 წლიდან მოყოლებული) მინიმუმ ერთხელ მაინც გამხდარა, შემვიწროებლად სამუშაო კონტექსტში მოქმედ აგენტებს ასახელებს (მაგ.: კოლეგა, უფროსი ან კლიენტი).

როგორც უკვე აღინიშნა, სექსუალური შევიწროება მრავალგანზომილებიანია და ქცევის ფართო სპექტრს მოიცავს (ფიზიკური ფორმებიდან დაწყებული, ვერბალური და არავერბალური ფორმებით დამთავრებული).

ევროკავშირის მოქალაქე ქალების 29%-ს განუცდია არასასურველი შეხება, ჩახუტება ან კოცნა 15 წლის ასაკიდან, რაც სექსუალური შევიწროების ყველაზე ხშირად განცდილი ფორმებია. ქალების 24% გამხდარა მათთვის შეურაცხმყოფელი სექსუალური შინაარსის კომენტარების ან ხუმრობების ადრესატი 15 წლის ასაკიდან. რაც შეეხება არავერბალურ სექსუალურ შევიწროებას, მაგალითად, გამოკითხული ქალების 11% აღნიშნავს, რომ მათ მიუღიათ არასასურველი, შეურაცხმყოფელი, სექსუალური შინაარსის ელექტრონული წერილები ან მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ან/და აღმოჩენილან გაუგებარი თავდასხმის ობიექტები სოციალურ ქსელში.

გამოკითხული ქალების 71%-მა აღნიშნა, რომ 15 წლიდან მოყოლებული მათი შემვიწროებელი არის მამაკაცი და მხოლოდ 2%-მა თქვა, რომ ქალის მხრიდან განუცდიათ შევიწროება. გამოკითხული ქალების 21%-მა შემვიწროებლად ორივე სქესის წარმომადგენელი დაასახელა. ეს შედეგები ცხადად მიანიშნებს იმაზე, რომ ქალის სექსუალური შევიწროება, მეტწილად, მამაკაცების მხრიდან ხორციელდება. რესპონდენტი ქალების 68%-მა აღნიშნა,



რომ შემვიწროებელს არ იცნობდნენ, 35%-ის შემთხვევაში კი შემვიწროებელი მათთვის ნაცნობი ადამიანი იყო. როდესაც ქალებმა აღწერეს ყველაზე სერიოზული შევიწროების შემთხვევები მათი ცხოვრებიდან, აღმოჩნდა, რომ ამ თემაზე უმრავლესობას არავისთან ულაპარაკია (35%), 28%-მა გაუზიარა მეგობარს, 24%-მა კი – ოჯახის წევრს ან ნათესავს, ხოლო 14%-მა ამის შესახებ თავის პარტნიორს შეატყობინა. მხოლოდ 4%-მა შეატყობინა ინციდენტის შესახებ პოლიციას, ასევე 4% დაელაპარაკა დამსაქმებელს ან უფროსს სამსახურში და 1%-ზე ნაკლებმა გაიარა კონსულტაცია იურისტთან, მსხვერპლთა მხარდამჭერ ორგანიზაციასთან ან სავაჭრო გაერთიანების წარმომადგენელთან.

## **1.2. ქალების სექსუალური შევიწროების პროფესიული და სხვა რისკ-ფაქტორები**

### **ასაკი**

ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანაში 18-29 წლამდე ქალები წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად ასაკობრივ ჯგუფს სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებაში. სამიდან ერთ ქალზე მეტს (38%), რომელიც ხვდება 18-29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, გამოუცდია სექსუალური შევიწროება ბოლო 12 თვის მანძილზე, 30-39 წლამდე ქალებში კი ამგვარი გამოცდილება ხუთიდან ერთ ქალს აქვს (24%). ამ ძირითადი ტენდენციის აღმოჩენა თანაბრად არის შესაძლებელი, როგორც ქვეყნების დონეზე, აგრეთვე სექსუალური შევიწროების ფორმების მიხედვით. გამონაკლისს წარმოადგენს ქცევა „მაიძულეს პორნოგრაფიული მასალის გაცნობა“, რაც ყველაზე ხშირად 40-49 ასაკობრივ კატეგორიაში გვხვდება (30%). ამასთანავე, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქალების ნახევარზე მეტი (53%), ვისაც სოციალურ ქსელებში და ვებ-გვერდებზე ამა თუ იმ ტიპის თავდასხმა გამოუცდია, 18-29 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები არიან (იმდენად, რამდენადაც ამ ასაკის ქალები ყველაზე ხშირად იყენებენ სოციალურ პლატფორმებს).

## **განათლება**

მართალია, სექსუალური შევიწროების ფაქტები თანაბრად არის გავრცელებული ყველა ტიპის განათლების ჯგუფში, მაგრამ ტენდენცია აჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქალები უფრო მეტად ხდებიან შევიწროების ობიექტები. მთლიანობაში, ორ მესამედზე მეტი ქალი, რომელთაც აქვთ ხარისხი უმაღლეს განათლებაში (69%) სექსუალური შევიწროების ობიექტი გამხდარა. მართალია, არსებული კვლევის მონაცემები არ არის გადამწყვეტი, მაგრამ არსებობს იმის დაშვების საფუძველი, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქალები უფრო ნაკლები ტოლერანტობით გამოირჩევიან სექსუალური შევიწროების მიმართ და, მეორეს მხრივ, უფრო მეტად არიან ინფორმირებულნი (თუნდაც, სამართლებრივი თვალსაზრისით) სექსუალური შევიწროების ფენომენის შესახებ.

## **დასაქმების სტატუსი და სამსახური**

მონაცემთა ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ქალების შრომის ბაზარზე მონაწილეობა კავშირშია სექსუალური შევიწროების გამოცდილებასთან. დასაქმების სტატუსის მიხედვით, რესპონდენტი ქალების ოთხი ჯგუფი გამოიყო: ქალები, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ გამოკითხვის დროს; ქალები, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ უკანასკნელი 12 თვის მანძილზე, მაგრამ ინტერვიუს მომენტში არ გააჩნდათ სამსახური (დროებით უმუშევრები); ქალები, რომლებიც ადრე მუშაობდნენ, მაგრამ არა უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში (უმუშევრები) და ქალები, რომელთაც არასდროს შეუსრულებიათ ანაზღაურებადი სამუშაო. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ დასაქმებული ქალები უფრო ხშირად განიცდიდნენ სექსუალურ შევიწროებას, ვიდრე უმუშევარი და ის ქალები, რომლებიც არასდროს ყოფილან დასაქმებული.

კვლევის შედეგების მიხედვით, სექსუალურ შევიწროებას ყველაზე მეტად მაღალი თანამდებობისა და სამსახურეობრივი პოზიციის მქონე ქალები განიცდიან: ტოპ მენეჯმენტში დასაქმებული ქალების 75% და სხვა მაღალ თანამდებობაზე მო-

მუშავე ქალების 74%-ს გამოუცდია სექსუალური შევიწროება ცხოვრების მანძილზე. ოთხიდან ერთ ქალზე მეტი, რომელსაც ზევით ხსენებული მაღალი სამსახურებრივი პოზიცია უკავია, უკანასკნელი 12 თვის მანძილზე გამხდარა სექსუალური შევიწროების ობიექტი. სექსუალური შევიწროების მაჩვენებელი ასევე მაღალია მომსახურების სექტორში: დასაქმებულ ქალთა ნახევარზე მეტი (61%) წარმოადგენს სექსუალური შევიწროების ობიექტს ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც. აღმოჩნდა, რომ ქალებისთვის დაჟინებული და უტაქტო კითხვების დასმა პირადი ცხოვრების შესახებ ყველაზე ხშირად სამუშაო გარემოში ხორციელდება თანამშრომლების მიერ (33%).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქალები, რომლებიც მამაკაცების მიერ დომინირებულ სამსახურებში მუშაობენ, უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, აღმოჩნდნენ შევიწროების ობიექტები, ვიდრე ისინი, ვინც გენდერულად დაბალანსებულ ან ქალებით დომინირებულ სამსახურში მუშაობენ. ამდენად, სექსუალიზირებული სამუშაო გარემო და ტოლერანტული დამოკიდებულება ასეთი ქცევების მიმართ, კიდევ უფრო აღვივებს, ამწვავებს და ზრდის სექსუალური შევიწროების განხორციელების ალბათობას.<sup>8</sup>

სახეზეა გარკვეული ვარიაციები სხვადასხვა ქვეყნის შედეგების მიხედვით. მართალია, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მონაცემები გათვლილია მთლიანად ევროკავშირში შემავალი ყველა ქვეყნის საშუალო მონაცემზე, მაგრამ სექსუალური შევიწროება მაღალი თანამდებობისა და პოზიციის მქონე ან /და მომსახურების სფეროში დასაქმებული ქალების მიმართ უფრო მეტად „დასავლეთ ევროპული“ ტენდენციაა. რაც შეეხება მობილურ სამსახურებში დასაქმებული ქალების (როგორც არის

8 მაგალითისთვის იხილეთ: European Commission (1998). Sexual harassment in the workplace in the European Union, Brussels, European Commission Directorate-General for Employment, Industrial Relations and Social Affairs, p. 26, and the Irish Presidency of the European Union in association with FG-SConsulting and Professor Aileen McGolgan (2004), Report on sexual harassment in the workplace in EU Member States, Department of Justice, Equality and Law Reform, Government of Ireland.

გამყიდველები ან მძღოლები) მიმართ განხორციელებული შევიწროების შემთხვევებს, უფრო მეტად აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი.

თუკი განმეორებადი ვიქტიმიზაციის ტენდენციას შევხვდავთ, 15 წლის ასაკიდან მოყოლებული ქალების 37%-ს გამოუცდია სექსუალური შევიწროების ორი ან სამი განსხვავებული ფორმა; 27%-ს ოთხი-ექვსი, ხოლო 8%-ს შვიდზე მეტი განსხვავებული ფორმა. ათიდან ერთი ქალი მაინც (10%) აღმოჩენილა მიშტერებისა და დაჟინებული მზერის ადრესატი (რომლის გამოც თავი შეურაცხყოფილად იგრძნო) 6-ზე მეტჯერ 15 წლის ასაკიდან მოყოლებული, ხუთიდან ერთი ქალი (19%) აღმოჩენილა არასასურველი შეხების, ჩახუტების ან კოცნის ობიექტი მინიმუმ 2-ჯერ, ხოლო ოციდან ერთ ქალს კი (6%) გამოუცდია ფიზიკური სექსუალური ძალადობის 6-ზე მეტი შემთხვევა. ქალების 5%-ის წინაშე 2-5-ჯერ გაშიშვლებულან და მოუხდენიათ შიშველი სხეულის დემონსტრირება. თუკი მოცემულ შედეგებს შევაჯამებთ, აღმოჩნდება, რომ უმრავლესობას სექსუალური შევიწროების ერთზე მეტი ფორმა გამოუცდია ცხოვრების მანძილზე.

### 1.3. რეაქცია სექსუალურ შევიწროებაზე

რესპონდენტი ქალებისთვის ბრაზი (45%), გაღიზიანება (41%) და სირცხვილის გრძნობა (29%) სექსუალურ შევიწროებაზე ყველაზე გავრცელებული საპასუხო ემოციური რეაქციები აღმოჩნდა. მოწყვლადობის/უსუსურობის განცდა ქონდა ქალების 20%-ს, 14%-ს შფოთვის და თავდაუჯერებულობის. თუმცა, ქალების უმრავლესობამ (55%) აღნიშნა, რომ სექსუალური შევიწროების შემთხვევებს მათთვის გრძელვადიანი ფსიქოლოგიური ზიანი არ მიუყენებია.

იმ რესპონდენტების უმრავლესობამ, რომელსაც არავისთვის გაუზიარებია სექსუალური შევიწროების გამოცდილება აღნიშნა, რომ მომხდარს თავად უმკლავდებოდა (52%). ეს შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ ქალების აზრით, სექსუალ-

ლური შევიწროების ფაქტები იშვიათად იმსახურებს გასაჯაროებას/გამჟღავნებას და რელევანტური კომპეტენციის მქონე პირების/უნწყების საქმის კურსში ჩაყენებას. აქედან გამომდინარე, რთული მისახვედრი არ არის, რომ შევიწროების შემთხვევები, რომლებსაც რესპონდენტები თავად არ მიაკუთვნებენ „ყველაზე სერიოზული ინციდენტის“ კატეგორიას, კიდევ უფრო იშვიათად აღწევს შესაბამისი კომპეტენციის უწყებამდე, სერვისებამდე და ა.შ., რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ადრესატი ქალისთვის ეს ინციდენტები ნაკლებ უსიამოვნო, შეურაცხმყოფელი ან არასასურველია.

საკმაოდ გამოხატული ტენდენცია იმისა, რომ ქალები ცდილობენ შევიწროების შემთხვევის სერიოზულობის გაუფასურებას, ნაწილობრივ აიხსნება იმ კულტურული კონტექსტით, რომელშიც ქალების სექსუალური შევიწროება, ყოველდღიური გენდერული ურთიერთობების ჭრილში, „ნორმალურ“ და ქალებისთვის „სასიამოვნო“ ყურადღებად მიიჩნევა.

#### 1.4. FRA-ს<sup>9</sup> შეფასებები და რეკომენდაციები

მოცემული შედეგების საფუძველზე FRA აცხადებს, რომ ბევრი ქალი საერთოდ არ საუბრობს სექსუალური შევიწროების გამოცდილებაზე და კიდევ უფრო მცირე ნაწილი აცნობებს მათი გამოცდილების შესახებ კომპეტენტურ ინსტიტუციებს. სწორედ, ამიტომ, დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა და სავაჭრო გაერთიანებებმა, რომელთაც დასაქმებულების უფლებების დაცვის ვალდებულება აქვთ, უნდა იზრუნონ სექსუალური შევიწროების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე და მეორეს მხრივ, უნდა წაახალისონ ქალები, რათა მათ შესაბამის უწყებებს მიმართონ ხოლმე.

არსებობს მსხვილი ევროპული სტრუქტურების მიერ შემუშავებული მრავალი სახელმძღვანელო, სადაც გამოყოფილ-

---

9 European Union Agency for Fundamental Rights (2014). Violence against women: an EU-wide survey. Available at: <http://fra.europa.eu/en/project/2012/fra-survey-gender-based-violence-against-women>

ია ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომლის გადადგმაც საჭიროა დამსაქმებლებისა და დასაქმებულების მიერ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და შემცირების მიზნით. აღნიშნული სახელმძღვანელოები რელევანტური ინსტრუმენტებია, რომლებიც უკეთესი და ქმედითი მექანიზმების განვითარება-დანერგვის საფუძველია.

ევროკავშირის ქვეყნები ნახალისებულნი არიან, რათა კრიტიკულად შეაფასონ და გადახედონ სექსუალური შევიწროების არსებულ დეფინიციებს მოქმედ საკანონმდებლო ბაზაში (მაგ.: კანონი დასაქმების შესახებ, კანონი კრიმინალის შესახებ, ანტიდისკრიმინაციული კანონი). ასევე, უნდა მოხდეს იმ ფაქტის აღიარება და გაჟღერება, რომ მენეჯმენტში ან სხვა მოწინავე პოზიციებზე დასაქმებული ქალები მაღალ რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ სექსუალური შევიწროების კუთხით.

სამიზნე პოლიტიკისა და რეაგირების განვითარებისათვის, აუცილებელია საკმარისი მონაცემების არსებობა. ამიტომ, ევროსტატის მეშვეობით, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მუშაობს, უნდა მოხდეს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული მონაცემების სისტემატური შეგროვება და აღრიცხვა არა მხოლოდ საგანმანათლებლო და სამუშაო სივრცეებში, არამედ ისეთი მედიუმების მხედველობაში მიღებითა და გათვალისწინებით, როგორც არის ინტერნეტი.

## **თავი 2. სექსუალური შევიწროების ამხსნელი თეორიები**

აღიარებულია, რომ არ არსებობს სექსუალური ზეწოლის გამომწვევი ერთი კონკრეტული მიზეზი/ფაქტორი. შესაბამისად, არ მოიძებნება ერთი კონკრეტული თეორიული ჩარჩო, რომელიც ყველაზე კარგად ახსნიდა აღნიშნულ ფენომენს. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო წრეებში ეყრდნობიან რამდენიმე თეორიულ მოდელს, რომელსაც Pina et al. (2009) მიმოიხილავს.<sup>10</sup>

10 Pina, A., et al. (2009). An overview of the literature on sexual harassment: Perpetrator, theory, and treatment issues, *Aggression and Violent Behavior*, 14, p.126–138

## 2.1. სოციოკულტურული თეორია

სოციოკულტურული თეორიები, მეტწილად, ფემინისტური პერსპექტივიდან აფასებს იმ სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტს, რომელშიც სექსუალური შევიწროება, როგორც ფენომენი, წარმოიშვება და კვლავ ინარმოება. სოციოკულტურული თეორიების მიხედვით, სექსუალური შევიწროება არის სექსიზმის და პატრიარქატის, როგორც შედეგი, ასევე მისი კვლავწარმოების საფუძველი. Pina et al. (2009) აღნიშნავენ, რომ ქალების დაქვემდებარებული მდგომარეობა საზოგადოებაში, სამუშაო ადგილზე მათ სუბორდინაციაშიც აისახება. ამდენად, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება თავს იჩენს, როგორც განმტკიცება სოციალურად ნორმირებულ-გაბატონებული სქესობრივი სტატუსისა, რომელიც თავის თავში კაცის პროფესიულ დომინაციას მოიაზრებს ქალების დაშინების, შევიწროების და მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენების გზით. გენდერული სტერეოტიპებით გაჯერებული ურთიერთობების მიმართ მზაობა/მოლოდინი, ერთი მხრივ, არსებობს და, მეორეს მხრივ, წარმოიშვება სოციალიზაციის ისეთი მოდელის შედეგად, რომლის მიხედვით, კაცების მიმართ არსებობს მოლოდინი, იყვნენ აგრესიულები და დომინანტურები, ხოლო ქალები, – პასიურები და მორჩილები. სექსუალური შევიწროება კულტურული გამოცდილების პროდუქტია, კულტურა კი შრომის ბაზარსა და შრომით ურთიერთობებზეც ვრცელდება. კულტურის გათვალისწინებით, ფემინისტური თეორიული პერსპექტივა ავითარებს აზრს, რომ კაცები საკუთარ ქცევას გამართლებულად მიიჩნევენ მაშინ, როდესაც გენდერული უთანასწორობის მსხვერპლი ქალები საკუთარ თავს მომხდარში ადანაშაულებენ.

სოციოკულტურულმა ფემინისტურმა თეორიამ პატრიარქატი და მასკულინური დომინაცია სექსუალური შევიწროების ფენომენის ამხსნელ ფაქტორებად გამოიყენა, რასაც ემპირიული დადასტურებაც აქვს. როგორც Pina et al. (2009) სტატი-აში<sup>11</sup> მიმოიხილავს, რიგი კვლევები ცხადყოფს, რომ სექსუალური შევიწროების განმასხვრციელებლები, ძირითადად, კაცები

11 Ibid.

არიან და რომ ქალების სექსუალური შევიწროების შემთხვევები უფრო ხშირია იმ სამსახურებში, სადაც უფრო მეტი კაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი.

## 2.2. ორგანიზაციული თეორია

ორგანიზაციული თეორია ეხება ორგანიზაციის შიგნით ძალაუფლებრივ და სტატუსობრივ უთანასწორობას, რომელიც სექსუალური შევიწროების მოხდენის ალბათობას ზრდის. ამდენად, სოციოკულტურული თეორიის მსგავსად, ორგანიზაციული თეორიაც აღნიშნავს, რომ სამუშაო ადგილზე ძალაუფლებრივი განსხვავებები საფუძველს ქმნის სექსუალური შევიწროების განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ კაცები მეტი მიზანდასახულობით ხასიათდებიან, მეტ ძალაუფლებას ფლობენ, იერარქიულად მაღალ პოზიციას იკავებენ, ხოლო ქალები არიან პასიურები და ოჯახზე ორიენტირებულები, ორგანიზაციული თეორია არ საუბრობს სამუშაო ადგილზე არსებულ ძალაუფლებრივ განსხვავებებზე გენდერული პერსპექტივიდან. ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ დასავლური საზოგადოება განასხვავებს ძალაუფლების მქონე და არ მქონე ინდივიდებს ზოგადად, რომელთა შორის ურთიერთობები ქმნის იერარქიას, ხოლო იერარქია, თავის მხრივ, უნდა იყოს მოსალოდნელი და მიღებული/აღიარებული. ორგანიზაციული თეორია დაუშვებს, რომ სექსუალური შევიწროება ხორციელდებოდეს ქალის მხრიდან და/ან ხორციელდებოდეს პოზიციურად თანასწორი ან დაქვემდებარებული პირის მიერ. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, აიხსნას შემვიწროებლის მხრიდან ძალაუფლების მოპოვების ან ძალაუფლების გათანაბრების მოტივით, განურჩევლად მისი სქესისა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორგანიზაციული თეორია არ ამყარებს პირდაპირ კავშირს ძალაუფლებრივ განსხვავებასა და სექსუალურად შეურაცხმყოფელ-შემავიწროებელ მოქმედებებს შორის; სხვა ისეთი ფაქტორები, როგორც არის ორგანიზაციაში სამუშაო კლიმატი, გენდერით განპირობებული საქმიანობები, ორგანიზაციული ეთიკა, ნორმები და გენდერუ-



ლად არასენზიტიური შიდაგანანესი ასევე ქმნიან სექსუალური შევიწროების მოხდენის შესაძლებლობას.

### **2.3. გენდერული როლების გადანაცვლების თეორია**

აღნიშნული თეორია მეტად კომპლექსურია, რადგან ის წარმოადგენს სიტუაციურ-კონტექსტუალური მახასიათებლების (მაგ., თანამშრომელთა რაოდენობრივი განაწილება სქესის ნიშნით) და ინდივიდუალური გენდერული წარმოდგენების/დამოკიდებულებების (შემვიწროებლის მოლოდინების ჩათვლით) კომბინაციას. რიგ შემთხვევებში, ეს თეორია განიხილება, როგორც დამოუკიდებელი თეორია ან როგორც ორგანიზაციული თეორიის განვრცობილი ვერსია. ძირითადი პოსტულატი, რასაც აღნიშნული თეორია ეყრდნობა, არის ის, რომ დასაქმებულ ქალებსაც და კაცებსაც აქვთ პერსონალური გენდერული წარმოდგენები და მოლოდინები სამუშაო ადგილზე ქცევასთან დაკავშირებით (თუნდაც, ეს მოლოდინები არ იყოს არსებული სამუშაო გარემოს რელევანტური). აქედან გამომდინარე, პოტენციური შემვიწროებლის გენდერული წარმოდგენები „გადაწონის“ მის წარმოდგენებს დასაქმებულთა თანასწორობის შესახებ. განსაკუთრებით დიდია ალბათობა კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნისა მაშინ, როდესაც სახეზეა განსვლა პოტენციური შემვიწროებლის სტერეოტიპულ დამოკიდებულებებსა და სამუშაო როლების გენდერულად არატრადიციულ განაწილებას შორის. მაგალითად, თუ ქალი ხელმძღვანელ პოზიციაზეა დანიშნული, პოლიციელი ან, თუნდაც, ტაქსის მძღოლია, იზრდება ალბათობა, რომ ის სექსუალური შევიწროების ობიექტი გახდეს. მიუხედავად კომპლექსურობისა, აღნიშნული თეორიის ნაკლია ის, რომ თეორია ნაკლებად შეისწავლის გენდერული როლების გადანაცვლების გავლენებს კაცებზე, რომლებიც ნაკლებად არიან წარმოდგენილი გენდერულად არატრადიციულ სამუშაო ადგილებზე, ვიდრე ქალები. ამდენად, თეორია მეტ ემპირიულ დადასტურებას საჭიროებს.

## 2.4. ბიოლოგიური თეორია

ბიოლოგიური თეორიის პერსპექტივიდან, სექსუალური შევინროება სასურველი პარტნიორის შერჩევის ბუნებრივი პროცესის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. როგორც Pina et al. (2009) მომოიხილავს, აღნიშნული თეორიის თანახმად, კაცები ძლიერი სექსუალური ინსტინქტით ხასიათდებიან, რაც პარტნიორის შერჩევის პროცესში მათ აგრესიულობას განაპირობებს. შესაბამისად, აგრესიული/ინტენსიური სექსუალური ქცევა, პირდაპირპროპორციულად, სექსუალურ შევინროებად არ განიხილება, არამედ ერთგვარ შეუთავსებლობად კაცისა და ქალის სექსუალურ ლტოლვას შორის, სადაც პირველის ბევრად ძლიერი და ინტენსიურია. აღნიშნული შეუთავსებლობა კი ქმნის საფუძველს, რომ განვითარდეს სექსუალურად აგრესიული ქცევა, მაგალითად, სამსახურში. ბიოლოგიური თეორია მკვეთრად ევოლუციონისტურია. რიგი მკვლევრების აზრით, ქალებსა და კაცებს განსხვავებული რეპროდუქციული სტრატეგიები გააჩნიათ, რაც ინტერესთა კონფლიქტს იწვევს და ეს სამსახურებრივ სიტუაციებზეც ვრცელდება ხოლმე: კაცები, თავის მხრივ, ცდილობენ მაქსიმალურად გაზარდონ საკუთარი „რეპროდუქციული წარმატება“ და რაც შეიძლება მეტ ქალთან ჰქონეთ „სექსუალური წვდომა“, რასაც ხშირად აგრესიული სექსუალური ქცევით ახორციელებენ. ამდენად, ევოლუციონისტური პერსპექტივიდან, კაცები თავის ფიზიკურ ძალას იყენებენ ინსტრუმენტად, რათა სექსზე ხელმისაწვდომობა ქონდეთ. თავისთავად მოსალოდნელია, რომ კაცების ინტენსიური მცდელობები გადაიზარდოს ისეთ იძულებით ქცევაში, როგორც არის გაუპატიურება. ბიოლოგიური თეორიის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ეს თეორია მეტად ამარტივებს სექსუალური შევინროების, როგორც ფენომენის, გაგებას და განიხილავს მას, როგორც ნორმალური რეპროდუქციული რიტუალის ელემენტს. ასევე, არ ითვალისწინებს რიგ სოციალურ და პიროვნულ ფაქტორებს. ბიოლოგიური თეორია პოტენციურ მსხვერპლად წარმოაჩენს მხოლოდ ქალს და ამასთან, არანაირ პრევენციულ სტრატეგიებს არ განიხილავს. სექსუალური შე-

ვინროების კონტექტსში, ბილოგიურ თეორიას არ აქვს ემპირიული დადასტურება და არც ლიტერატურული მხარდაჭერით გამოირჩევა.

## 2.5. სოციალურ-კოგნიტური თეორიები

ეს თეორიები გამოიყენება, როგორც სექსუალური შევიწროების ფენომენის გასაგებად, ასევე სექსუალურ შევიწროებასა და გაუპატიურებას შორის კავშირის ასახსნელად. ზოგადად, სოციალურ-კოგნიტური ახსნა ნებისმიერი ფენომენისა შემდეგ სამ ჰიპოთეტურ კომპონენტს ემყარება: (1) გრძელვადიანი მეხსიერების შინაარსი და სტრუქტურა (მაგ., რწმენა-წარმოდგენების შინაარსი და მათი სქემატური ორგანიზაცია), (2) გარემოდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავების პროცესები, და (3) კოგნიტური პროდუქტები (მაგ., საბოლოო წარმოდგენები, შეხედულებები და ატრიბუციები), რომელიც სოციალური ინფორმაციის შინაარსის, ორგანიზაციისა და გადამუშავების შედეგად მიიღება.

სოციალური კოგნიციის თეორიების შუქზე სექსუალური შევიწროების კვლევამ გამოავლინა, რომ სექსისა და ძალაუფლების მენტალური კონცეპტები ერთმანეთთან სტატისტიკურად ძლიერ კორელაციაშია იმ გამოკითხულ კაცებს შორის, რომლებსგანაც მეტად მოსალოდნელია სექსუალური შევიწროების განხორციელება. ექსპერიმენტის მსვლელობის დროს მათ უფრო მეტად დაიმახსოვრეს სექსისა და ძალაუფლების გამომხატველი სიტყვა-წყვილები, ვიდრე იმ კაცებმა, რომლებმაც სკალაზე სექსუალური შევიწროების მიმართ ნაკლები მიდრეკილება აჩვენეს. Pina et al. (2009) სტატიაში<sup>12</sup> აღნიშნავს, რომ სექსუალური შევიწროების განმახორციელებელი კაცების უმრავლესობა ვერც აცნობიერებს საკუთარ ქცევას. ეს დაშვება კავშირშია ზევით განხილულ ექსპერიმენტთან იმდენად, რამდენადაც კაცების მიერ ძალადობრივი ქცევის განხორციელების

12 Ibid.

გაუცნობიერებლობა, შესაძლოა, ძალაუფლებასა და სექსს შორის ავტომატური და გაუცნობიერებელი ასოციაციით აიხსნას.

რიგმა ექსპერიმენტულმა კვლევებმა საინტერესო შედეგები აჩვენა. ერთ-ერთი ექსპერიმენტის ფარგლებში ცდისპირებს მიენოდათ ძალაუფლებასთან დაკავშირებული სტიმული, კერძოდ, კი მათ უნდა დაესრულებინათ სიტყვა „Bos-“ [ქართულად: უფროსი, ხელმძღვანელი]. საკონტროლო ცვლადი კი იყო ისეთი სიტყვის დასრულება, რომელიც არ არის კავშირში ძალაუფლების კონცეპტთან. ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით, ის კაცები, რომლებმაც ძალაუფლებასთან დაკავშირებული სიტყვები დაასახელეს და ამავდროულად, LSH-ის სკალაზე [სექსუალური ზენოლის სკალა, რომელიც ზომავს ინდივიდის სექსუალური ძალადობის განხორციელებისკენ მიდრეკილების ალბათობას] აჩვენეს სექსუალური შევიწროების განხორციელების შედარებით მაღალი ალბათობა, უფრო აქტიურად აღნიშნავდნენ თანამშრომელი ქალების მომხიზვლელობას და ამბობდნენ, რომ ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში, სიამოვნებით დაუახლოვდებოდნენ მათ. თავისთავად, ცდისპირები ვერ აცნობიერებდნენ თანამშრომელი ქალებით მოხიზვლის რეალურ მიზეზებს და ამას ხსნიდნენ, როგორც ზოგადად, ქალების მომხიზვლელობის შედეგს ან მიუთითებდნენ კონკრეტულ ქალზე, რომელიც მათთვის სასურველ „ტიპად“ მიაჩნდათ. ამ შედეგებმა, შესაძლოა, ახსნას, თუ რატომ არ/ვერ უნოდებენ კაცები საკუთარ ქმედებებს სექსუალურ შევიწროებას. სხვა რიგი კვლევების შედეგებიც ცხადყოფს, რომ მოძალადეები/შემვიწროებლები ტენდენციას ავლენენ მომხდარში თავად ძალადობის მსხვერპლი დაადანაშაულონ და ამ გზით, საკუთარი აგრესიული სექსუალური ქცევა გაამართლონ.

სექსუალური მოძალადეების მიერ დასახელებული კოგნიტური პროდუქტები მიუთითებს იმაზე, რომ ამ ადამიანების ცნობიერებაში აქტიურია ძალადობის მხარდამჭერი კოგნიტური შინაარსები, რომელიც ზემოქმედებს მათ კოგნიტურ პროცესებზე (აღქმაზე) და რომელიც, თავის მხრივ, ავტომატურად და გაუცნობიერებლად განაპირობებს ძალადობრივი ტიპის ქცევას.

მიუხედავად იმისა, სოციალურ-კოგნიტური თეორია სექსუალური შევიწროების ფენომენისთვის ყოვლისმომცველ ახსნა-განმარტებას ვერ უზრუნველყოფს, მას მაინც აქვს ემპირიული დადასტურება და მხარდაჭერა. სოციალურ-კოგნიტური თეორიის ცენტრალური პრინციპი კი წარმოადგენს იმას, რომ კაცები, რომლებიც ახორციელებენ ანტისოციალურ ქცევას, ხასიათდებიან ამ ქცევის მხარდამჭერი რწმენა-წარმოდგენებით და სააზროვნო სქემებით. შესაბამისად, გარემოდან შემოსული ინფორმაცია გადაამუშავდება „ანტისოციალური წესით“.

## 2.6. მრავალფაქტორიანი თეორიები

ეს თეორია საინტერესო და ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც აერთიანებს ინდივიდუალურ, სოციოკულტურულ და ორგანიზაციულ ფაქტორებს სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებაში. ამ თეორიის თანახმად, სექსუალური შევიწროების განსახორციელებლად ოთხი ძირითადი პირობა უნდა იყოს დაკმაყოფილებული: (1) ინდივიდი მოტივირებული უნდა იყოს, რომ ჩაიდინოს შემანუხებელი ქცევა (მაგ., ნებისმიერი სახის კომბინაცია ძალაუფლების, კონტროლისა და სექსუალური მიზიდულობის), (2) ინდივიდმა უნდა დაძლიოს შინაგანი აკრძალვები (მაგ., მორალური შეზღუდვები), (3) ინდივიდმა უნდა დაძლიოს გარემოში არსებული აკრძალვები (მაგ., ისეთი სამსახურებრივი ბარიერი, როგორც არის პროფესიონალიზმი), და (4) ინდივიდმა უნდა გადალახოს მსხვერპლის მხრიდან განეული წინააღმდეგობა. ამ ჰიპოთეტურ მონახაზს გააჩნია ნაწილობრივი ემპირიული მხარდაჭერა, კერძოდ კი, შემდგომმა კვლევებმა გამოავლინა, რომ სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრედიქტორული ცვლადები მკვეთრად ორგანიზაციული ხასიათის არის (მე-3 ფაქტორი). მაგალითად, იმ ქალებს, რომლებსაც აქვთ ჩივილის პროცედურების შესახებ მწირი ინფორმაცია, არაპროფესიონალური სამუშაო გარემო, სადაც სექსისტური შეხედულებები პრევალირებს, მეტი შანსი აქვთ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდნენ.

### **თავი 3. ქალთა სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე**

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, დასაქმების ბაზარზე სექსუალური შევიწროების არსებობისა და მისი გამოვლენის ფორმების შესახებ ცნობადობა მსოფლიოში შესამჩნევად გაიზარდა.<sup>13</sup> სექსუალური შევიწროება გაცილებით მეტი სიხშირით, სწორედ, ქალების მიმართ ხორციელდება.<sup>14</sup> იმ ფაქტმა, რომ სექსუალური შევიწროების გამოვლინება ქალთა მიმართ დისპროპორციულად მაღალია, დღის წესრიგში დააყენა აღნიშნულ ქცევათა განხილვა სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დისკურსში. ამის აუცილებლობას ამტკიცებს ის პირდაპირი თუ არაპირდაპირი შედეგები, რომელიც სამუშაო ადგილზე შევიწროების სხვადასხვა გამოვლინებას სდევს თან; კერძოდ კი, ქალთა მიმართ არსებული მტრული გარემო, რომელიც მათ სამუშაოს ხარისხიანად განხორციელებაში და, შესაბამისად, დაწინაურებაში უშლის ხელს; ასევე, ის ხელოვნური ბარიერები, რომელიც ქალს ექმნება სამუშაოს შესრულებისას და ბოლოს, სამუშაოს დატოვების საშიშროება. ზევით ხსენებული ფაქტების განგრძობითობა და იგნორირება ქალთა დემოტივაციას ახდენს, რომ მამაკაცების მიერ დომინანტურ სამსახურში იმუშაონ. უნდა აღინიშნოს, რომ სექსუალური შევიწროება ყველა ქალს ერთნაირი სიხშირითა და იდენტური ფორმით არ ეხება. „Dutch study“-მ აჩვენა, რომ რისკ ჯგუფებში, ძირითადად, ფინანსურად დამოკიდებული, გაშორებული, განქორწინებული, ახალგაზრდა და დაუოჯახებელი ქალები ხვდებიან.<sup>15</sup> შევიწროების ფაქტები

13 McCann D. (2005). Sexual Harassment at Work: National and International responses. Available at: [http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_protect/---protrav/---travail/documents/publication/wcms\\_travail\\_pub\\_2.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---travail/documents/publication/wcms_travail_pub_2.pdf)

14 European Commission, (1998). Sexual harassment in the workplace in the European Union, p.5-15 Available at: <http://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/shworkpl.pdf>

European Union Agency for Fundamental Rights (2014). Violence against women: an EU-wide survey. Available at: <http://fra.europa.eu/en/project/2012/fra-survey-gender-based-violence-against-women>

15 Ibid.

უფრო ხშირია იმ სამსახურებში, სადაც მამაკაცები დომინანტ პოზიციებზეა თუ სიტუაციებში არიან; ის ქალები უფრო ხშირად განიცდიან შევიწროებას, რომლებიც მამაკაცების უშუალო სუპერვიზიის ქვეშ იმყოფებიან.<sup>16</sup> განვითარებად ქვეყნებში, რისკ ჯგუფს წარმოადგენენ მიგრანტი ქალები, მათი დაბალი ფინანსური შესაძლებლობების, სოციალური იზოლაციის, ენისა და კულტურული სპეციფიკის არცოდნის გამო.

ამერიკელი ფემინისტი და მკვლევარი Catherine McKinnon-ი (1997) აღნიშნავს, რომ სექსუალური შევიწროება, თავისი არსით, სქესის ნიშნით დისკრიმინაციას წარმოადგენს, რასაც ავტორი სექსუალობის კონტექსტით განმარტავს: „გამომდინარე იქიდან, რომ სექსუალობა, როგორც ასეთი, სოციალური უთანასწორობის წყაროს, ფორმასა და სფეროს წარმოადგენს ან უბრალოდ, სფეროა, რომელსაც უთანასწორო ძალთა სხვა ფორმები შეერწყა [...] სექსუალური შევიწროების, როგორც სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დოქტრინალური არგუმენტაციის უკან, ფუნდამენტური კითხვები წამოიჭრება, რომელიც არა მარტო დეფინიციას, არამედ გენდერის, სექსუალობისა და ძალაუფლების რეალიზაციას ეხება.“<sup>17</sup> Katherine M. Franke-ი (1997) აკრიტიკებს ამერიკის სასამართლო გადაწყვეტილებებს. თავის ნაშრომში ის აღნიშნავს, რომ აუცილებელია სასამართლომ განმარტოს არა თუ „რა არის“, არამედ „რატომ არის“ სექსუალური შევიწროება სქესის ნიშნით დისკრიმინაცია. მას მიაჩნია, რომ სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საფუძვლების ანალიზი შედეგის მომცემია სექსუალური შევიწროების არსისა და ხასიათის უკეთ გასაგებად. Franke-ის (1996) აზრით, „სექსუალური შევიწროება, როგორც სხვადასხვა სქესის, ისე ერთი სქესის ადამიანებს შორის სექსიზმის „ტექნოლოგია“. სექსიზმი, როგორც რეგულაციური პრაქტიკა, სექსუალურ შე-

---

16 Numhauser-Henning, A. and Lulom, S. (2011) Harassment related to sex and sexual harassment law in 33 European Countries, discrimination versus dignity. Available at: [http://www.ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your\\_rights/final\\_harassment\\_en.pdf](http://www.ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your_rights/final_harassment_en.pdf)

17 Franke, K.M. (2011). Whats wrong with sexual harassment? Stanford Law Review, 49 (691), p. 691-772

ვინროებაში ფლობს ძალაუფლებას, რომელიც „აფემინურებს“ ქალებს და „ამასკულინებს“ კაცებს, სახავს რა ქალებს სექსუალურ ობიექტად, ხოლო კაცებს სექსუალურ სუბიექტად“.<sup>18</sup> სწორედ, ამ მიზეზთა გამო სექსუალური შევიწროება სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად განისაზღვრა, ხოლო ის ფაქტი, რომ სექსუალური შევიწროება, შესაძლოა, ერთდროულად გენდერული უთანასწორობის შედეგი და კვლავმწარმოებელიც იყოს, მისი სეპარაციული რეგულირებისა და ექსპლიციტური პოლიტიკის არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)-ს განმარტების თანახმად, სექსუალური შევიწროება გენდერული დისკრიმინაციის ფორმაა, რომელიც გენდერით არის განპირობებული და ქალებსა და კაცებს შორის არსებული უთანასწორობის მანიფესტაციას წარმოადგენს. საუბარია არა ბიოლოგიური თავისებურებებით დეტერმინირებულ განსხვავებებზე, არამედ რიგ გენდერულ როლებზე, რომელიც საზოგადოებაში ქალებსა და კაცებთან არის ასოცირებული და რომელთა ფონზეც ქალის/კაცის სექსუალობის აღქმა ხორციელდება. ILO-ს ექპერტთა კომიტეტი სექსუალურ შევიწროებას განმარტავს, როგორც: „ნებისმიერი შეუსაბამო შენიშვნა, ხუმრობა, პიროვნების ჩაცმულობაზე, გარეგნობაზე, ასაკზე, ოჯახურ სიტუაციაზე; ქედმაღლური ან პატერნალისტური დამოკიდებულება, რომელიც ატარებს სექსუალურ ქვეტექსტს და პიროვნების ღირსებას ლახავს; ნებისმიერი არასასურველი მიწვევა ან თხოვნა, იმპლიციტური თუ ექსპლიციტური, მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა მუქარას. ნებისმიერი მზერა ან სხვა ფესტიკულაცია, რომელიც ასოცირდება სექსუალობასთან და ნებისმიერი არასასურველი ფიზიკური კონტაქტი, როგორცაა შეხება, მოფერება, ჩქმეტა თუ თავდასხმა.“<sup>19</sup> შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია თავის ზოგად დაკვირვებაში ხაზს უსვამს, რომ

---

18 Ibid.

19 ILO: Equality in Employment and Occupation: Special Survey on equality in employment and occupation in respect of Convention No.111, Geneva, 1996, .p. 39



სექსუალური შევიწროება ძირს უთხრის სამუშაო ადგილზე თანასწორობას, აყენებს რა ეჭვქვეშ დასაქმებულთა ინდივიდუალურ ინტეგრაციასა და კეთილდღეობას.

რაც შეეხება ევროკავშირის სამართალს, 1976 წლის დირექტივაში მხოლოდ 2002 წელს შევიდა ცვლილებები თანასწორი მოპყრობის შესახებ. ევროკავშირის დირექტივა 2002/73/EC აღნიშნავს, რომ სექსუალური შევიწროება წარმოადგენს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას და შესაბამისად, უნდა იქნას აკრძალული; მე-2 მუხლი კი აყალიბებს სექსუალური შევიწროების შემდეგ დეფინიციას: „სექსუალური ხასიათის არასასურველი, სიტყვიერი, არასიტყვიერი და ფიზიკური ქცევა, რომლის მიზანია ან ინვეს პირის ღირსების შელახვას ან დამაკნინებელი, მტრული, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.“<sup>20</sup> ანალოგიურ დეფინიციას აყალიბებს ევროკავშირის დირექტივა 2006/54/EC გენდერული თანასწორობის შესახებ (განახლებული).<sup>21</sup> ევროკავშირის დირექტივა ითხოვს, რომ მოხდეს დამსაქმებელთა ნახალისება, რათა მათ მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აღსაკვეთად, განსაკუთრებით, შევიწროებასა და სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებაში.<sup>22</sup> მნიშვნელოვანია, რომ დირექტივებმა გაითვალისწინა ის საკითხი, რომ ქალებს ექცევიან უთანასწოროდ, არა მხოლოდ კაცებთან შედარებით, არამედ ზოგადად ექცევიან „ცუდად.“<sup>23</sup> შესაბამისად, კომპარაციის ელემენტი, სექსუალური შევიწროების ფაქტის მტკიცებისას, ამოღებულ იქნა ზოგადი კონცეფციიდან, რამეთუ სექსუალური შევიწროება იმთავითვე მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, სხვა პირებთან შედარების გარეშე.<sup>24</sup>

---

20 Council Directive 2002/73/EC, Art. 2

21 Art. 2 (1(d)).

22 Council Directive 2006/54/EC, Art. 2 (5)

23 European Gender Equality Law Review-No. 2/2011, p.5 Available at: [http://ec.europa.eu/justice/gender-equality/files/egelr\\_2011-2\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/gender-equality/files/egelr_2011-2_en.pdf)

24 Ibid.

### 3.1. სექსუალური შევიწროების კატეგორიები და ფორმები

სექსუალური შევიწროება საერთაშორისო საზოგადოების მიერ გენდერული დისკრიმინაციის ერთ-ერთი აღიარებული ფორმაა. „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDOW) კონვენციის განსაზღვრების თანახმად, სექსუალური შევიწროება წარმოადგენს არასასურველი სექსუალური ხასიათის ფიზიკურ ქცევასა და ვერბალურ აღნიშვნებს, პორნოგრაფიის დემონსტრირებას; ასევე, სექსუალური ხასიათის მოთხოვნებს, გამოხატულს ქცევით ან სიტყვით.<sup>1</sup> სექსუალური შევიწროება სამართლებრივად 1970 წელს შეერთებულმა შტატებმა განსაზღვრა და სამოქალაქო უფლებების შესახებ კანონის VII მუხლს დაუქვემდებარა. შემდეგ, 80-იანებში EEOC-ის (ამერიკის შეერთებული შტატების დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების კომისიის) რეგულაციაში სექსუალური ზენოლის ორი ფორმა/კატეგორია განისაზღვრა: ა) QUID PRO QUO (მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ), რომელიც დამსაქმებლის ან ძალაუფლების მქონე სხვა პირის მიერ დასაქმებულისთვის სექსუალური ხასიათის შეთავაზების გაკეთებას გულისხმობს პროფესიული/სახელფასო დაწინაურების ან სხვა სახის ნახალისების სანაცვლოდ; ბ) მტრული სამუშაო გარემო, რომელმაც, შესაძლოა, პირის დასაქმებულობას პირდაპირი საფრთხე არ შეუქმნას, თუმცა, სტრესი და დისკომფორტი გამოიწვიოს. მტრულ სამუშაო გარემოში დასაქმებული პირი სექსუალური ხასიათის რიგი არასასურველი ქცევების, დამამცირებელი კომენტარებისა და მინიშნებების, შეურაცხმყოფელი გენდერული ენის, არასასურველ შეხვედრებზე გამუდმებული დაპატიჟების ობიექტს/ადრესატს წარმოადგენს. მტრული სამუშაო გარემოს არსებობის დასამტკიცებლად ერთეული შემთხვევაც საკმარისია, თუ მოცემულ სიტუაციაში ის საკმარისად სერიოზულია ანუ განმეორებითი და ხილვადია.

იმ მიზნით, რომ პოტენციური მსხვერპლის, დამსაქმებლის თუ მოსამართლეთა მიერ სექსუალური შევიწროების იდენტიფიკაცია მაქსიმალურად ზუსტად მოხდეს, სახელმწი-

ფოთა კანონმდებლობები სექსუალური შევიწროების ფორმებს აკონკრეტებს, უსადაგებს რა შესაბამის ქცევით გამოვლინებებს (ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქცევათა ჩამონათვალი ამომწურავი არ არის). სექსუალურ შევიწროებას, ძირითადად, სამი ტიპის ქცევა ათვალსაჩინოებს<sup>25</sup>:

**ფიზიკური ქცევა** → ფიზიკური კონტაქტი (შეხება), ფიზიკური ხელყოფა (ძალადობა);

**ვერბალური ქცევა** → სექსუალური ხასიათის კომენტარები, ისტორიები, ხუმრობები დასაქმებულის გარეგნობაზე, ჩაცმულობაზე, ასაკზე, პირად ცხოვრებაზე და სხვა; განმეორებადი მინვევა/დაპატიჟება შეხვედრაზე, დასაქმებულის სქესის ნიშნით შეურაცხყოფა, სამსახურთან დაკავშირებული მუქარა ან ნახალისება სექსუალური ხასიათის თხოვნის შესრულების სანაცვლოდ;

**არავერბალური ქცევა** → ეროტიკული შინაარსის მასალის განთავსება/ტირაჟირება; სექსუალური ხასიათის ფესტიკულაცია, პოზირება, სტვენა, მიშტერება.

სექსუალური შევიწროების იდენტიფიცირებისათვის, პირის მიმართ განხორციელებული ქცევის „არასასურველობა“ და დასაქმებულის მიერ ამის გაცხადება უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა ქმედებას სექსუალური შევიწროების ფაქტად არ აკვალიფიცირებს, თუ მსხვერპლმა არ გამოხატა, რომ ის არ ყოფილა სიტუაციაში მონაწილეობით/ჩართულობით დაინტერესებული (მაგ., ისრაელი).<sup>26</sup> აღნიშნულისგან განსხვავებით კი რიგი ქვეყნების (მაგ., ფილიპინები) კანონმდებლობა მიუთითებს, რომ ქმედება შეიძლება სექსუალურ შევიწროებად იდენტიფიცირდეს იმისგან დამოუკიდებლად, სასურველია/მისაღებია თუ არა ის ად-

25 Rubenstein, M. (1992). Dealing with sexual harassment at work: The experience of industrialized countries, (as cited by Deirdre McCann, *Sexual harassment at work, national and international responses*, p.2.)

26 Israel: prevention of sexual harassment law, Art.3 (3), See: [https://www.knesset.gov.il/review/data/eng/law/kns14\\_harassment\\_eng.pdf](https://www.knesset.gov.il/review/data/eng/law/kns14_harassment_eng.pdf)

რესატისტისთვის.<sup>27</sup> ცხადია, როდესაც „არასასურველობის სტანდარტი“ დგინდება, მნიშვნელოვანია მსხვერპლის სუბიექტური აღქმადობის გათვალისწინებაც. აგრეთვე, დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ უფლება მათ მიმართ განხორციელებული ქცევის ხასიათი თავად განსაზღვრონ. თუმცა, სუბიექტური ლიმიტაციის გარდა ობიექტური ლიმიტაციაც არსებობს, რომელიც შევიწროების ორი უკიდურესი ფორმის – მძიმე და უმნიშვნელო – საზღვრებს შორის ბალანსის დაცვას ემსახურება.<sup>28</sup> მძიმე ობიექტური ლიმიტაცია გულისხმობს არსებითად შეურაცხმყოფელ ქცევას, რომელიც გამოიხატება ფიზიკურ ძალადობასა თუ მუქარაში. ამ შემთხვევაში, აუცილებელი არ არის მსგავსი ქმედების „არასასურველობა“ მსხვერპლის მიერ იყოს გაჟღერებული ფაქტის მეტი ხილვადობიდან გამომდინარე.<sup>29</sup> ობიექტური ლიმიტაციის მეორე უკიდურესობა ვლინდება არსებითად უმნიშვნელო ქმედებაში, რომელიც შესაძლოა, სექსუალურ ქვეტექსტს მოიცავდეს, მაგრამ სექსუალურ შევიწროებად არ კვალიფიცირდეს. აღნიშნული ბიპოლარულუბიდან გამომდინარე, საჩივრის გონივრულობის სტანდარტია დადგენილი, რომელიც სექსუალური შევიწროების შესაბამის ხარისხსა და ეფექტს უნდა პასუხობდეს, რათა პირის პასუხისმგებლობის წინაშე დაყენების მოთხოვნა ლეგიტიმურად იქნას აღიარებული. სექსუალური შევიწროების იდენტიფიცირების საქმეში ქმედების „განმეორებითობა“ ასევე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომელიც საჩივრის „გონივრულობასთან“ ლოგიკურ კავშირშია<sup>30</sup>. სახელმწიფოთა ნაწილი აღიარებს, რომ სექსუალური შევიწროების ზოგიერთი ფორმა, თავისი სიმძიმიდან გამომდინარე, არ შეიძლება განმეორებითობას საჭიროებდეს. თუმცა, როდესაც შედარებით მსუბუქ ფორმებზეა საუბარი „განმეო-

27 Philippines: Anti-Sexual Harassment Act, Article 3.

28 McCann, D. ( 2005). Sexual Harassment at Work: National and International responses. Available at: [http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_protect/---protrav/---travail/documents/publication/wcms\\_travail\\_pub\\_2.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---travail/documents/publication/wcms_travail_pub_2.pdf)

29 Ibid

30 Ibid.

რებითობას“ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ მიზნით, რომ მოხდეს მტკიცებულების გაძლიერება და წარდგენილი საჩივრის გონივრულობის მტკიცება<sup>31</sup>.

### 3.2. შემვიწროებელი და მსხვერპლი

სახელმწიფოები თითქმის ერთნაირად განსაზღვრავენ შემვიწროებლის იდენტიობას. აშშ-ში ის შესაძლოა იყოს დასაქმებულის სუპერვაიზერი, მენეჯერი, თანამშრომელი, პარტნიორი ან კლიენტი<sup>32</sup>. სექსუალური შევიწროება არ არის შეზღუდული მხოლოდ იმ კონკრეტული სამუშაო ადგილით, სადაც მსხვერპლი ან შემვიწროებელი ოფიციალურად იმყოფება. მსგავსმა ქმედებამ შესაძლოა თავი იჩინოს, როგორც ძირითად სამუშაო ადგილას, ისე კონფერენციაზე, მივლინებაში, კომპანიის/ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ ღონისძიებასა თუ მიღებაზე, – ნებისმიერ ადგილას, რომელიც დაკავშირებულია მსხვერპლისა და შემვიწროებლის სამსახურებრივ საქმიანობასთან<sup>33</sup>.

ეროვნული კანონმდებლობები იმ საკითხსაც არეგულირებს, თუ ვინ შეიძლება გაასაჩივროს სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება. როგორც წესი, ქალი დასაქმებულები შევიწროების პირდაპირ მსხვერპლს წარმოადგენენ<sup>34</sup>. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია არაპირდაპირი მსხვერპლის საკითხი, რომლის დროსაც, მართალია, ქმედება პირდაპირ ინდივიდზე არ არის მიმართული, მაგრამ ქმედების შედეგები მასზეც უარყოფითად აისახება<sup>35</sup>. აღნიშნულ შემთხვევაში, დისკრიმი-

---

31 Ibid.

32 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: U.S. Equal Employment Opportunity Commission შემდეგ ბმულზე: <http://www.eeoc.gov/laws/types/harassment.cfm>

33 McCann, D. (2005). Sexual Harassment at Work: National and International responses. Available at: [http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_protect/---protrav/---travail/documents/publication/wcms\\_travail\\_pub\\_2.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---travail/documents/publication/wcms_travail_pub_2.pdf)

34 Ibid.

35 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: A victims guide to sexual harassment, Chapter Two. Quid Pro Quo Sexual Harassment and Hostile

ანციული ქმედების მტკიცების საკითხი ორმაგად რთულდება. იმისათვის, რომ პირმა მის სამუშაო გარემოზე არაპირდაპირი შევიწროების უარყოფითი გავლენა დაამტკიცოს, „მან უნდა აჩვენოს, რომ ის პერსონალურად შეესწრო სექსუალური შევიწროების ფაქტს, რომელიც მიმართული იყო სხვებისადმი და რომ, შევიწროებას ადგილი ჰქონდა სამუშაო ადგილზე“.<sup>36</sup>

### **3.3. სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების რეგულირება საქართველოსა და უცხო სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში**

სახელმწიფოების უმრავლესობა სექსუალურ შევიწროებას სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დისკურსში განიხილავს (მაგ.: ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, ესტონეთი, ნორვეგია, ისლანდია, მალტა, ესპანეთი, ლუქსემბურგი) და სპეციალური აქტებით არეგულირებს, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობაზეა ფოკუსირებული<sup>37</sup>. სექსუალური შევიწროების კონცეფციის სქესის ნიშნისგან დამოუკიდებლად განხილვა ასევე გავრცელებული პრაქტიკაა, (მაგ.: გერმანია, პოლონეთი, შვედეთი, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, ლატვია, უნგრეთი, პორტუგალია)<sup>38</sup>.

ფრანგულ კანონმდებლობაში პირველი ჩანანერი სექსუა-

---

Work Environment Sexual Harassment, შემდეგ ბმულზე: <http://www.sexualharassmentlawyersanjose.com/online-e-book/chapter-two-quiv-pro-quo-sexual-harassment-and-hostile-work-environment-sexual-harassment/>

36 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: A victims guide to sexual harassment, Chapter Two. Quid Pro Quo Sexual Harassment and Hostile Work Environment Sexual Harassment, შემდეგ ბმულზე: <http://www.sexualharassmentlawyersanjose.com/online-e-book/chapter-two-quiv-pro-quo-sexual-harassment-and-hostile-work-environment-sexual-harassment/>

37 Numhauser-Henning, A. and Laulom, S. (2011). Harassment related to sex and sexual harassment law in 33 European Countries, discrimination versus dignity. Available at: [http://www.ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your\\_rights/final\\_harassment\\_en.pdf](http://www.ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your_rights/final_harassment_en.pdf).

38 Ibid.

ლური შევიწროების შესახებ 1992 წელს გაჩნდა, რაც ქალთა მოძრაობის მოთხოვნით იყო განპირობებული<sup>39</sup>. შესაბამისი კანონი სექსუალურ შევიწროებას ძალადობის ერთ-ერთ სახედ განიხილავდა, რომელიც შემდგომ სისხლის სამართლის კოდექსში აისახა, როგორც სქესთან დაკავშირებული დანაშაული. კონკრეტული ჩანაწერები, რომელიც შევიწროებას სქესის ნიშნით განიხილავს ანტიდისკრიმინაციული კანონით 2008 წელს განისაზღვრა<sup>40</sup>. ევროპული დირექტივის 2006/54/EC მეორე მუხლის ჩანაწერი აღნიშნულ კანონში პირდაპირ იქნა ინკორპორირებული, რომლის მიხედვით ნებისმიერი სექსუალური კონოტაციის ქცევა, რომელსაც დაექვემდებარა პიროვნება, მისი ღირსების ხელყოფის მიზნით ან მტრული, დამამცირებელი, შეურაცხყოფელი და საშიში გარემოს შექმნის მიზნით,<sup>41</sup> სექსუალურ შევიწროებად კვალიფიცირდება. რაც შეეხება საფრანგეთის შრომის კოდექსს, მუხლი 1153-1 სექსუალურ შევიწროებას განმარტავს, როგორც ნებისმიერ ქმედებას, რომლის მიზანია სექსუალური ხასიათის მომსახურების მიღება<sup>42</sup>. ამდენად, შრომის კოდექსისგან განსხვავებით ანტიდისკრიმინაციული კანონის განმარტება მეტად ექსტენსიურია. გარდა ამისა, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსიც კრძალავს სექსუალურ შევიწროებას, თუმცა, მხოლოდ QUID PRO QUO შევიწროებას ეხება.

პოლონეთში შევიწროების კონცეფცია პარალელურად არის რეგულირებული ორ საკანონმდებლო აქტში: შრომის კოდექსსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონში. ორივე აქტში გამოყენებულია შევიწროების ზოგადი ჩანაწერი, რომელიც სქესის ნიშნით სექსუალური ხასიათის შევიწროებაზე დამატებით მიუთითებს<sup>43</sup>. პოლონეთის კანონმდებლობაში განხორ-

---

39 Ibid.

40 Ibid.

41 Ibid.

42 Code du Travail, Available at: [http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=24EF4645E123516FB1AA86FAEB284F10.tpdjio17v\\_2?idSectionTA=LEGISCTA000006177846&cidTexte=LEGITEXT000006072050&dateTexte=20141122](http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=24EF4645E123516FB1AA86FAEB284F10.tpdjio17v_2?idSectionTA=LEGISCTA000006177846&cidTexte=LEGITEXT000006072050&dateTexte=20141122)

43 Labor code of Poland, Art. 18 (6)

ციელებული ცვლილებების თანახმად, რომელმაც ევროპული დირექტივები გაითვალისწინა, შევიწროების შემდეგი დეფინიცია ფიქსირდება: „სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომლის მიზანი ან შედეგია პირის ღირსების შელახვა და რომელიც მტრულ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ გარემოს ქმნის.“<sup>44</sup>

საქართველოს შრომის კოდექსი, რომელსაც დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა შემოაქვს და შევიწროების შესახებ ჩანაწერსაც შეიცავს, სექსუალურ შევიწროებას ექსპლიციტიურად არ ეხება და არც მის ფორმებს განსაზღვრავს. კერძოდ, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაზინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით.“<sup>45</sup> წინამდებარე ჩანაწერი, ცალსახად ბუნდოვანია, რადგანაც სექსუალურ შევიწროებას დისკრიმინაციის ზოგად დეფინიციასთან აერთიანებს და დისკრიმინაციული ფაქტის მტკიცებისათვის კომპარატორის (ანალოგიურ პირობებში მყოფი სხვა პირების) არსებობას ითხოვს, რაც ნორმის არსებითი ხარვეზია. საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, სექსუალური შევიწროების მტკიცებისათვის კომპარატორის არსებობა აუცილებელი არ არის, რომელთანაც მსხვეპლის მდგომარეობა შედარდებოდა (მსხვერპლსა და სამუშაო გარემოზე სექსუალური შევიწროების უარყოფითი ზეგავლენის თვალსაზრისით).

რაც შეეხება საქართველოში გენდერული თანასწორობის მარეგულირებელ კანონს, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია 2010 წელს მიღებული გენდერული თანას-

44 Journal of Laws of 2010, No. 254, item 1700, ACT of 3rd December, 2010 on the implementation of some regulations of European Union regarding equal treatment, Available at: <http://www.rpo.gov.pl/en/content/act-3rd-december-2010-implementation-some-regulations-european-union-regarding-equal>

45 საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 4



ნორობის შესახებ კანონი, რომლის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი შევიწროების ნათელ დეფინიციას იძლევა: „სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.“ წინამდებარე დეფინიცია შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა კანონი არ იყენებს უშუალოდ „სექსუალური შევიწროების“ ტერმინს, ხოლო კანონში აღსრულების მექანიზმის არქონა ნორმათა გამოყენებითობას ხელს უშლის. რეალურად, აღნიშნული დეფინიციის დეკლარაცია არაფრის მომცემია, თუ პირს არ ექნება შესაძლებლობა, სამუშაო ადგილას სექსუალურ შევიწროებაზე იდავოს. აღსრულების მექანიზმების არქონა ბარიერია პრევენციული სამართლის განვითარებისთვისაც. დღევანდელი მდგომარეობით, გენდერული თანასწორობის კანონის აღნიშნული ნორმის გამოყენების პრევენციული პრაქტიკაში ჯერ არ მომხდარა. ცხადია, ამის მიზეზი მხოლოდ საკანონმდებლო ხარვეზი არ შეიძლება იყოს. სექსუალური შევიწროების ფარული ხასიათი მის იდენტიფიცირებას მნიშვნელოვნად აფერხებს. პატრიარქალურ კულტურაში ქალები საკუთარ პრობლემებზე არ საუბრობენ, რადგან საზოგადოებისა და ოჯახის მხრიდან გაკიცხვის შიში აქვთ. პატრიარქალურ, სქეს-სუბორდინაციულ საზოგადოებაში, სადაც საზოგადოება მსხვერპლი ქალის მიმართ არ არის ტოლერანტული, ორმაგად რთულია დანაშაულის იდენტიფიცირება, პრეზუმფცია და მისი აღმოფხვრა.

საქართველოს მიმართ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) პირდაპირ მოთხოვნაში ILO მიუთითებს, რომ სახელმწიფომ წარმოადგინოს „თუ როგორ და რომელი უწყების მიერ ხორციელდება გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ჩანაწერი სექსუალურ შევიწროებაზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სანქციებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ“.<sup>46</sup> ასევე, ითხოვს ნებისმიერი სტატისტიკური

---

46 ILO, Direct Request (CEACR)-adopted 2013, published 103<sup>rd</sup> ILC session (2014), Georgia.

ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც იქნა შეგროვებული სასამართლოს თუ ნებისმიერი სხვა კომპეტენტური უწყების მიერ. აღნიშნული მოთხოვნა 2013 წელს იქნა მიღებული, თუმცა არც მანამდე და არც მას შემდეგ სიტუაცია არ შეცვლილა, – სახელმწიფო სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შესახებ სტატისტიკას არ ამუშავებს, რასაც ხელს უწყობს დასაქმების ადგილზე საინსპექციო ორგანოს არარსებობა. დოკუმენტში კომიტეტი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოში 2006 წელს შრომის ინსპექციის გაუქმებაზე,<sup>47</sup> ვინაიდან სახელმწიფოში, ფაქტობრივად, აღარ არსებობს ორგანო, რომელიც შრომით ურთიერთობებზე ზედამხედველობას განახორციელებდა.

გარდა სახელმწიფოს ოფიციალური სტატისტიკის არარსებობისა, როგორც ზევით უკვე აღინიშნა, საქართველოში არ არსებობს არც სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მოსამართლეთა მიერ სექსუალური შევიწროების შესახებ არსებული ნორმების ინტერპრეტირებასა და ყოველ კონკრეტულ საქმეში მათ გამოყენებაზე დაკვირვების შესაძლებლობას მოგვცემდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები მიუთითებენ, რომ სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შესახებ განცხადებებისა და საჩივრების სიმწირე იმთავითვე არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში მსგავსი სახის პრობლემას ადგილი არ აქვს.<sup>48</sup> პირიქით, ეს მიუთითებს საკანონმდებლო ხარვეზზე, მის არაეფექტურობაზე, მოსამართლეთა არაინფორმირებულობაზე, სექსუალური შევიწროების ფორმების შესახებ შეთანხმებული განსაზღვრებებისა და გაგების არარსებობაზე.<sup>49</sup> მიზეზებს შორის, შესაძლოა, იყოს აღსრულების მექანიზმის არაეფექტურობა, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის პრობლემა, უნდობლობა მსხვერპლის მიმართ, რის გამოც ისი-

---

47 Ibid.

48 Giving Globalization a Human Face, General Survey on the fundamental Conventions concerning rights at work in light of the ILO Declaration on Social Justice for a Fair Globalization, Report III (Part 1B), 2008, Para. 790. Available at: [http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_norm/---relconf/documents/meetingdocument/wcms\\_174846.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---relconf/documents/meetingdocument/wcms_174846.pdf)

49 Ibid.

ნი მდუმარებას ამჯობინებენ. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ სახელმწიფოს საკანონმდებლო ჩარჩო სექსუალური შევიწროების ნათელ და მაქსიმალურად მომცველ დეფინიციას უზრუნველყოფდეს.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოთა ნაწილი სექსუალურ შევიწროებას სისხლის სამართლის კოდექსითაც არეგულირებს. მათ შორის არის საქართველო, რომელიც სექსუალური შევიწროების ისეთ ფორმებს განსაზღვრავს, როგორც არის გაუპატიურება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,<sup>50</sup> სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება,<sup>51</sup> სექსობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.<sup>52</sup> თუმცა, აღნიშნული ქმედებები, თავისი ხარისხიდან და სიძიმიდან გამომდინარე, ცდება შევიწროების ფარგლებს და სისხლისსამართლებრივ დანაშაულად იქცევა. ამ კონტექსტში, ექსპერტები მიუთითებენ, რომ სექსუალური შევიწროების სენზიტიურობიდან გამომდინარე, მისი მხოლოდ სისხლის სამართლით რეგულირება არ არის ამომწურავი და ეფექტური<sup>53</sup>. სისხლის სამართლის რეგულირების სფეროში, ხშირად, მხოლოდ სექსუალური შევიწროების უკიდურესი ფორმები ხვდება. აქედან გამომდინარე, შევიწროების ყველა შესაძლო ფორმის გათვალისწინება არ ხდება, რაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგის არსებობას გამოიწვევს. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ სექსუალური შევიწროების დეფინიცია ფართოდ იყოს გაშლილი და განმარტებული იმ საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც (გენდერული) თანასწორობასა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას ემსახურება.

შევიწროების მიზეზების კვლევისას, მეცნიერები სამუშაო

---

50 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 137 , პუნქტი (2(ა))

51 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 138, პუნქტი (2(ა))

52 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 139, პუნქტი (1)

53 Giving Globalization a Human Face, General Survey on the fundamental Conventions concerning rights at work in light of the ILO Declaration on Social Justice for a Fair Globalization, Report III (Part 1B), 2008 , Para.791-792

ადგილზე ე.წ. რომანტიკული ურთიერთობების საკითხზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობასაც ხედავენ.<sup>54</sup> რომანტიკული ურთიერთობები სამუშაო ადგილზე, ძირითადად, ორი ფორმით ვლინდება<sup>55</sup>: რომანტიკულ ურთიერთობაში მყოფი, თანაბარი სტატუსის მქონე ორგანიზაციის თანამშრომლები და რომანტიკულ ურთიერთობაში ჩართული თანამშრომლები, რომელთა სამსახურებრივი სტატუსი განსხვავებულია და, შესაბამისად, იერარქიულ რომანტიკულ ურთიერთობაში იმყოფებიან. კვლევების მიხედვით, იერარქიული რომანების შემთხვევაში, მეტი რისკია ეს ურთიერთობა სექსუალურ შევიწროებაში გადაიზარდოს. აღნიშნული კონფლიქტების თავიდან ასარიდებლად ზოგიერთი ორგანიზაცია საკუთარ წესდებებში სუბორდინაციულ რომანტიკულ ურთიერთობებს ოფიციალურად კრძალავს<sup>56</sup>. თუმცა, ამგვარი ორგანიზაციული რეგულაციები თანამშრომლებს შორის რომანტიკული ურთიერთობების ჩამოყალიბების „პრევენციის“ გარანტორი არ არის. ამასთან, მგავსი რეგულაციები, ხშირად, დასაქმებულთა პირად ცხოვრებაში ჩარევად განიხილება, რაც ყოველი კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, შესაძლოა, დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით სარგებლობდეს. სწორედ ამიტომ, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ფოკუსირება უნდა მოხდეს არა ურთიერთობის აკრძალვაზე, არამედ ურთიერთობის რეგულირებაზე. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ წერილობითმა კონტრაქტმა შეიძლება საქმე გაამარტივოს.<sup>57</sup> შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა ორგანიზაციების თუ კომპანიების წახალისება მოახდინონ და შიდა რეგულაციის მექანიზმი შექმნან, რამეთუ მხოლოდ საკანონმდებლო რეგულაცია სექსუალური შევიწროების პრობლემასთან გასამკლავებლად საკმარისი არ იქნება.

---

54 Pierce, C.A. and Anguinis, H. (1997). Bridging the gap between romantic relationships and sexual harassment in organizations, *Journal of Organizational Behavior*, 18(3) p.197-200

55 Ibid. p. 198

56 Ibid. p. 199

57 Ibid. p.199

### 3.4. პასუხისმგებლობის საკითხი

სექსუალური შევიწროების შედეგზე პასუხისმგებლობის საკითხი სახელმწიფოებს განსხვავებულად აქვთ რეგულირებული. ხშირად, პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ქმედების უშუალო განმახორციელებელს. ეს მიდგომა, მეტწილად, იმ სახელმწიფოებს ახასიათებს, რომელსაც სექსუალური შევიწროება მხოლოდ სისხლის სამართლებრივი ნორმებით აქვს რეგულირებული.

თუმცა, სახელმწიფოთა დიდ ნაწილში, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის საკითხიც დგება და მის მიერ კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაციის ქონის შესაბამისად განიხილება.<sup>58</sup> მაგალითად, აშშ-ში ქმედების უშუალო ჩამდენთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრება დამსაქმებელს, როგორც ორგანიზაციის მმართველს, რომელსაც აქვს ვალდებულება, არ დაუშვას საკუთარი თანამშრომლების მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია; ხოლო მის ორგანიზაციაში დასაქმებული პირის მიმართ დისკრიმინატორული ქმედების ჩადენის შემთხვევაში, მიიღოს ყველა ზომა შემვიწროებლის დასასჯელად და მსგავსი შემთხვევის პრევენციისთვის. შესაბამისად, დამსაქმებელი არის პასუხისმგებელი პირი, თუ მან იცოდა (ან უნდა სცოდნოდა) დასაქმებულის შევიწროების შესახებ და არ/ვერ მიიღო შესაბამისი ზომები.<sup>59</sup>

დამსაქმებელს საფრანგეთის კანონმდებლობაც პასუხისმგებლობის მაღალ სტანდარტს უწესებს. საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, თუ დამსაქმებელი არ წარმოადგენს შევიწროების პირდაპირ სუბიექტს, მას შეიძლება მაინც დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ მან იცოდა (ან უნდა სცოდნოდა) ასეთი შემთხვევის შესახებ და არ/ვერ მიიღო შესაბამისი ზომები მის დასაცავად. სხვა სიტყვებით, ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც კი დგება დამსაქმებლის პასუხისმგებლობის საკითხი.<sup>60</sup>

58 European gender equality law review, No.2/2011, p.10

59 Employers Liability for Harassment, Available at: <http://www.eeoc.gov/laws/types/harassment.cfm>

60 Ibid.

ესტონეთის კანონი შრომით-სამართლებრივი ხელშეკრულებების შესახებ, დამსაქმებლის ვალდებულებების შესახებ<sup>61</sup> თავს ცალკე გამოყოფს და მიუთითებს, რომ „დამსაქმებელმა შრომის ისეთი პირობები უნდა უზრუნველყოს, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობებს შეესაბამება.“ ამასთან, სამუშაო ადგილზე თანასწორობის უზრუნველყოფის მოთხოვნა ესტონეთის კანონში „თანასწორი მოპყრობის შესახებ“ არის მითითებული, რომელიც დამსაქმებელს, როგორც თანასწორი მოპყრობის იმპლემენტატორს, აკისრებს მოვალეობას ადეკვატური ზომები მიიღოს, რათა დასაქმებულები დისკრიმინაციისაგან დაიცვას.<sup>62</sup> ასევე, ესტონეთის კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“ 2009 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ დასაქმებულები სამუშაო გარემოში გენდერული ნიშნით შევიწროებისა და სექსუალური შევიწროებისაგან დაცული არიან.<sup>63</sup> ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დამსაქმებელი პასუხისმგებელია უმოქმედობაზეც, როდესაც მან იცოდა (ან უნდა სცოდნოდა) შევიწროების ფაქტის შესახებ და შესაბამისი აღმკვეთი ღონისძიებები ვერ/არ მიიღო.<sup>64</sup>

გერმანიის კანონი „თანასწორი მოპყრობის შესახებ“, ესტონეთის მსგავსად, დამსაქმებლის ვალდებულებას სეპარაციულად ეხება და მიუთითებს, რომ დამსაქმებელი ვალდებულია შესაბამისი პრევენციული ზომები მიიღოს; ხოლო, უშუალოდ, დისკრიმინაციის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, კანონი დამსაქმებელს ავალდებულებს, სიტუაციის „შესაბამისი, აუცილებელი და მისაღები“<sup>65</sup> ქმედებები განახორციელოს დასაქმებულის დაცვის მიზნით. გერმანიის კანონი ავალდებულებს

---

61 Employment contract act of Estonia, Art. 28 (6).

62 Estonia, Equal treatment act, Art. 12 (1).

63 Estonia, gender equality act, Art. 11( 4)

64 Ibid, Art. 6(5).

65 General act on equal treatment, Art. 12 (1)(2)(3)(4)

დამსაქმებელს შექმნას დაცული სამუშაო გარემო და მიიღოს რელიგვანტური ზომები, რათა სამუშაო ადგილზე დისკრიმინაცია დროულად აღკვეთოს. თუ დამსაქმებელი არ ასრულებს თავის მოვალეობას და სექსუალურ შევიწროებაზე არ რეაგირებს ან აშკარა დისკრიმინაციის აღსაკვეთად არასაკმარის ზომებს იყენებს, დასაქმებულს უფლება აქვს სამუშაოს განხორციელებაზე (გარკვეული ვადით) უარი თქვას და ანაზღაურება მაინც მიიღოს.<sup>66</sup>

ფინეთის კანონი „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ გერმანიის მსგავს დეფინიციას აყალიბებს, თუმცა, პასუხისმგებლობის საკითხი განსხვავებულია. ფინეთის კანონი დამსაქმებელთა პასუხისმგებლობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუთითებს, თუ მათ შევიწროების ფაქტის შესახებ მიენოდათ ინფორმაცია და მის აღსაკვეთად შესაბამისი ზომები არ მიიღეს.<sup>67</sup>

ევროპის სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი ვარიაციაა დამსაქმებლის პასუხისმგებლობის შესახებ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც შემთხვევა ფორმალური სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ ხდება. 14 ევროპული სახელმწიფო (გერმანია, ესტონეთი, დანია, ავსტრია, ბელგია, უნგრეთი, ჩეხეთი, მალტა, ლატვია, იტალია, შვედეთი, პორტუგალია ესპანეთი, სლოვაკეთი) დამსაქმებელს პასუხისმგებლობას არ აკისრებს თუ ქმედება ჩვეული სამუშაო ადგილის მიღმა და საოფისე საათების შემდეგ განხორციელდა. განსხვავებულია ფინეთისა და ირლანდიის მიდგომა. მათი კანონმდებლობის მიხედვით, თუ თანამშრომლის შევიწროებას ადგილი აქვს თუნდაც ოფისის გარეთ, არა სამუშაო საათებში, მაგრამ ადგილიც და დროც პირდაპირ კავშირშია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, დამსაქმებელს მომხდარზე პასუხისმგებლობა მაინც ეკისრება. რაც შეეხება კორპორატიულ საღამოებსა და ღონისძიებებს, აქ პასუხისმგებლობის ტვირთი შემცირებულია, გამომდინარე ღონისძიების

---

66 Ibid. Art. 12; 14.

67 Act on Equality between man and women of Finland (Amendments up to 2005 included), Art. 8d

წმინდად არასამსახურებრივი ხასიათიდან.<sup>68</sup>

საქართველოს შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 42-ე მუხლი აწესრიგებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის თანამდებობის პირის მიერ შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევას და შესაბამის ჯარიმასაც ითვალისწინებს. თუმცა, აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა და ადმინისტრაციული სახდელის დადება, შრომის სახელმწიფო ინსპექტორებს ევალებათ,<sup>69</sup> რომელთა არსებობას დღევანდელი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს. შესაბამისად, ეს ნორმა მოძველებულია და მისი გამოყენებაც ვერ ხდება, ინსპექტორების სახით, აღსრულების მექანიზმის არ არსებობის გამო.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც სამუშაო ადგილზე (საჯარო თუ კერძო სექტორში) სექსუალურ შევიწროებას, როგორც შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევას, ადმინისტრაციულ გადაცდომად შეაფასებს და შესაბამის ადმინისტრაციულ სანქციებს დაუქვემდებარებს. ამ მიზნით, საქართველოს შრომის კოდექსში ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი სექსუალური შევიწროების შესახებ ჩანაწერი, რომელიც, როგორც კონკრეტულ დეფინიციას, ასევე მისი ფორმების ფართო სპექტრს ცალკე განსაზღვრავს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ არც ერთი საკანონმდებლო აქტი და მათ შორის, არც შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს დამსაქმებლის პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო. მართალია, შრომის კოდექსის 35-ე მუხლი არეგულირებს დამსაქმებლის ვალდებულებას უზრუნველყოს დასაქმებულის სიცოცხლისა და ჯანმრ-

68 ამ შემთხვევაში იგულისხმება თავისუფალი კორპორატიული ღონისძიება, რომელსაც აქვს გასართობი ხასიათი და სადაც შესაძლებელია ალკოჰოლის მიღება. ცხადია, დამსაქმებელი ვერ გააკონტროლებს დასაქმებულთა თუ მესამე პირთა ალკოჰოლით თრობის შედეგად გამოწვეულ ქცევებს.

69 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 215.



თელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთო სამუშაო გარემო, თუმცა, სექსუალური შევიწროებისას ადამიანის სოცოცხლე და ჯანმრთელობა ყოველთვის საფრთხის ქვეს არ დგება.

### 3.5. მტკიცების ტვირთი

სექსუალური შევიწროების დეფინიციის შრომით კანონმდებლობაში ფორმალური ასახვა ეფექტური არ იქნება, თუ არ იარსებებს დაცვის ეფექტური მექანიზმი, რომელიც, როგორც მტკიცების ტვირთის, ისე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხს დაარეგულირებს. დისკრიმინაციასთან მიმართებაში მტკიცების ტვირთი, როგორც წესი, მხარეებს შორის არის გადანაწილებული, თუმცა, დამსაქმებელზე/მოპასუხეზე მეტი ტვირთი მოდის. ევროკავშირის 2000/78/EC დირექტივა წვერი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ეროვნულმა კანონმდებლობებმა იმ პირისათვის, რომელიც არათანასწორი მოპყრობის მსხვერპლად მიიჩნევეს თავს, სასამართლოში თუ სხვა კომპეტენტურ ორგანოში მიმართვის უფლება უზრუნველყონ, ხოლო მოპასუხეს დააკისრონ ვალდებულება ამტკიცოს, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.<sup>70</sup>

საქართველოში 2014 წელს მიღებული კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მტკიცების ტვირთს, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, მხარეებს შორის ანაწილებს და მოპასუხეს დისკრიმინაციული ფაქტის შესახებ გონივრული ეჭვების გაქარწყლებას ავალდებულებს.<sup>71</sup> მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, მტკიცების ტვირთის მარეგულირებელი ნორმა მოდიფიცირდა. შედეგად, დისკრიმინაციის საფუძვლით შეტანილ სარჩელზე მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება, თუ დასაქმებული ისეთ გარემოებებზე მიუთითებს, რაც გონივრულ ვარაუდს წარმოშობს, რომ დამსაქმებელი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“

70 Council Directive 2000/78/EC, Art.10

71 მუხლი 8 (1)

ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევით მოქმედებდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჩანაწერი დისკრიმინაციის მსხვერპლს მტკიცების ტვირთს მნიშვნელოვნად უმსუბუქებს, ის მხოლოდ შრომითი ურთიერთობების შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს ფარავს და არ მოიცავს წინასახელშეკრულებო და სახელშეკრულებო ურთიერთობებს და, შესაბამისად, არც სექსუალურ შევიწროებას.<sup>72</sup>

თვალსაჩინოებისთვის, განსხვავებულია გერმანიის მიდგომა, რომელიც მტკიცების ტვირთის საკითხს შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ყველა ასპექტში ითვალისწინებს. გერმანიის „თანასწორი მოპყრობის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლი დასაქმებულს უფლებას ანიჭებს საჩივარი შეიტანოს კონკრეტული ფორმის, კომპანიის თუ ორგანიზაციის კომპეტენტურ დეპარტამენტში, თუ თვლის, რომ დამსაქმებლის, სუპერვაიზერის, თანამშრომლის ან მესამე პირის მხრიდან დისკრიმინაციის მსხვერპლს წარმოადგენს.<sup>73</sup> აღნიშნული საჩივარი შესაბამისად უნდა იქნას გამოკვლეული და დროულად უნდა მოხდეს განმცხადებლის ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.<sup>74</sup>

### 3.6. ზიანის ანაზღაურება და სანქციები

სექსუალური შევიწროებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს სახელმწიფოები, როგორც წესი, ანტიდისკრიმინაციული კანონითა და შრომის კოდექსით განსაზღვრავენ. სასამართლოში დავა სპეციალური შრომითი სასამართლოების ან სამოქალაქო და კომერციული სასამართლოების მიერ ხორციელდება.<sup>75</sup> ზოგადად, მსგავსი ღონისძიებები მსხვერპლისათ-

72 საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 37, ნაწილი 3, პუნქტი ბ

73 General act on equal treatment, Art. 13 (1)

74 Ibid.

75 Numhauser-Henning, A. and Laulom, S. (2011). Harassment related to sex and sexual harassment law in 33 European Countries, discrimination versus dignity. Available at: [http://www.ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your\\_rights/final\\_harassment\\_en.pdf](http://www.ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your_rights/final_harassment_en.pdf)

ვის კომპენსაციის გადახდას არ გულისხმობს, მაგრამ ადმინისტრაციულ ჯარიმას და თავისუფლების აღკვეთასაც კი ითვალისწინებს. ზოგიერთ ქვეყანაში სისხლის/ადმინისტრაციული ჯარიმები კომპენსაციასთან არის კომბინირებული (ბელგია, ირლანდია, ესპანეთი).<sup>76</sup> პორტუგალიაში შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია, ადმინისტრაციული სანქციები შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად გამოწეროს. რუმინეთსა და ხორვატიაში სექსუალური შევიწროება სისხლის სამართლებრივი ქმედებაა, თუმცა, ის მსხვერპლსა და შემვიწროებელს შორის სუბორდინაციულ სამსახურებრივ ურთიერთობას მოითხოვს.

ევროპის დირექტივამ 2006/54/EC (განახლებული) კომპენსაციის ზედა ზღვარის განსაზღვრის თაობაზე მიდგომა შეცვალა (მუხლი 18) და მიუთითა, რომ „მსგავსი კომპენსაცია თუ რეპარაცია არ შეიძლება შეიზღუდოს ფიქსირებული ზედა ზღვარის დანესებით.“<sup>77</sup> ევროპული დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით, სახელმწიფოთა უმრავლესობამ სექსუალურ შევიწროებაზე კომპენსაციის მხოლოდ მინიმალური ზღვარი დაადგინა. ავსტრიაში ღირსების შელახვაზე კომპენსაციის მინიმალური ოდენობა განსაზღვრულია 1000 ევროთი.<sup>78</sup> საფრანგეთში სექსუალური შევიწროებისას შრომის კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს 1 წლით თავისუფლების აღკვეთას და ჯარიმას 15 000 ევროს ოდენობით. ბელგიაში, გენდერული თანასწორობის კანონის მიხედვით, დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა წარმოადგენდეს მინიმუმ 650 ან 1300 ევროს. რაც შეეხება პოლონეთს, თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევის შემთხვევაში, მსხვერპლს უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია, რო-

---

76 Ibid.

77 Directive 2006/54/ec(recast),Art. 18

78 Numhauser-Henning, A. and Laulom, S. (2011). Harassment related to sex and sexual harassment law in 33 European Countries, discrimination versus dignity. Available at: [http://www.ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your\\_rights/final\\_harassment\\_en.pdf](http://www.ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your_rights/final_harassment_en.pdf)

მელიც 1 თვის მინიმალური ხელფასზე ნაკლები არ უნდა იყოს.<sup>79</sup>

მსგავსი ჩანაწერი საქართველოს შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ არც ერთ საკანონმდებლო აქტში არ გვხვდება, რაც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, დისკრიმინაციული და, მეორეს მხრივ, დაუსჯელობის პრაქტიკის განვითარებას. საქართველოში 2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებები შევიდა და მას მეშვიდე კარი დაემატა. შედეგად, დისკრიმინაციის მსხვერპლის მიერ სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის წესი და პროცედურები განისაზღვრა.<sup>80</sup> შეტანილი ცვლილებების თანახმად, „ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა“<sup>81</sup> და მოითხოვოს დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრა; ასევე, მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. თუმცა, სათუთა, რამდენად შეუძლია სექსუალური შევიწროების მსხვერპლს აღნიშნული ნორმებით იდავოს მაშინ, როდესაც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი სექსუალური შევიწროების შესახებ კონკრეტულ ჩანაწერს არ შეიცავს. ცხადია, შესაძლებელია მისი მოაზრება დისკრიმინაციის ზოგად დეფინიციაში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, სექსუალური შევიწროების ფაქტის მტკიცება კომპარატორის გარეშე ვერ მოხდება, ეს კი კანონის არსებით ხარვეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ (ისევე, როგორც შრომის კოდექსის შემთხვევაში). როგორც არა ერთხელ აღინიშნა, სექსუალური შევიწროების დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვაში მოაზრება ფაქტის იდენტიფიცირებასა და მტკიცებას მნიშვნელოვნად ართულებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“

79 Ibid.

80 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 363<sup>1</sup>-363<sup>6</sup>

81 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363<sup>2</sup> (1); (3(ა;ბ))

სექსუალური შევიწროების შესახებ ცალკე მუხლს შეიცავდეს და მსხვერპლის მიერ ფაქტის მტკიცებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას უზრუნველყოფდეს.

### **3.7. დასკვნები და რეკომენდაციები**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკანონმდებლო აქტები დისკრიმინაციული ქმედების შედეგად დამდგარი მორალური თუ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, ზოგადად, უზრუნველყოფენ, აღნიშნული ნორმები დისკრიმინაციული ქმედების ყველა გამოვლინებასთან მორგებული არ არის. იმისათვის, რათა მსხვერპლს შესაძლებლობა მიეცეს საპროცესო ნორმები გამოიყენოს, აუცილებელია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონსა და შრომის კოდექსში სექსუალური შევიწროების, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის, სეპარაციული რეგულაცია მოხდეს. ცხადია, მხოლოდ ქმედების დეფინიცია არ არის საკმარისი. აუცილებელია, რომ სახელმწიფო სამუშაო ადგილზე ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის ვალდებულებას იაზრებდეს თითოეულ დამსაქმებელთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც კონკრეტულ ნორმას დაანესებს და შესაბამისი სადამსჯელო მექანიზმით აღჭურავს, თუ დამსაქმებელი საკუთარი ვალდებულებების შესრულებას თავს აარიდებს და დისკრიმინაციული ფაქტის აღსაკვეთად არ იმოქმედებს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების რეგულირება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც, უშუალოდ, ხელმყოფელს და ბრალეულობის არსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელს, შესაბამის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დააკისრებს. აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია სახელმწიფომ კვლავ დაიწყოს შრომის ინსპექციის შექმნაზე ზრუნვა, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი, აპოლიტიკური ორგანო, დასაქმებულთა უფლებების დაცვაზე იქნება ორიენტირებული და პასუხისმგებელი პირების დასჯასთან ერთად, დისკრიმინაციული ქმედებების პრევენციაზეც იზრუნებს.

სახელმწიფომ შესაბამისი ადმინისტრაციული და სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის იდენტიფიცირებას და მის აღმოფხვრას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან არა მხოლოდ რეპრესიული, არამედ საგანმანათლებლო და ნამახალისებელი/მხარდამჭერი საქმიანობებით. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო დაინტერესებული იყოს გენდერთან დაკავშირებული რიგი საკითხების კვლევით; ყურადღება გაამახვილოს საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპების პრობლემა-სა და საზოგადოებრივი ცნობიერების ტრანსფორმაციაზე, რითაც გენდერული თანასწორობის პრინციპზე დამყარებული სახელმწიფოს მშენებლობას მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული მცირე კვლევის შედეგებიც ერთგვარი კონტრიბუცია იქნება სექსუალური შევიწროების, როგორც ნაკლებად ხილული გენდერული დისკრიმინაციის, გათვალსაჩინოებასა და მასთან გამკლავების სტრატეგიების შემუშავებაში.

#### **თავი 4. სამუშაო ადგილზე საქსუალური შევიწროების მიმართ დასაქმებული ქართველი ქალებისა და კაცების დამოკიდებულებებისა და პირადი გამოცდილების კვლევა**

##### **კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევის ეს კომპონენტი განხორციელდა თვისებრივი მეთოდების, ფოკუს ჯგუფისა და სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით. სამსახურებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროების მიმართ წარმოდგენებისა და აღქმის შესწავლის მიზნით, სამი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა დასაქმებულ ქალებთან, ხოლო ერთი – დასაქმებულ კაცებთან. ქალების შემთხვევაში მეტი ჯგუფური დისკუსიის ორგანიზება სექსუალური შევიწროების შესაძლო გამოცდილების რეგისტრაციას ემსახურებოდა, რამეთუ ფოკუს

ჯგუფის რესპონდენტების შერჩევის კრიტერიუმი უშუალოდ შევინროების გამოცდილება არ ყოფილა.<sup>82</sup> გარდა ამისა, კვლევა თავიდანვე ექსკლუზიურად ქალების დისკრიმინაციის საკითხს ეხებოდა. მთლიანობაში, დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 18-55 წლის ოცდაათმა რესპონდენტმა (22 ქალი და 8 კაცი).

დამატებით, კიდევ უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, პირისპირი ინტერვიუ დაიგეგმა და ჩატარდა სამსახურში სექსუალური შევიწროების გამოცდილების მქონე 4 ქალთან. თუმცა, ხსენებული ოთხი რესპონდენტიდან ერთ-ერთმა ქალმა, ინტერვიუს ჩანერის მეორე დღეს, ჩანანერის ნაშლა გვთხოვა. ეთიკური ნორმებიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფმა რესპონდენტის სურვილი დაუყოვნებლივ შეასრულა და ამ ანგარიშში აღნიშნულ რესპონდენტთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია შესული არ არის. რესპონდენტების ასაკი ვარირებს 25-31 წლის ფარგლებში.

კვლევის რესპონდენტები (ფოკუს ჯგუფის და ინტერვიუს მონაწილეები) კვლევის პერიოდში დასაქმებულები იყვნენ. კვლევა ჩატარდა კონფიდენციალურობის სრული დაცვით. შესაბამისად, კვლევის ყველა მონაწილის ვინაობა ანონიმურია.

#### **4.1. დასაქმებულ ქალებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგები: წარმოდგენები გენდერულ დისკრიმინაციაზე**

დასაქმებულ ქალებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების საფუძველზე გამოვლინდა, რომ რესპონდენტებს ნათელი წარმოდგენა აქვთ გენდერულ დისკრიმინაციაზე. კვლევის მონაწილეები გენდერულ დისკრიმინაციას საკმაოდ ფართო სპექტრში განიხილავენ და განმარტავენ, როგორც ქალსა და

---

82 კვლევით ჯგუფს ქონდა არა ერთი მცდელობა ჯგუფი დაეკომპლექტიბინა სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების გამოცდილების მქონე ქალებით, რისი განხორციელებაც შეუძლებელი აღმოჩნდა: ერთი მხრივ, პოტენციურ რესპონდენტებს არ ქონდათ პასუხი კითხვაზე გამხდარან თუ არა სამსახურში სექსუალური შევიწროების ობიექტი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში; მეორეს მხრივ, მსგავსი გამოცდილების მქონე ქალები კვლევაში მონაწილეობაზე უარს აცხადებდნენ.

კაცს შორის უფლებრივ უთანასწორობას, ქალების ჩაგვრას და დამცირებას, აკრძალვების დანესებასა და კონტროლს. გენდერულ დისკრიმინაციად განისაზღვრა, ასევე, ადამიანის ფიზიკური და ვერბალური შეურაცხყოფა, ფსიქოლოგიური ზენოლა, სექსუალური ძალადობა და კაცის ლიდერობა პრივატულ თუ საზოგადოებრივ სივრცეში.

კვლევის მონაწილეებს შორის ხაზი გაესვა იმას, რომ ოჯახი არის სივრცე, სადაც გენდერული იერარქია განსაკუთრებით ნათლად ჩანს: ოჯახის უფროსი კაცია, ხოლო ქალი სუბორდინირებულია იმის მიუხედავად, თუ ვინ არის ოჯახის რეალური მარჩენალი. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ოჯახში მხოლოდ ქალია ერთადერთი დასაქმებული და ოჯახს ფინანსურად უზრუნველყოფს, კაცი მაინც ინარჩუნებს „ოჯახის უფროსის“ სტატუსს და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ის იღებს. ქართულ ოჯახებში გენდერულ იერარქიას ქალი რესპონდენტების გარკვეული ნაწილი პატრიარქალური ღირებულებების დომინირებით ხსნის, თუმცა, უშუალოდ სუბორდინირებულ ქალებზე საუბრისას, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ თავად ქალები „აღიღერებენ“ კაცებს, მათი „მენტალობიდან“ გამომდინარე.

*„ქალი მუშაობს, არის შემომტანი, მაგრამ ამის მიუხედავად გადაწყვეტილებას მაინც კაცი იღებს.“ [ქალი, 18-25]*

*„ამ შემთხვევაში შემომტანი ქალია, მაგრამ მამაკაცი ლიდერობს, თუნდაც იმით, რომ ქალს დისკრიმინაციას უწევს; რაც შეეხება ოჯახის უზრუნველყოფას და შემოტანას, ამას ქალი აწესრიგებს. საქართველოში, ოჯახების 50-60%-ში ქალი ლიდერობს მატერიალური უზრუნველყოფის მხრივ, ისე კი ლიდერი ყოველთვის კაცია.“ [ქალი, 26-55]*

*„უბრალოდ ალბათ ქალის მენტალიტეტში ზის, რომ რაც არ უნდა შემომტანი იყოს და ოჯახში დიდი როლი ქონდეს, მაინც კაცს ვაღიღერებთ, იმიტომ რომ ეს ასეა ჩვენს კულტურაში.“ [ქალი, 26-55]*

*„ის ქალები, რომელთა უფლებებიც ირღვევა, თვითონ თვლიან, რომ მამაკაცია წამყვანი.“ [ქალი, 18-25]*



## 4.2. სამუშაო ადგილზე გენდერული დისკრიმინაციის ცნობიერება და გამოცდილება

გენდერული ცნობიერებისა და სენზიტიურობის დაბალი დონე მჭიდრო კავშირშია სამუშაო ადგილებზე გენდერული დისკრიმინაციის პრაქტიკასთან (Elborgh-Woytek et al 2013, Krogh et al 2009, Bedneliani et al 2014). 2014 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის „გენდერული დისკრიმინაცია საქართველოს დასაქმების ბაზარზე“<sup>83</sup> შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ დასაქმებული რესპონდენტებისთვის (როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის) მნიშვნელოვანი განსხვავება სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციას და ისეთ მოპყრობას შორის, რომელმაც, შესაძლოა, დასაქმებულში მხოლოდ უსიამოვნო გრძნობები გამოიწვიოს, არ არსებობს. მაგალითად, გამოკითხულთა უმრავლესობისთვის სრულიად მისაღებია სამუშაოს გასაუბრებაზე ქალისთვის მის ოჯახურ მდგომარეობასა და შვილების რაოდენობაზე კითხვების დასმა. საყურადღებოა, რომ გამოკითხული ქალების 44%, ხოლო კაცების 47% ფიქრობს, რომ მენეჯერის მიერ ქალი თანამშრომლის ტრენინგზე არ გაშვება მხოლოდ იმიტომ, რომ ქალს მცირეწლოვანი ბავშვი ყავს (თუმცა, თავად ქალს ტრენინგზე დასწრება სურს) წარმოადგენს არა დისკრიმინაციას, არამედ უბრალოდ, უსიამოვნო გამოცდილებას<sup>84</sup>. სწორედ, აღნიშნული დამოკიდებულება შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ გამოკითხული ქალებისა და კაცების უმრავლესობა აცხადებს, რომ სამუშაო ადგილზე არასოდეს ყოფილან უსამართლო, უთანასწორო მოპყრობის მსხვერპლი.

თუმცა, ზევით ხსენებული კვლევის შედეგები ათვალსაჩინოებს გენდერულ სხვაობას დასაქმებულთა ანაზღაურებაში, რომლის მიხედვით ქალთა საშუალო თვიური ხელფასი 251-400 ლარამდე მერყეობს, ხოლო კაცების 401-700 ლარამდე.<sup>85</sup> გენდ-

83 Center for Social Sciences (2014). Gender Discrimination in Georgian Labour Market (Statistical Data). Tbilisi

84 Ibid.

85 Ibid.

ერული უთანასწორობა აღინიშნება ბონუსებისა და პრემიების გაცემის თვალსაზრისითაც: გამოკითხული კაცების 66%-ს აქვს მიღებული ბონუსი, ხოლო 60%-ს – პრემია. ქალების შემთხვევაში კი ბონუსი მიიღო 34%-მა, ხოლო პრემია ჩაერიცხა 41%-ს<sup>86</sup>. სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, ქალები დასაქმებულთა უფრო მონეცვლადი ჯგუფია და სწორედ, ქალები ხდებიან (თითქმის ყოველი მეხუთე გამოკითხული) ისეთი ტიპის დისკრიმინაციის ობიექტები, როგორც არის არასათანადო ანაზღაურება, აუნაზღაურებელი დამატებითი სამუშაო საათების ჩათვლით.<sup>87</sup>

**ჩვენს მიერ ორგანიზებული ფოკუს ჯგუფების მონაწილე დასაქმებული ქალების ცნობიერება სამუშაო ადგილებზე ქალთა დისკრიმინაციის შესახებ, საერთო ჯამში, საკმაოდ დაბალია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 18-25 წლის რესპონდენტები (26-55 წლის რესპონდენტებთან შედარებით) საკუთარი თუნაცნობების გამოცდილების გენდერულ დისკრიმინაციად იდენტიფიცირებას უფრო იოლად ახდენდნენ და უფრო მოტივირებულებიც იყვნენ, ინფორმაცია დისკუსიის მონაწილეებისთვის და მოდერატორისთვის გაეზიარებინათ. 18-25 წლამდე ქალებმა დისკრიმინაციის ისეთ გამოცდილებაზე ისაუბრეს, როგორც არის კაცი თანამშრომლებისთვის (კაცი ხელმძღვანელის ჩათვლით) ყავის მოდულება, მათი მოვალეობების შეთავსება, დამატებითი საქმის შესრულება, არაადეკვატურად დაბალი პრემიის მიღება კაც თანამშრომლებთან შედარებით და არასასურველი ყურადღება (ე.წ. გადაკიდება) კაცი თანამშრომლის მხრიდან.**

უფროსი ასაკის რესპონდენტებს (26-55) შესამჩნევად გაუჭირდათ ისეთი სიტუაციების გახსენება, რომელიც მათთვის, როგორც მდებარეობითი სქესის დასაქმებულისთვის, სამსახურში, მინიმუმ, დისკომფორტის გამომწვევი იყო. აქედან გამომდინარე, რესპონდენტების აღნიშნულ ჯგუფს პირადი გამოცდილება არ გაუზიარებია და ძალიან ზოგადი მაგალითებით შემოიფარგლა.

---

86 Ibid.

87 Ibid.

„ჩვენთან ხელფასები იწყებოდა 800 ლარიდან. მე მქონდა 1200 და პრემია გამომიწერეს 200 ლარი. უფროსი იყო 55-60 წლის კაცი და როდესაც ვკითხე რატომ გამომიწერეს ასე ცოტა, მიპასუხა, რომ ნაკლებს ვმუშაობდი. მოვთხოვე პასუხი, რატომ მინერდა ნაკლებ პრემიას: იმიტომ, რომ ქალი ვიყავი, ვიყავი ყველაზე პატარა?! კითხვაზე პასუხი ვერ გამცა.“ [ქალი, 18-25]

„მე სამსახურიდან წამოვედი ბიჭების გამო. ერთი დამსდევედა, უკან დამყვებოდა და მე არაფერი ვიცოდი; ჩემს თვალწინ დარეკა და გაიგო ჩემი ნომერი, მენეჯერს ის უყვარდა და ამიტომ არაფერს ეუბნებოდა. ძალიან შევიწროებულად ვგრძნობდი თავს. იყო შემთხვევა, რომ ორჯერ მომეპარა და თავზე მაკოცა, ამის გამო ერთი ამბავი ავტყეხე. უკან დამყვებოდა ხოლმე, ერთხელ მეტროშიც კი შემომყვა.“ [ქალი, 18-25]

„დილას რომ მივედიოდით სამსახურში, ყველა თავისთვის იკეთებდა ყავას. ერთი ადამიანი (კაცი), რომელიც პრემიებს წერდა, კითხულობდა ხოლმე ყავას რომელი გოგო მომართმევსო.“ [ქალი, 18-25]

„მე სიამოვნებით მომიდულებია იმიტომ, რომ ქალი ვარ და მიმაჩნია, რომ ვალდებული ვარ კაცთან, რომ რამე გავაკეთო. ეს ქალის საქმეა, – საოჯახო საქმიანობა.“ [ქალი, 26-55]

18-25 წლამდე რესპონდენტებს შორის ისიც აღინიშნა, რომ მომსახურების სფეროში, მაგალითად, კონსულტანტის და ოპერატორის პოზიციაზე, ძირითადად, ახალგაზრდა ქალები მუშაობენ, რომლებიც კაცების მხრიდან დისკრიმინაციის მსხვერპლი ხშირად ხდებიან. ჯგუფში ხაზი გაესვა თავად ქალების პასიურობას საკუთარი შრომითი უფლებების (და არა მხოლოდ) დაცვაში და უსამართლობასთან მათ შემგუებლურ პოზიციას. უფროსი ასაკის ქალების ჯგუფში (26-55) გენდერული ცნობიერების ნაკლებობაზე მიუთითებს ისეთი კომენტარებიც, რომლებიც შრომით ბაზარზე ქალთა დისკრიმინაციას თაობათა შორის განსხვავებების კონტექსტში განიხილავს.

„ასეთ სამსახურებში, სუპერმარკეტები, აფთიაქები, რომლებიც ღამე მუშაობს, ასეთი ფაქტები ხშირია. აქ დასასაქმებლად უნდათ ახალგაზრდა გოგოები და ისეთ მდგომარეობაში

აყენებენ, რომ წარმოდგენაც კი მიჭირს. იმ 4 თვის განმავლობაში რაც მე გავძელი და ვიმუშავე, ბევრჯერ ყოფილა, რომ ვილაც მოდის და უნდა რომ ხელზე გაკოცოს! გონიათ, რომ რადგან გოგო ღამე მუშაობ, უპატრონო ხარ და არც არავინ ცდილობს ამ სიტუაციის აღმოფხვრას.“ [ქალი, 18-25]

„ძალიან შეიცვალა ყველაფერი, ჩემთვის რომ დაუვალე-ბიათ, დიდი სიამოვნებით დავმჯდარვარ და მისი (კაცი თანამშრომლის ან დირექტორის) საქმე სიამოვნებით გამიკეთებია. არასოდეს მიმიღია, რომ ეს ძალადობაა და ამას ძალით მაკეთებინებენ.“ [ქალი, 26-55]

„შეიცვალა დრო, ძალიან შეიცვალა.... ახლანდელი ახალგაზრდობა ამ ყველაფერს სხვანაირად აღიქვამს.“ [ქალი, 26-55]

„როდესაც კაცი არღვევს ქალის უფლებებს, ქალიც აბედინებს. ხომ შეიძლება ამ ქალმა თავისი აზრი გამოხატოს, თავისი აზრი გაიტანოს? ამ შემთხვევაში, ქალიც დამნაშავეა, რომ ზღუდავს თავის უფლებებს, თვითონ ეგუება ამ სიტუაციას.“ [ქალი, 18-25]

„საქართველოში ქალები არ ვიბრძვით, ვსხედვართ და ვსაუბრობთ. ქუჩაში რომ გავალთ, ტრანსპორტში იგივე პრობლემა სხვას რომ შეექმნას, შეიძლება თავი მივატრიალოთ და გავიაროთ.“ [ქალი, 18-25]

### 4.3. სექსუალური შევიწროების აღქმა

კვლევა „გენდერული დისკრიმინაცია საქართველოს დასაქმების ბაზარზე“ სამუშაო ადგილებზე სექსუალური შევიწროების პრაქტიკასაც შეეხო, რაც ქართულ კვლევით სივრცეში უპრეცედენტო მოვლენაა.<sup>88</sup> აღნიშნული კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ სექსუალური შევიწროების ფენომენის მიმართ გამოკითხულთა ცნობიერება დაბალია.<sup>89</sup> სექსუალური შევიწროების მიმართ რესპონდენტების წარმოდგენები-

88 Center for Social Sciences (2014). Gender Discrimination in Georgian Labour Market (Statistical Data). Tbilisi

89 Ibid

სა და დამოკიდებულებების განსაზღვრის მიზნით, კვლევის მონაწილეებმა სხვადასხვა სიტუაცია შეაფასეს. მაგალითად, ქალების 55%, ხოლო კაცების 39%-სთვის სამსახურში სექსუალური შინაარსის კომენტარის ან ხუმრობის მოსმენა უსიამოვნო იქნებოდა; კაცების 83% და ქალების 69% სექსუალური შინაარსის მქონე მეტსახელით მიმართვას არასასიამოვნო ფაქტად მიიჩნევს. აგრეთვე, ქალებისა და კაცების უმრავლესობა [86%/75%] თავს უხერხულად იგრძნობდა, თუ ვინმე სამსახურში მათი სექსუალური ცხოვრების შესახებ კომენტარს გააკეთებდა.<sup>90</sup> საინტერესოა, რომ რიგი სიტუაციების შეფასებისას, კაცი რესპონდენტები ქალებისგან განსხვავებით, პასუხის ვარიანტს – „ვერ წამოვიდგენ“ უფრო ხშირად აღნიშნავდნენ. მაგალითად, კაცების 32%-ს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება მათ ვინმემ სექსი აიძულოს. იმავე პოზიციას იზიარებს გამოკითხული ქალების მხოლოდ 23%. ეს კი, ერთგვარად, სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებაში, ქალების მონყვლად მდგომარეობაზე მიანიშნებს.<sup>91</sup> კვლევის (Center for Social Sciences, 2014) შედეგების თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 3% აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ობიექტი გამხდარა შემდეგი ფორმით: სექსუალური შინაარსის ვერბალური კომენტარები რესპონდენტების გარეგნობაზე, პირად ცხოვრებასა და ოჯახზე; ასევე, გაუთავებელი დაპატიჟებები მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. თუმცა, კვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ რეალური მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე დეკლარირებულმა პასუხების რაოდენობამ შეადგინა. იმ ქალებს შორის, რომელსაც სექსუალური შევიწროების გამოცდილება აქვს, 25% ამბობს, რომ მსგავს პოზიციაზე დასაქმებული კაცი თანამშრომლის მხრიდან გამხდარა შევიწროების ობიექტი, ხოლო 11% – კლიენტის, პაციენტის, სტუდენტის და სხვ. მხრიდან.<sup>92</sup>

---

90 Ibid.

91 Ibid.

92 Ibid.

დაბალი ცნობიერება სექსუალური შევიწროების, როგორც გენდერული დისკრიმინაციის ერთ-ერთი გამოვლინების მიმართ, ფოკუს ჯგუფების შემთხვევაშიც გამოიკვეთა. დისკუსიის მსვლელობისას მონაწილეებს ვკითხეთ, თუ რა ასოციაციები ჰქონდათ გენდერული დისკრიმინაციის უჩინარ და ნაკლებად ხილულ ფორმებთან დაკავშირებით. ქალი რესპონდენტების უმრავლესობამ სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება დაასახელა. ცალკეულ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ძალადობა და იძულების წესით გარკვეული ქცევის განხორციელებაც აღინიშნა. საინტერესოა, რომ რამდენიმე რესპონდენტმა სიტყვა „უჩინარი“ ასოციაციურად ოჯახს დაუკავშირა, უფრო კონკრეტულად კი იმას, რომ რიგი საკითხები „ოჯახის ზღურბლს“ არ ცდება (ყოველ შემთხვევაში, სასურველია არ გასცდეს). **აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთმა, იურიდიული განათლების მქონე რესპონდენტმა, დაასახელა და განმარტა Quid Pro Quo (მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ) სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილებზე, როგორც გენდერული დისკრიმინაციის უხილავი ფორმა.**

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალების უმრავლესობა უცხო კაცის მხრიდან მათ გარეგნობასა თუ ჩაცმულობაზე სექსუალური შინაარსის ვერბალური კომენტარის გაკეთებას, ერთმნიშვნელოვნად, გენდერულ დისკრიმინაციად და, უფრო კონკრეტულად კი, სექსუალურ შევიწროებად, არ აღვასებს. რამდენიმე ქალმა მათ გარეგნობაზე კომენტარის გაკეთება კომპლიმენტის მიღებასთან გააიგივა და აღნიშნა, რომ ეს სასიამოვნოც შეიძლება იყოს. ნიშანდობლივია, რომ რესპონდენტებს შორის შეურაცხყოფაზე საუბარი მხოლოდ მაშინ დაიწყო, როდესაც დისკუსია უცხო კაცის მიერ ქუჩასა და/ან ტრანსპორტში ფიზიკურ შეხებაზე გავრცელდა.

*„ქალებს აღიქვამენ მოხმარების საგნად სამზარეულოში, სანოლში... ამიტომ, არ ერიდებათ ბიჭებს გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება.“ [ქალი, 18-25]*

*„ყველა ქალები ხართ და უცხო მამაკაცის კომპლიმენტს ყოველთვის ძალადობად არ აღიქვამთ, ალბათ.“ [ქალი, 26-55]*

„მე მაინც ძალადობად არ მიმაჩნია. თუნდაც, ვილაცამ გაამჟღავნოს თავისი სექსუალური ფანტაზია ხმამაღლა, მე არ ჩავთვლიდი ამას ძალადობად.“ [ქალი, 26-55]

„არ მომწონს, მაგრამ დისკრიმინაციად არ აღვიქვამ ამას.“ [ქალი, 18-25]

„კაცურად რომ გეტყვის ბიჭი რამეს გესიამოვნება, თუნდაც კარგი „ნაშა“ ხარო.“ [ქალი, 26-55]

საინტერესო დაკვირვებაა, რომ დისკუსიის მონაწილეებისთვის, რაც უფრო ხილვადი, ნაკლებად დისტანციური და მძიმე ხასიათის ქცევა ხორციელდება (არ აქვს მნიშვნელობა კონკრეტულად მათ მიმართ თუ ზოგადად), მით უფრო საყურადღებოდ და საფრთხის შემცველად აღიქმება ის, მაგალითად, როგორც ზევით აღნიშნა, გაუპატიურება და ფიზიკური შეხება, რომლის ფონზეც ვერბალური კომენტარები პრობლემად საერთოდ არ აღიქმება. აღნიშნული საკმაოდ გავრცელებულ ტენდენციას წარმოადგენს. Welsh-ი (1999) სტატიაში „Gender and Sexual Harassment“ აღნიშნავს, რომ მკვლევრებს შორის, არსებობს შეთანხმება, რომლის თანახმად, რაც უფრო ექსპლიციტურია (მძიმე, ინტენსიური, მრავალჯერადი) ვერბალური/ფიზიკური ქცევა, მით უფრო ხშირად ხდება მისი შევიწროებად სახელდება.<sup>93</sup>

რაც შეეხება სექსუალური შევიწროების ობიექტად საკუთარი თავის იდენტიფიცირებას, Welsh-ი (1999) წერს, რომ ადამიანთა გარკვეული კატეგორია, მაგალითად, ადამიანები ტრადიციული გენდერული წარმოდგენებით, ტერმინის „სექსუალური შევიწროება“ გამოყენებას ერიდებიან. გასათვალისწინებელია რასობრივი მიკუთვნებულობის, სექსუალური ორიენტაციის და სამსახურებრივი თანამდებობის ფაქტორებიც. ქმედების სექსუალურ შევიწროებად იდენტიფიცირება, უმეტესად, ხდება მაშინ, როდესაც შევიწროების სუბიექტსა და ობიექტს განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია და/ან რასობრივი მიკუთვნებულობა აქვს. უახლესი თვისებრივი

---

93 Welsh. S. (1999). Gender and Sexual Harassment, Annual Review of Sociology, 25 p. 169-190

კვლევის შედეგები მიანიშნებს ორგანიზაციულ კულტურაზეც, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს დასაქმებულების ნებას და შესაძლებლობას საკუთარი გამოცდილების სექსუალურ შევიწროებად იდენტიფიცირებისთვის. მაგალითად, მკვეთრად მასკულიზირებული კულტურის მქონე ორგანიზაციაში ქალები, რომლებსაც სურთ, კომპეტენტური და გუნდური მოთამაშის იმიჯი ჰქონდეთ, მეტწილად, მათი გამოცდილების შევიწროებად სახელდებას არ ახდენენ. Welsh-ი (1999) საუბრობს იმ შემთხვევებზეც, როდესაც სექსუალური ქცევა სამუშაოს შესრულების „ინსტიტუციონალიზებული“ კომპონენტია და, თავის მხრივ, დასაქმებულთა სექსუალური შევიწროების ნორმალიზაციას განაპირობებს. ამის თვალსაჩინოებაა მენეჯერი, რომელიც მიმტან ქალებს აიძულებს მინი კაბების ჩაცმას და კლიენტებთან „ბილნად“ და გამომწვევად საუბარს. აქედან გამომდინარე, სექსუალური ქცევის „ინსტიტუციონალიზაციის“ პირობებში, თუნდაც ადამიანი (ქალი) თავს დამცირებულად გრძნობდეს, ის არ მოახდენს საკუთარი თავის სექსუალური შევიწროების ობიექტად იდენტიფიცირებას.

სიმპტომური იყო ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მხრიდან იმის აღნიშვნა, რომ საჯარო სივრცეში (მაგ., ქუჩა), კაცის მხრიდან ჩაცმულობის და/ან გარეგნობის კომენტირება უსიამოვნო შეგრძნებების ან დისკომფორტის გამომწვევი არ არის და მეტიც, რიგ შემთხვევებში, კომპლიმენტის მიღების ეკვივალენტურია. სამსახურებრივ სივრცეში კი კაცი თანამშრომლის მხრიდან ანალოგიური ქცევა სანყენი და გარკვეული საფრთხის შემცველია. სამსახურში ყველაზე მიუღებელ ქცევად კვლავ ფიზიკური შეხება და სექსის შეთავაზება მიიჩნევა. **რესპონდენტების ნარატივში იკვეთება, რომ მათ მიმართ განხორციელებულ ქცევაში საფრთხის განსაზღვრა დამოკიდებულია ფიზიკური სივრცის ტიპზე: რაც უფრო დახურულია სივრცე, მით უფრო საფრთხის შემცველად აღიქმება განხორციელებული ქმედება. და ვინაიდან სამსახური დახურული სივრცეა, იზრდება ქცევის განმეორებითობის ან დამძიმების შესაძლებლობა.**

Fairchild-ი (2010) აღნიშნავს, რომ სექსუალური შევიწროე-



ბის აღქმაზე (ან ქცევის სექსუალურ შევიწროებად იდენტიფიცირებაზე) ისეთი ფაქტორები ახდენს გავლენას, როგორიც არის, მაგალითად, შემვიწროებლის ასაკი (რაც უფრო უფროსია პირი, მით უფრო საფრთხის შემცველად მოაზრება მისი ქცევა), შევიწროების შემთხვევის დროს მართო ყოფნა და შევიწროების შემთხვევის ღამის საათებში მოხდენა. **ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკური სივრცის ხასიათი (ღია/დახურული) საყურადღებო ფაქტორია, როდესაც ქმედების შევიწროებად სახელდება ვსაუბრობთ.**

*„როდესაც უცხო მეუბნება კომპლიმენტს, ეს შეიძლება არ მივიღო; როდესაც მან იცის ჩემი და მიცნობს, მისგან უფრო მენყინება, ვიდრე ქუჩაში ვილაცის მიერ რაღაცის წამოძახება.“ [ქალი, 26-55]*

*„როდესაც ერთხელ და ორჯერ გაატარებ, ამან შეიძლება სისტემატიური სახე მიიღოს. შეიძლება ერთხელ კომპლიმენტი გითხრას და მეორედ, სხვა რამე მოიმოქმედოს.“ [ქალი, 26-55]*

#### **4.4. სამუშაო ადგილზე გენდერულ დისკრიმინაციასთან გამკლავება**

2014 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის (Center for Social Sciences, 2014) შედეგების მიხედვით, რესპონდენტების უმრავლესობა (72%) აცხადებს, რომ სექსუალური შევიწროების შემთხვევაში შეეცდებოდნენ პრობლემის თავად მოგვარებას, სხვების ჩარევის გარეშე. გამოკითხული ქალების 17% ამბობს, რომ მენეჯერს ჩააყენებდა საქმის კურსში, ხოლო 10% – სამსახურიდან წამოვიდოდა. რესპონდენტების 28% აცხადებს, რომ მათ დამსაქმებელ კომპანიაში/ორგანიზაციაში შემავიწროებელი ქცევა შიდა რეგულაციით იკრძალება, 29%-მა კი არ იცის მოქმედებს თუ არა მათ სამუშაო ადგილზე მსგავსი შიდა რეგულაცია<sup>94</sup>. რაც შეეხება რესპონდენტების მიერ შევი-

94 Bedneliani et al., (2014). Gender Discrimination in Georgian Labour Market, USAID, Center for Social Sciences

ნროების შემთხვევის სხვებისთვის გაზიარებას, ქალების 28% ამბობს, რომ მომხდარის შესახებ მეგობრებს და კოლეგებს უამბო, 7%-მა კი – მღვდელს. ქალების 8%-მა აღნიშნა, რომ სამსახურის დაკარგვის შეეშინდა, ხოლო 6%-ს კი მომხდარის გამო შერცხვა, ამიტომ არაფერი გაახმოვანა. არც ერთი რესპონდენტი არ დაკავშირებია პოლიციას ან ფსიქოლოგს.

კითხვაზე, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ ქალები დისკრიმინაციულ პრაქტიკას სამსახურში, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს საუკეთესო გზად შემვიწროებელთან პირისპირ დალაპარაკება ესახებათ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, უსიამოვნებების თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ ქალი-თანამშრომელი ან ქალი-უფროსი „ყველას თავის ადგილს მიუჩენს“, თუმცა ეს პოზიცია ჯგუფში პოპულარული არ ყოფილა.

*„მე პირადად მირჩევნია, მე თვითონ გავუსწორდე ამ ადამიანს, თავად მოვძებნო მასთან სამართალი, ვიდრე ვინმე ჩავრიო.“ [ქალი, 26-55]*

*„10 წელია ვმუშაობთ ერთად კაცები და ქალები, ჩვენი უფროსი ქალია, დაყენებული აქვს საქმე ისე, რომ კაცი კლიენტებიც რომ შემოდინ სალონში, არ ენევიან. ჩვენთან ძალიან ლამაზი გოგოები მუშაობენ და არც ერთ მამაკაცს არაფერი უკადრებია. როგორი უფროსიც არის, ისეთი სისტემა იქნება.“ [ქალი, 26-55]*

*„მთავარია დამოკიდებულება, თავიდანვე უნდა დაიჭირო ავტორიტეტი და ამის მიხედვით აკონტროლო შენი ურთიერთობები.“ [ქალი, 26-55]*

იშვიათად გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ მენეჯერს/დირექტორს უნდა ეცნობოს შემთხვევის შესახებ, რაც „ქართული მენტალიტეტიდან“ გამომდინარე, „უხერხული“ იქნებოდა. ისიც აღინიშნა, რომ ნაკლებ სავარაუდოა, მსხვერპლმა მომხდარის შესახებ ვინმესთან და, მითუმეტეს, ადმინისტრაციასთან ხმა ამოიღოს სახელის გატეხვის ან სამსახურის დაკარგვის შიშით. მოსალოდნელია ისიც, რომ თავად ქალს დაბრალდეს შემთხვევის გამონვევა. რესპონდენტებისთვის არც სასამართლოა გამოსავალი, რადგან მიაჩნიათ, რომ კანონი მხოლოდ დაწერილი

სახით არსებობს, მაგრამ რეალურად ის არ/ვერ გიცავს. აქედან გამომდინარე, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ უკიდურეს შემთხვევაში, ქალი სამსახურიდან უნდა წამოვიდეს და თუ მაინც რჩება სამუშაო ადგილზე, მხოლოდ ოჯახის რჩენის მიზნით.

„შეიძლება შენ დაგაბრალონ.. იტყვიან, რომ გოგო იწვევს...“  
[ქალი, 18-25]

„პირადად მე გამიჭირდებოდა ამის უფროსთან მიტანა. მაგრამ ამის ატანაც გამიჭირდებოდა.“ [ქალი, 26-55]

„მე მგონია, რომ არ გაამხელს და თუ ძალიან შევიწროვდა, წამოვა სამსახურიდან.“ [ქალი, 26-55]

„ჩვენთან კანონები მხოლოდ არსებობს. მაგრამ ამას არავინ იცავს და ახორციელებს. ასეთ კერძო ორგანიზაციებში რომ შემოვიდეს ვინმე და ჩაატაროს გამოკითხვა, მე აუცილებლად ვიტყოდი რაც ხდება. ყოველთვის გამოჩნდება ერთი ადამიანი, ვინც ამას იტყვის. ბევრი არ იტყვის იმიტომ, რომ ეშინიათ სამსახურის დაკარგვის. ვილაცას სხვა რამის ეშინია. მაგალითად, საზოგადოების.“ [ქალი, 18-25]

„რეალურად არსებობს შრომის კოდექსი, რომელიც ამ საკითხებს არეგულირებს, თუმცა ეს არ არის მოქმედებაში მოყვანილი.“ [ქალი, 18-25]

Welsh-ი (1999) წერს, რომ სექსუალურ შევიწროებაზე ქალების რეაქცია წარმოადგენს ერთგვარ კონტინუუმს და მასზე განთავსებულია ისეთი საპასუხო ქცევები, როგორც არის თავიდან არიდება, დაბნეულობა, პირისპირი მოლაპარაკება და კონფრონტაცია (დაპირისპირება). Fileborn (2013) აღნიშნავს, რომ, უმეტეს შემთხვევაში, შევიწროების მსხვერპლი ქალები სასამართლოში არ ჩივიან რამდენიმე ძირითადი მიზეზის გამო: ქალები ვერ აიდენტიფიცირებენ მათ გამოცდილებას როგორც სექსუალურ შევიწროებას; კონკრეტული ქცევა, შესაძლოა, არ იყოს არალეგალურ ქმედებად განსაზღვრული, ამიტომ სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი არ არსებობს; სექსუალური შევიწროება ხშირად უარყოფილია, როგორც ტრივიალური ან, თუნდაც, მისასალმებელი ქცევა. ზევით ხსენებულის გარდა, ქალებს ვითარების დამძიმების და სამაგიეროს გადახდის ეშინიათ ან, უბრალოდ, სამართლებრივი

მხარდაჭერის იმედი არ აქვთ. აქედან გამომდინარე, ქალების შევიწროებაზე საპასუხო რეაქცია, ძირითადად, შემვიწროებლის და/ან შევიწროების შემთხვევის იგნორირება და გამოცდილების მეგობრისთვის ან ოჯახის წევრებისთვის გაზიარებაა.

აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ ქალები სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ზომებს იღებენ მაშინ, როდესაც ფემინისტურ ღირებულებებს იზიარებენ, პოლიცია ახლოს არის, შემვიწროებელი არ არის მათი მენეჯერი/დირექტორი, ორგანიზაციაში ქალები კაცებს ან რაოდენობრივად აღემატებიან ან კრიტიკულ უმცირესობას წარმოადგენენ.<sup>95</sup>

#### **4.5. დასაქმების ადგილზე შევიწროების გამოცდილების მქონე ქალებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს შედეგების მიმოხილვა**

კვლევის პერიოდში, სამი რესპონდენტი ქალიდან ორი დასაქმებული იყო კერძო სექტორში, ერთი კი – საჯარო სტრუქტურაში. სამივე რესპონდენტს მუშაობის 2-დან 4 წლამდე სტაჟი აქვს და 25-35 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ხვდება. ორი ქალის შემთხვევაში სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე უფროსის მხრიდან ხორციელდებოდა, ხოლო მესამე რესპონდენტის შემთხვევაში, შემვიწროებელი მსგავს პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომელი იყო. ორი რესპონდენტის შემთხვევაში სამუშაო ადგილზე შევიწროება ხორციელდებოდა წარსულში, ერთ-ერთის შემთხვევაში – ანმყო დროში. ამ სამიდან ერთი რესპონდენტი ქალი ორი წლის წინ სამსახურიდან, სწორედ, სექსუალური შევიწროების გამო წამოვიდა.

აღსანიშნავია, რომ სამივე რესპონდენტი საუბრობდა საკმაოდ განათლებულ, ინტელექტუალ, ამავედროულად, „მექალთანე“ და ქორწინებაში მყოფ კაცზე. კაცი თანამშრომლის დაოჯახებული მდგომარეობა რესპონდენტებისთვის უხერხულობის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ერთ-ერთმა

95 Welsh. S. (1999). Gender and Sexual Harassment, Annual Review of Sociology, 25 p. 169-190

რესპონდენტმა რელიგიურ და კულტურულ განსხვავებასაც გაუსვა ხაზი. სამივე ქალი განმარტავს, რომ თავდაპირველად, საკმაოდ პოზიტიურად და მეგობრულად იყვნენ განწყობილი იმ კაცების მიმართ, რომლებმაც, შემდგომ ისინი შეავიწროეს. მათი პოზიტიური დამოკიდებულება იქამდე არ შეცვლილა და მათ მიმართ განხორციელებული ქცევა შევიწროებად იქამდე არ აღქმულა, ვიდრე მკვეთრად ინტიმური და სექსუალური შინაარსის კომენტარების გაჟღერება, არასაქმიანი მესიჯების წერა და, ზოგიერთ შემთხვევაში, არასასურველი ფიზიკური კონტაქტის დამყარება არ დაინყო.

რესპონდენტებს შორის აღინიშნა, რომ, ზოგადად, სასიამოვნოა, როდესაც მამაკაცი ქალს ყურადღებას აქცევს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისიც კი დასძინა, რომ „ქალის ბუნებაა“ ასეთი, თუმცა, ყველაფერს მაინც თავისი საზღვარი აქვს. ერთ-ერთი რესპონდენტი ქალი იმასაც აღნიშნავს, რომ თავდაპირველად, მას ძალიან ხიბლავდა უფროსის მხრიდან გამომჟღავნებული ყურადღება, მონონება და მიაჩნდა, რომ ძალიან ბედნიერი უნდა ყოფილიყო, რომ ეს დაიმსახურა.

„[ყურადღება სასიამოვნოა მანამ, სანამ] ის მეორე სქესი, თავის ფანტაზიას ძალიან დიდი გაქანების საშუალებას არ აძლევს და დაუკრეფავში არ გადადის.“ [R3]

„გსიამოვნებს იმიტომ, რომ ქალი ხარ; იმიტომ, რომ ბუნება გაქვს ასეთი; იმიტომ, რომ ფლირტობ და არ აქვს მნიშვნელობა მამაკაცი შენი უფროსია, შენი კოლეგაა, შენზე დაბალი დონეა...“ [R3]

„შემანუხებელი იყო ის, რომ ეს თემა უფროსსა და დაქორავებულს შორის არ უნდა იყოს!“[R2]

„თავიდან ვფიქრობდი, რომ გამიმართლა, რომ ასეთმა ტიპმა ყურადღება მომაქცია, მაგრამ იმ დროს შეყვარებული მყავდა და საერთოდ არ მაინტერესებდა ეს ბიჭი.“[R1]

„ძალიან უშუალო კაცი იყო, კარგად ვუგებდით ერთმანეთს. ყავდა ცოლი და შვილი აზერბაიჯანში...“ R2]

„ის ბიჭი ალბათ 25 წლის იყო, სიმპატიური და ძალიან ინტელექტუალი. ყველაზე საშინელი ის არის, რომ ტიპი არის

ინტელექტუალი, ძალიან ქკვიანი და განათლებულია, ჰყავს ცოლი. თვითონ მალაზიის მენეჯერი იყო, ცოლი – მალაზიის უფროსი.“[R1]

„სანამ დაინწყებდა ამ სექსუალური ხასიათის „ესემესების“ წერას, მომწონდა მასთან ურთიერთობა, მომწონდა, ადამიანურად მომწონდა, ამას ვიძახი გულწრფელად. რაც მთავარია მას ოჯახი ყავს და თან მეგობრობა ერქვა ჩვენ ურთიერთობას. ჩვენ ერთად ვმუშაობთ, ძალიან ბევრჯერ გადავეკვეთებით ერთმანეთს...“ [R3]

„ამ კაცისთვის ყველა ქალი სამიზნეა; ქალი რომ მის სამიზნეში მოხვდება, რამე უნდა ჰქონდეს მასთან. წარმოიდგინე, დიდი სავაჭრო ცენტრია, ამ ცენტრის ყველა მალაზიიდან თითო გოგო „გაყვანილი ყავდა გვერდზე“. ეგეთი ბუნება აქვს.“[R1]

„ვთვლიდი, რომ ეს არის „მუსუსი“ კაცი, რომელიც ყველა კაბას დასდევს, რაც მის გარშემოა, განურჩევლად ყველაფრისა. ყოფილა შემთხვევა, რომ მესამე პირი შემოსულა და მასთანაც ფლირტი გაუბამს ჩემს თვალწინ.“ [R2]

რაც შეეხება კონკრეტულად სექსუალური შევინროების ფორმებს, რესპონდენტებმა აღნიშნეს მათ მიმართ განხორციელებული ისეთი ქცევები, როგორიც არის (შე)თვალერება, სექსუალური წადილის გამომხატველი მიმიკები, ფიზიკური შეხება კოცნის და ხელის უხეშად წავლების სახით, კომენტარები გარეგნობასა და ჩაცმულობაზე, რესპონდენტის სამუშაო სივრცეში დაუპატიჟებლად შეჭრა, არასაქმიანი მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა არასამუშაო დროს.

„იყო მომენტები, როდესაც ესე უბრალოდ შემოდიოდა ჩემთან ოთახში, მომიკითხავდა ესე ოფიციალურად და უცებ, შეიძლებოდა მოეკიდა ხელი, დავეჯანჯლარებინე და ძალით ეკოცნა და ინყებოდა „ბოი ბეზ პრავილა“, – დამანებე, დაგვინახვენ...“[R3]

„მუდმივ თვალერებას თავიდან ფეხებამდე, პირი აქვს ღია, ტუჩს ილოკავს და კრიჭავს კბილებს. გეუბნება რა გიხდება და რა ჩაიცვა, რაც აჩენს ფორმებს... მაშინ 19-20

წლის ვიყავი. ეს იყო ჩემი დამსაქმებელი უშუალოდ,- მაღაზიაში ვიყავი ასისტენტი, ის მენეჯერი იყო. მუდმივად იყო სექსუალური სახის კომენტარები: რაც არ უნდა ჩამეცვა და რაც არ უნდა გამეკეთებინა, ყველაფერში ეროტიკას ხედავდა.“[R1]

როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი განმარტავს, ხშირად არც არის აუცილებელი ფიზიკური კონტაქტი და არც ძალადობის გამოხატვის რადიკალური ფორმები იმისთვის, რომ კაცის ქცევა სექსუალურ შევიწროებად ჩაითვალოს. სავსებით საკმარისია კაცის მხრიდან გამომეტყველება, გარკვეული სიგნალი, რომელიც ეროტიკულ შინაარს ატარებს იმისთვის, რომ ქალმა თავი შევიწროებულად იგრძნოს.

„ეს არასასურველი ქცევებია.. შეიძლება არ იყოს ხელით შეხება, იყოს მიმიკა და სიგნალები, რაც ქალისთვის არასასურველია და ატარებს სექსუალურ და ეროტიკულ შინაარსს.“ [R1]

სამი რესპონდენტიდან მხოლოდ ერთი ქალი აღნიშნავს, რომ უფროსის მხრიდან შევიწროების გამოცდილებას საკუთარ თავს აბრალებდა, რასაც თავად, ორი მიზეზით ხსნის: ა) მას არ ჰქონდა სექსუალური შევიწროების ფენომენზე არანაირი ინფორმაცია, არც იმ დონის გენდერული ცნობიერება, რომ თავად მიმხვდარიყო და, მითუმეტეს, ბ) ის იყო პატარა (19-20 წლის) და, შესაბამისად, კიდეც უფრო მონყვლადი. ამჟამინდელი გადმოსახედიდან კი რესპონდენტი სრულიად აცნობიერებს, თუ რასთან ჰქონდა საქმე ორი წლის წინ. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს სამი რესპონდენტიდან მხოლოდ მან მიიღო განათლება გენდერისა და ფემინიზმის მიმართულებით მაგისტრატურაზე სწავლის პერიოდში და, როგორც თავად აღნიშნავს, გენდერული საკითხების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა.

„მე ვაცნობიერებ, რომ მქონდა ასეთი შემთხვევა და ძალიან ვწუხვარ, რომ არავინ მითხრა, პატარა ვიყავი და არ ვიცოდი. იმის მაგივრად, რომ იმ კაცისთვის რამე მეთქვა, ვფიქრობდი,

რომ რა კარგია, ესე იგი მოვწონვარ, ლამაზი გოგო ვარ-თქო... მთელი გზა მიმაცილა, სადარბაზოში შემოვიდა; ბნელოდა, კედელზე მიმაყუდა, ხელები დააფიქსირა და საკოცნელად გამოიწია. მე გამოვძვერი მისი ხელებიდან და შევედი ლიფტში. მერე ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს: ჩემს თავს ვადანაშაულებდი, მეგონა, რომ ჩემი ბრალი იყო ყველაფერი. მეგონა, რომ თუ კაცს მოწონხარ და რაღაცას გამოხატავს, შენ აძლევ საბაბს.“ [R1]

ინტერვიუს ჩანერის პროცესში განსხვავებულად მსჯელობდა მეორე რესპონდენტი ქალი, რომელიც ნათლად აცნობიერებდა საკუთარ „წვლილს“ თანამშრომელი კაცის მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულებაში, რაც გამოიხატებოდა რესპონდენტის „ბუნებრივ სექსუალურობაში“, სიარულის მანერაში, მიხვრა-მოხვრაში და ასევე, სხვა ვერბალურ და არავერბალურ მესიჯებში. რესპონდენტი არც სექსუალური შევიწროების მსხვერპლად აღიქვამდა თავს, რადგან, მთლიანობაში, თანამშრომლის მხრიდან ყურადღება სიამოვნებდა. უსიამოვნების განცდა მხოლოდ მაშინ ეუფლებოდა, როდესაც სიტუაციას სრულფასოვნად ვერ აკონტროლებდა და თანამშრომელი კაცი იმაზე მეტად იჭრებოდა მის პირად სივრცეში, ვიდრე ეს თავად რესპონდენტს სურდა. აღნიშნული რესპონდენტი ფიქრობს, რომ იმ შემთხვევაში იქნებოდა შევიწროების მსხვერპლი, თუ მისი თანამშრომელი იძულებით დაამყარებდა სექსუალურ კავშირს მასთან. საერთო ჯამში, რესპონდენტს მიაჩნია, რომ თანამშრომელს მასთან მიმართებაში ძალადობრივი ქმედებები, როგორც არის, გაუპატიურება, არ განუხორციელებია. საყურადღებოა, რომ აღნიშნული რესპონდენტის შემთხვევაში მხოლოდ გაუპატიურება, რომელიც სექსუალური ძალადობის ყველაზე თვალსაჩინო და თანაც ყველაზე მძიმე ფორმაა (ექვემდებარება სისხლის სამართალს), წარმოადგენს სექსუალური შევიწროების გამოვლინებას. სხვა სიტყვებით, რესპონდენტის მგრძნობელობის დონე დაბალია, ყოველ შემთხვევაში, წინარე განხილულ რესპონდენტთან შედარებით, რომელიც



სექსუალური შევიწროების საკმაოდ „უხილავ“, მაგრამ ფუნქციურ ნიუანსებზე მიუთითებდა.

„საკუთარი თავი შევიწროების მსხვერპლად შეიძლება აღვიქვა მაშინ, როდესაც გამაუშავებელი ვართ. თუ არ გამაუშავებელი ვართ, არ გამოდის [რომ მსხვერპლი ვარ], მაგრამ კიდევ ვამბობ და გავიმეორებ ამას ბევრჯერ: რაღაც დონემდე, რომ არ მსიამოვნებდეს... მე სხვისგანაც მსმენია და მეც მქონდა ეს მომენტი, რომ... როდესაც მოიშორებ თავიდან და ჩვეულებივად ხარ სალმით, მერე გენატრება და რაღაცა „ნიხვატკაში“ ხარ.“ [R3]

„თვითონ გულწრფელად მითხრა, ჩემმა სიარულმა, მანერებმა, მეტყველებამ და მთლიანად ჩემმა კონფიგურაციამ და სექსუალურობამ განაპირობა ის, რომ მას გაუჩნდა აზრი ელაღლა ცოლისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ათი წელია დაოჯახებულია და ეს აზრი არ ქონია.“[R3]

საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ რესპონდენტები შემვიწროებელსა და შევიწროების მოტივებზე. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, სრულფასოვანი, ჯანმრთელი კაცი ქალების მიმართ მსგავსი ტიპის ქცევას არ განახორციელებს. კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სექსუალური შევიწროებით კაცები არასრულფასოვნების დამალვას და საკუთარი თავის რეალიზებას ცდილობენ, რაც რესპონდენტების აზრით, არასწორი და ყველაზე მცდარი გზაა. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები კაცების მხრიდან სექსუალური შევიწროების პრაქტიკას პატრიარქალური კულტურის გავლენას და მასკულინურ დომინაციას არ უკავშირებენ და აღნიშნულ პრობლემას უფრო ინდივიდუალური ფსიქო-პათოლოგიის ჩარჩოში განიხილავენ.

„მგონია, რომ არასრულფასოვნების კომპლექსი აქვს და ამით ცდილობს აინაზღაუროს და საკუთარ თავს დაუმტკიცოს, რომ შეუძლია და სრულფასოვანია, გამოსდის,- თავის პატარა ეგოს იკმაყოფილებს. მე არასრულფასოვნების კომპლექსს ვუკავშირებ.“ [R1]

„ჩემი გადმოსახედიდან ესენი არიან ადამიანები, რომლე-

ბიც ფსიქოლოგიურად, მენტალურად შეზღუდული ადამიანები არიან, ესენი არიან სამკურნალო ადამიანები, საშიშები არიან.“ [R3]

ინტერვიუს ჩანერისას, რესპონდენტებს რამდენიმე კითხვა დავეუსვით სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებასთან გამკლავების სტრატეგიაზეც. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მას შემდეგ, რაც კაცი თანამშრომლის/უფროსის მხრიდან სექსუალური ხასიათის ქცევა „ყოველგვარ საზღვრებს გასცდა“ და ქალებისთვის ეს უკვე სასიამოვნო აღარ იყო, **ორმა რესპონდენტმა პრობლემის მოგვარება შემვიწროებელთან პირისპირ დალაპარაკების საშუალებით სცადა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა კი სამუშაო ადგილი თავისი ნებით დატოვა.** მას მიაჩნია, რომ შემვიწროებელთან დალაპარაკება ურიგო გადანყვეტილება არ იქნებოდა და, ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავთან მაინც იქნებოდა მართალი. რესპონდენტი იმასაც ფიქრობს, რომ შეეძლო სამსახურში ზედა რგოლი ჩაეყენებინა საქმის კურსში, რაც მისთვის გარკვეული პრევენცია იქნებოდა.

„შემეძლო მეთქვა, რომ არ ვარ დაინტერესებული და შემეშვი... ჩემ თავთან მართალი ვიქნებოდი. შემდეგ, შემეძლო ზედა რგოლის მენეჯერისთვის მეთქვა, რომ ეს ადამიანი ჩემზე იწევს. ალიბი მექნებოდა, რომ ნათქვამი მაქვს და ეს ჩემთვის არასასურველია, ეს კომენტარები და მზერა.“ [R1]

„ერთხელ მივუბრუნდი და ვუთხარი, რომ ვერც შემეხებოდა, რომ ჩემთვის არასოდეს ყოფილა მიმზიდველი და არც იქნებოდა, მით უმეტეს ჩემი უფროსი იყო და ცოლ-შვილი ყავდა.“ [R2]

ზოგად სტრატეგიასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ქალმა თავიდან აირიდოს დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროება, ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ (კაცის მხრიდან) სექსუალური შევიწროება ნორმად არ უნდა იყოს მიჩნეული, – ქალებს მეტი ინფორმაცია და ცნობიერების ამაღლება ესაჭიროებათ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მეორე რესპონდენტი, მართალია, ოჯახში აღზრდისა და განათლების ფაქტორებს ახსენებს, თუმცა, მთლიანობაში ვერ

სცდება ფსიქო-პათოლოგიის ჩარჩოს და თავდაცვის სტრატეგიად დასაქმების სფეროში ფსიქოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე საუბრობს.

„*მე ვთვლი, რომ საჯარო სამსახურში, ნებისმიერ უწყებაში, აუცილებელია, რომ იყოს ფსიქოლოგი, იჯდეს ფსიქოლოგი, არა მარტო 'sexual harassment'-ზე, არამედ მიდგომაზე ქალისადმი. კი, ჩვენ ემანსიპირებულები ვართ, კი ჩვენ ბევრად მეტი რალაც შეგვიძლია, ბევრად უფრო მეტ სტრესს გავუძლებთ, მაგრამ ჩვენ მთავარი არ შეგვიძლია, ჩვენ არ ვართ კაცები, კაცს ძალიან მარტივად შეუძლია შენზე ისეთი ზეგავლენა მოახდინოს და ერთი შემოხედვით ისე გაგანადგუროს და დაგადებილოს...“ [R3]*

„*ნორმად არ უნდა ვაქციოთ. მე ჩვეულებრივი ამბავი მეგონა, – კაცი ესე უნდა გეუბნებოდეს, მეგონა რომ ყავა ქალმა უნდა გააკეთოს. მაშინ ნორმად მიმაჩნდა.“ [R1]*

როგორც იკვეთება, თუ ქალს სურს და სიამოვნებს, როდესაც კაცის მხრიდან მისდამი სექსუალური წადილის/ლტოლვის დემონსტრაცია ხდება, მაშინ კაცის ქცევა რესპონდენტებისთვის შევინროებად არ განიხილება; ხოლო, როდესაც ქალს არ სურს და კაცი აღნიშნულ ქცევას მაინც განაგრძობს, სახეზეა ქალის შევინროება. შესაბამისად, იმისთვის, რომ შევინროების ფაქტის იდენტიფიცირება მოხდეს, ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ აუცილებელია შევინროების ობიექტის აზრის გათვალისწინება: თუ ეს ადამიანი კაცის მხრიდან განხორციელებულ საქციელს შევინროებად ვერ/არ აღიქვამს, მაშინ არასწორია პირი შემვინროებლად მივიჩნიოთ. თუმცა, იგივე რესპონდენტი უმაღლ საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოდის და ისეთ მაგალითს იხსენებს, როდესაც ქმარი ცოლზე ძალადობს (ნებისმიერი ფორმით), ცოლი ძალადობაზე არ რეაგირებს, არ ეწინააღმდეგება, მაგრამ, მიუხედავად ქალის პასიური მდგომარეობისა, ძალადობა მაინც სახეზეა. რესპონდენტის საკუთარ პოზიციასთან წინააღმდეგობაში კარგად ჩანს, რომ აუცილებლად გასათვალისწინებელია ქალების ინფორმირებულობის დონე შევინროების საკითხთან დაკავშირე-

ბით: ის გარემოება, რომ ქალი ხმას არ იღებს, შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ ქალს, უბრალოდ, წარმოდგენა არ აქვს სექსუალურ შევიწროებაზე და არ იცის, რომ მსგავსი ტიპის ქცევა მისი უფლების შელახვაა და არა ნორმა.

„თუ სიამოვნებს რაშია პრობლემა? მე ვთვლი, რომ მაშინ არის დარღვევა თუ დისკომფორტს გიქმნის. თუმცა, მეორეს მხრივ, როდესაც ქალს ქმარი სცემს და ქალს უხარია ეს ძალადობა არ არის? ეს ცოტა დამაბნეველია.“ [R1]

„თუ ადამიანი მოგწონს მისი მხრიდან განხორციელებული ის ყველაფერი,- არ არის ძალადობა. ეს არის „ბრუტალური“ მამაკაცი, ქართველების განმარტებით. თუ არ მოგწონს – მაშინ ძალადობაა.“ [R3]

ჩვენი კვლევის რესპონდენტების შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ მათ გენდერულ დისკრიმინაციაზე გარკვეული წარმოდგენა აქვთ, რაც უდაოდ მისასაღმებელია და უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, არასამთავრობო სექტორისა და რიგი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ საზოგადოებაში გენდერული ცნობიერების ასამაღლებლად განეული პრომის პოზიტიურ შედეგებზე მეტყველებს. თუმცა, აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების გენდერული ცნობიერების დონე, ძირითადად, ოჯახში ფიზიკური ძალადობის ცნობადობით და ისეთი კრიმინალიზირებული ქმედებებით შემოიფარგლა, როგორც არის გაუპატიურება და სიცოცხლის ხელყოფა. **აქედან გამომდინარე, სახეზეა გენდერული დისკრიმინაციის აღქმის იერარქიული მოდელი, რომელიც სექსუალური ძალადობის ფორმებს ერთმანეთისგან მიჯნავს და მათ ვერტიკალურ ხაზზე განლაგებს ყველაზე „მავნედან“ (მძიმეთი) დანყებულ, ყველაზე ნაკლებად „მავნეთი“ (მსუბუქით) დამთავრებულნი.**<sup>96</sup>

გენდერული ცნობიერების და სენზიტიურობის დონე მჭიდრო კავშირშია ქცევის სექსუალურ შევიწროებად იდენტიფიცირების შესაძლებლობასთანაც. არახალია, რომ თანამე-

96 Fileborn, B. (2013). Conceptual understandings and prevalence of sexual harassment and street harassment, Australian Center for the Study of Sexual Assault <http://www.aifs.gov.au/acssa/pubs/sheets/rs6/rs6.pdf>

დროვე ქართულ საზოგადოებაში სტერეოტიპული გენდერული წარმოდგენები და დამოკიდებულებები დომინირებს (UNDP 2013, Kachkachishvili et al. 2014) და **შეიძლება ითქვას, რომ გენდერული იერარქიის „ინსტიტუციონალიზაციასთან“ გვაქვს საქმე, როგორც საჯარო (მაგ., სამსახური), ისე პრივატულ სივრცეში (ოჯახი).** ჩვენი თვისებრივი კვლევის რესპონდენტებიც ხსენებული პატრიარქალური საზოგადოების წარმომადგენლები არიან, რომელთა გენდერული ცნობიერება, როგორ ჩანს, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სექსუალური ძალადობის ნაკლებად ხილული გამოვლინებების მიმართ მგრძობელობა ჰქონდეთ და მათ დისკრიმინაციად სახელდებას ახდენდნენ. გენდერული მგრძობელობის გარდა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ სექსუალური შევიწროების „მსუბუქი“ შემთხვევა ქალებს ერთგვარად „შეახსენებს“ და მიაჩნებებს „უფრო სერიოზული“ (მაგ., გაუპატიურება) შემთხვევის მოხდენის შესაძლებლობაზე. თავისთავად, რაც უფრო მეტად თვალსაჩინო და ხელშესახებია, თუნდაც, შევიწროების „მსუბუქი“ ფორმა, მით უფრო საფრთხის შემცველია ის ქალისთვის და მისი მხრიდან რეაგირების ალბათობაც უფრო მაღალია.<sup>97</sup>

სიღრმისეული ინტერვიუს ნარატივებში განსაკუთრებით კარგად ჩანს, თუ რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალის სექსუალური შევიწროება სასურველობა/არასასურველობის კომპონენტთან. აღნიშნული კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანს მაშინ, როდესაც ინდივიდის (ამ შემთხვევაში კი, ქალის) გენდერული სენზიტიურობის და ცნობიერების დონე დაბალია. **შესაბამისად, შევიწროების პრაქტიკის ინტერპრეტაცია-არტიკულაცია ხორციელდება არა გენდერული დისკრიმინაციის ან ქალთა სტრუქტურული ჩაგვრის პერსპექტივიდან, არამედ ორ (ან მეტ) ინდივიდზე დაყვანილი სიტუაციის კონტექსტში, სადაც მოვლენათა განვითარების ლოგიკა მხოლოდ სიამოვნების მიღება/არ მიღების პრინციპზეა დამოკიდებული.**

---

97 Ibid.

## **თავი 5. საქსუალური შვიწწრობის მამართ დასაქმებული კაცების დამოკიდებულებების კვლევის ძირითადი მიზნებები**

### **5.1. წარმოდგენები თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ**

ფოკუს ჯგუფის მონაწილე კაცების უმეტესობას მიაჩნია, რომ დღეს, საქართველოში, ქალები და კაცები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. ზოგიერთი იმასაც ამტკიცებს, რომ რიგ შემთხვევაში, ქალები უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებიან და აღნიშნავენ, რომ, მაგალითად, დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა დღეს ქალებს უფრო აქვთ, ვიდრე კაცებს. რაც შეეხება ოჯახის სფეროს, კაცების გარკვეული ნაწილი დარწმუნებულია, რომ ოჯახში ქალების და კაცების უფლებები თანაბრად არის დაცული და რომ ორივე სქესი თანაბრად მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, ითქვა ისიც, რომ ოჯახში ხმის (და არა მხოლოდ) უფლება კაცებს უფრო აქვთ, რაც აბსოლუტურად ბუნებრივი მოვლენაა, რამეთუ, ქალისგან განსხვავებით, კაცს უკეთ შეუძლია ოჯახის გაძღოლა და გადაწყვეტილებების მიღება. შესაბამისად, არც ერთ კაც რესპონდენტს ოჯახში ქალის სუბორდინირებული პოზიცია არ აღუნიშნავს. ერთადერთი, რაც დისკუსიის მონაწილეებს ოჯახში ქალის უფლებების შელახვასთან დაკავშირებით გაახსენდათ, ეს არის ლალატი და ეჭვიანობა: უმეტესობამ აღნიშნა, რომ, როდესაც მამაკაცი ეჭვიანობს, ის ქალს ავიწროებს და ზღუდავს. მონაწილეთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კაცის მხრიდან ცოლის ლალატი ქალის უფლებების შელახვაა, მხოლოდ ერთი რესპონდენტი შეენინაალმდეგა, – რესპონდენტს მიაჩნია, რომ კაცისთვის ცოლის ლალატი დასაშვებია, ხოლო ქალისთვის ქმრის ლალატი – დაუშვებელი.

*„წორმალურ ოჯახს თავისთავად კაცი უნდა განაგებდეს, ბუნებრივად რაც არის მოცემული კაცზე, ბუნებრივად თავი უნდა იყოს კაცი.“ [კაცი,30-35]*

*„თავისთავად უნდა იყოს, უნდა განაგოს თავისი ოჯახი,*

ქალი ვერ დაალაგებს, ქალს იმდენი ... შეიძლება არიან ქალები, რომლებსაც მამაკაცური თვისებები აქვთ და მიჰყავთ, ამიტომ ვამბობ ქალების მხოლოდ 40% უფრო აქტიურები არიან ოჯახში.“ [კაცი, 35-45]

## 5.2. გენდერული დისკრიმინაციის აღქმა

ფოკუს ჯგუფის მონაწილე კაცების უმეტესობას ძალიან გაუჭირდა ტერმინის, გენდერული დისკრიმინაცია, მნიშვნელობის განმარტება და პირდაპირ ვერც ქალის ჩაგვრას და ვერც ქალის უფლებების შეზღუდვას დაუკავშირა. რესპონდენტებისთვის უფრო მარტივი აღმოჩნდა გენდერული დისკრიმინაციის გამომწვევ მიზეზებზე ძალიან ზოგადი მსჯელობის განვითარება, რომელიც კაცის პასუხისმგებლობას, პრინციპში, უგულვებელყოფს და კონცენტრირდება მძიმე სოციალურ ფონზე, როგორც ქალის დისკრიმინაციის ერთადერთ მასტიმულირებელ ფაქტორზე. მაგალითად, პროფესიით ხატმწერი რესპონდენტი გენდერულ დისკრიმინაციას სულიერი სინმინდისა და ადამიანის კეთილსინდისიერების დაკარგვით ხსნის. მას მიაჩნია, რომ ადამიანებმა ადამიანობა დაივიწყეს, მრავალ არასწორ და ბოროტ საქციელს ჩადიან და ეს ყოველივე გენდერული დისკრიმინაციის საფუძველია. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოში დედის კულტი „მოირღვა“, ქალის მიმართ პატივისცემაც შესუსტდა. თუმცა, რესპონდენტი იმასაც ამტკიცებს, რომ, თავის მხრივ, ქალებმაც დაკარგეს „ქალური საქციელი“ და აღარ ასრულებენ მათზე დაკისრებულ (დედის) როლსა და მოვალეობებს. რამდენიმე რესპონდენტმა კი აღნიშნა, რომ დისკრიმინაცია მაშინ იჩენს თავს, როდესაც ოჯახი ეკონომიკურად არ არის ძლიერი, – მამაკაცი უმუშევარია. ამ დროს თავს იჩენს საყვედურები, უკმაყოფილება და ქალების ჩაგვრა. მთლიანობაში კი, რესპონდენტი კაცები ფიქრობენ, რომ ქალის მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევები საქართველოში ნაკლებად გავრცელებულია, რადგან ქართველი კაცები ქალებს პატივს სცემენ.

„მე უფრო სულიერი დატვირთვით რომ ვთქვა, სხვა კუთხით შემიძლია ახსნა. სულიერად უნდა იყოს ადამიანი სუფთა, თუ ასე არ არის რალაც დარღვევაა ოჯახში. ეს უხილავი ცოდვების შემოსვლით იწყება. ადამი 100 % იყო და ახლა იმ დონეზე მივედით, რომ ადამიანი 5%-მდეა მისული, 100%-იან ადამიანს არ აპატია ღმერთმა არაფერი და 5%-იანს როგორ აპატიებს? მე პირადად, შინაგანად პატივს ვცემ ქალს... დედის კულტი იყო, ეს კულტი რომ დაირღვა... დედის ფორმა უკვე დაკარგული აქვს ქალს.“ [კაცი, 45-55]

„საქართველო ისეთი ქვეყანაა... ქართველი კაცი მანდილოსანს ყოველთვის პატივს სცემს.“ [კაცი, 18-55]

„ეკონომიკის ფარგლებშია ყველაფერი, როდესაც ოჯახი ეკონომიკურად არ არის ძლიერი, მაშინ თავს იჩენს გარკვეული ნიუანსები, საყვედური ერთმანეთის მიმართ, კაცი ვერ პოულობს სამუშაოს, ყველა ქალს არ აქვს ის უნარი რაც მამკაცს და მერე უჩნდებათ რალაც სხვა...“ [კაცი, 18-55]

ფოკუს ჯგუფის მონაწილე კაცების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, უცხო კაცის მხრიდან ქალის გარეგნობასა თუ ჩაცმულობაზე სექსუალური შინაარსის ვერბალური კომენტარის გაკეთებას ქალის უპატივცემულობად და უზრდველობად მიიჩნევს. თუმცა, არც ერთი რესპონდენტი აღნიშნულ ქმედებას არც გენდერულ და არც სექსუალურ დისკრიმინაციად არ აფასებს. ამდენად, გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვით, რესპონდენტი კაცები სექსუალური შევიწროების პრაქტიკას ქალის გაცნობის კონტექსტში განიხილავენ და მსჯელობას, ძირითადად, ამ პერსპექტივიდან ავითარებენ. აღნიშნული პერსპექტივა კი არ ითვალისწინებს ქალის პირადი სივრცის არსებობას, ხოლო მეორეს მხრივ, გარეშე პირის (და ამ შემთხვევაში, კაცის) ჩარევისთვის მას მუდმივად ღია მდგომარეობაში მოიაზრებს. სხვა სიტყვებით, ქალის პირადი სივრცე ყოველთვის ღიაა, თუმცა მისი მიმღებლობის ხარისხის განსაზღვრა მხოლოდ ჩარევის შემდეგ ხდება. ჩარევა კი შესაძლებელია ყოველთვის, მაგრამ, როგორც ქვემოთ ირკვევა, არა ყველგან.

კაცი რესპონდენტების აზრით, ქალის მიმართ სიმპა-



თიის და მოწონების გამოხატვა ისეთი გზით არის შესაძლებელი, რომელიც ქალისთვის შეურაცხმყოფელი არ იქნება (მაგ., ქალთან მისვლა და საკუთარი თავის ზრდილობიანად წარდგენა). თუმცა, რესპონდენტების ნაწილმა იმ ფაქტსაც გაუსვა ხაზი, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილს, თუ სად ხდება ქალის გაცნობა. კაცებმა განმარტეს, რომ ქუჩაში უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ქალის გაცნობა ვერ მოახერხო, რადგან ქალმა მის მიმართ გამოხატული ყურადღება შეიძლება შეურაცხყოფად მიიღოს. რესპონდენტების აზრით, ბარში ან კაფეში უფრო მიღებულია უცნობი გოგონას/ქალის სასმელზე დაპატიჟება და, შესაბამისად, ალბათობაც მეტია, რომ ქალი გაგეცნობა და თავს შეურაცხყოფილად არ იგრძნობს. რესპონდენტების გარკვეული ნაწილი ამბობს, რომ ქუჩაში ისეთ შემთხვევას შესწრებია, როდესაც ქალი მისით დაინტერესების გამო, შეურაცხყოფილი დარჩენილა. ერთ-ერთი მონაწილე ასეთ სიტუაციაში თავადაც ჩაერია. **რესპონდენტი კაცების მსჯელობაზე დაყრდნობით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ, თუ ქალმა, მისი გაცნობის პროცესში, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, ეს, უპირველესად, მაინც კაცის ღირსებას აკნინებს. მით უმეტეს, იმ „რეალობის“ გათვალისწინებით, რომ საქართველოში კაცები ქალებს „პატივის სცემენ“, ხოლო ქალისთვის პატივის არ მიმგები კაცი შერცხვენილია და, ამდენად, „ნამდვილი კაცი“ აღარ არის.**

„ზრდილობიანად უნდა მიხვიდე (ქალთან) და რაც სათქმელი გაქვს უთხრა: „უზრდელად არ ჩამთვალოთ, ძალიან ლამაზი ხართ და თუ შეიძლება გამეცანით“, და თუ არა გითხრა, გატრი-ალდი და წადი.“ [კაცი, 30-35]

„თუ გარეთ მიხვედი და გაცნობა შესთავაზე, შეურაცხყოფად შეიძლება მიიღოს და თუ ბარში სასმელზე დაპატიჟე, მაშინ არა.“ [კაცი, 20-25]

„ერთი შემთხვევა იყო, ამის გამო ვიჩხუბე კიდეც, მატარებლით მივდიოდი, გაჩერდა პლატფორმაზე, ორმა გოგომ ჩაიარა, ვილაცამ მიაძახა: „ნატაშა, ტი ლუბაია ნაშა“ და ამის გულისთვის დავაყარე. ვუთხარი, რომ თუ თავის თავს არცხ-

*ვენდა, ქართველობას ნუ შეარცხვენდა. მერე იმიტომ გვედახ-  
იან რუსეთში უზრდელებს, მხეცებს-თქო. ეს უზრდელობაა.  
თუ მოგეწონა და გაცნობა გინდა, მიდი და ზრდილობიანად  
გაიცანი. აუცილებელი ხომ არ არის ვიცნობდე ან მეგობარმა  
გამაცნოს გოგონა.“ [კაცი, 25-30]*

### **5.3. დამოკიდებულება სამუშაო ადგილზე ქალების შევიწროების მიმართ**

როდესაც ჯგუფური დისკუსია, უშუალოდ, სამსახურში ქალების სექსუალური შევიწროების ფორმებს შეეხო, კაცი რესპონდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ, თუ ქალს სიამოვნებს მის მიმართ განხორციელებული ქცევა, მაშინ ეს დისკრიმინაცია/შევიწროება აღარ არის. თითქმის ყველა რესპონდენტმა განმარტა, რომ კაცის მხრიდან ქალის მიმართ განხორციელებული ქცევა შევიწროებას მაშინ წარმოადგენს, როდესაც ქალს ეს ქცევა არ სიამოვნებს, ამ ქცევის შეწყვეტას ითხოვს და ქცევა მაინც გრძელდება.

რესპონდენტმა კაცებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ძალიან ბევრი ქალზეც არის დამოკიდებული. დისკუსიის მონაწილეთა საკმაოდ დიდი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ქალის მხრიდან ე.წ. გამომწვევ ქცევაზე და განმარტავს, რომ მენეჯერის/დირექტორის მხრიდან შევიწროება, ისევ და ისევ, ქალიდან გამომდინარე ხდება იმდენად, რამდენადაც ქალები თავისი გამომწვევი საქციელით კაცებში ვნებასა და სურვილს აღძრავენ. აღნიშნა ქალის გარეგნობაც („ლამაზი ქალი“), რაც შესაძლოა თანამშრომლებისა და უფროსის მხრიდან ქალის შევიწროების გამომწვევი მიზეზი იყოს, რაც ქალს უხერხულ და არასასიამოვნო მდგომარეობაში ჩააგდებს. რესპონდენტები არც იმას უარყოფენ, რომ, შესაძლოა, თანამშრომლებს ერთმანეთი შეუყვარდეთ და ვნება ორმხრივი იყოს. აქედან გამომდინარე, დისკუსიის მონაწილე კაცებს მიაჩნიათ, რომ ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია და მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური ურთიერთობის ხასიათის გათვალისწინება, რათა ერთმანეთის-

გან გაიმიჯნოს ზენოლა-შევიწროებისა და სიმპათიის გამოხატვის შემთხვევები.

„ნებისმიერი უფროსი, თუ თანამშრომელი ქალი ლამაზია, ყოველთვის შეიმჩნევს და შეეცდება მის შებმას.“ [კაცი, 40-45]

„მე რომ მკითხოთ, უფროსისგან ძალიან იშვიათია ასეთი ქცევა, თუ გოგონა არ იქცევა გამომწვევად. გააჩნია ქალის საქციელს.“ [კაცი, 25-35]

„შეიძლება ერთმანეთი უყვართ. სამსახურში ბევრი დაოჯახებულა.“ [კაცი, 35-45]

საერთო ჯამში, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ერთმანეთისგან გამიჯნეს ორი სიტუაცია: ა) სიტუაცია, როდესაც ქალი განაპირობებს კაცის ქცევას და კაცის მხრიდან მის მიმართ გრძნობებისა და მოწონების გამოხატვას ნაახალისებს და ბ) სიტუაცია, როდესაც ქალი არაფერ შუაშია, კაცი აქტიურობს და ქალზე ზენოლას ახორციელებს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ფოკუს ჯგუფის მონაწილე კაცებმა საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს და არასწორი, უხამსი საქციელი უწოდეს.

„როდესაც ქალს არ უნდა, ამის უფლებას არ მისცემს კაცს, როდესაც კაცი ქალს ამდენ რამეს უბედავს იმ ქალისგანაც მოდის რაღაც, ალბათ სიამოვნებს.“ [კაცი, 30-35]

„თუ ერთხელ რამეს შეეცდები და ქალი სხვანაირად გაგცემს პასუხს, შეეშვები. თუ არადა მაშინ ეს შევიწროება გამოდის.“ [კაცი, 20-25]

„მაგალითად, როდესაც ქალთან მიდიხარ და ეუბნები, რომ შენ გინდა მისი გაცნობა. მას არ ეკითხები აზრს. ეს შენ გინდა გაცნობა, ქალბატონს არ უნდა შენი გაცნობა. უნდა კითხო უნდა თუ არა.“ [კაცი, 40-45]

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სამსახურში სექსუალური შევიწროების საკითხი საკმაოდ რთული დასარეგულირებელია. თავდაპირველად, რამდენიმე მონაწილემ პრობლემის გადაწყვეტა ქალის მიერ სამსახურის დატოვებაში ან მისი ოჯახის წევრების, მაგალითად, მეუღლის ჩარევაში დაინახა. თუმცა, რესპონდენტები მალევე შეენინააღმდეგნენ საკუთარ მოსაზ-

რებას და მიიჩნიეს, რომ არც ერთი ვარიანტი მართებულ გამოსავალს არ წარმოადგენს პრობლემის მოსაგვარებლად.

*„არასწორია სამსახურიდან წავიდეს, სამსახურის შოვნა ძალიან ძნელია.“ [კაცი, 30-45]*

სამსახურში სექსუალური შევიწროების საკითხზე მსჯელობისას, რამდენიმე რესპონდენტმა სამსახურის შიდა რეგულაცია ახსენა, რომელიც თანამშრომლებს მსგავსი არასასიამოვნო ინციდენტებისგან უნდა იცავდეს, ხოლო დამსაქმებელი დასაქმებულს წინასწარ უნდა აფრთხილებდეს, რომ რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში სამსახურიდან დაითხოვს.

*„სამსახურში წინასწარ გაგვაფრთხილეს ბიჭები, რომ გოგობთან სერიოზული ურთიერთობა გამორიცხებულია და მაშინვე დატოვებთ სამსახურსო. ეს ჩემთვის გასაგები იყო. ადამიანს გააჩნია.“ [კაცი, 25-30]*

*„როდესაც იყვან სამსახურში, მაშინ უნდა გააფრთხილო, მერე დააკვირდე და დრო და სიტუაცია გამოაჩენს.“ [კაცი, 35-45]*

შიდა რეგულაციის გარდა დისკუსია სექსუალური შევიწროების შესახებ კანონების არსებობა – იმპლემენტაციასაც შეეხო, თუმცა ამ მიმართულებით დისკუსიის გაშლა ფოკუს ჯგუფის მოდერატორის მიერ იყო ინიცირებული, - თავად რესპონდენტებს კანონი, როგორც სექსუალური შევიწროების მარეგულირებელი მექანიზმი, არ გახსენებიათ. მეტიც, დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობამ საკმაოდ სკეპტიკური დამოკიდებულება გამოამჟღავნა და აღნიშნა, რომ მსგავსი საკითხების კანონით რეგულაცია ვერ/არ მოხერხდება, რადგან საკმაოდ რთული დასამტკიცებელია ადამიანისთვის ახორციელებდა თუ არა ის ქალის სექსუალურ შევიწროებას. გარდა ამისა, რესპონდენტებმა ყურადღება თანამდებობრივ მდგომარეობაზეც გაამახვილეს და განმარტეს, რომ ერთ რიგით მოქალაქეს გავლენიანი თანამდებობის პირის წინააღმდეგ კანონის სისრულეში მოყვანა და იმის დამტკიცება, რომ თვითონ ან ვინმე სხვა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი იყო, ძალიან გაუჭირდება.

*„ვიხუმრე ქმარს უთხრას-თქო, ესეც არალოგიკურია,*

იმიტომ რომ შეხლა-შემოხლა უნდა მოხდეს და ერთმანეთი შემოაკვდეთ, თან თუ უფროსი თანამდებობის პირია ქმარს ციხეში გაუშვებენ, ყოველთვის მას გაამტყუნებენ. მე ვთქვი უკვე შემთხვევა, როდესაც ქალმა უჩივლა. ამას ვერ დაარეგულირებ, როდესაც უფროსის მხრიდან არის, ეს საქართველოა. როცა უფროსია მანდ მთავრდება. ხალხზეც არის დამოკიდებული, რა ხალხი მუშაობს...“ [კაცი,30-35]

„კანონში რა უნდა ჩაინეროს? ახლა ჩვენ ლოგიკის მიხედვით ვსაუბრობთ, ვთქვათ, დადგა მომენტი და კანონი შემოვიდა და ამ კანონმა რომ იმოქმედოს, უნდა დაუმტკიცონ და ვერ დაუმტკიცებენ.“ [კაცი, 45-55]

„ყოველთვის იყო გაუპატიურებაზე კანონი, მაგრამ ყველაზე ძნელი დასამტკიცებელი იყო, ასევე ძალადობა და ქრთამის აღება.“ [კაცი, 30-40]

ისეთი შემთხვევის განხილვისას, როდესაც სამსახურში ქალზე სექსუალურ შევიწროებას არა ხელმძღვანელი პირი, არამედ თანამშრომელი ახორციელებს, რესპონდენტებმა სიტუაციის განეიტრალების საუკეთესო გზად სხვა თანამშრომლების ჩარევა და შემვიწროებელთან პირისპირ დალაპარაკება მოიაზრეს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ჩარევას და ქალის დაცვას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ქალს მის მიმართ განხორციელებული ქცევა არ სიამოვნებს, ხმამაღლა ამბობს, რომ მას ეს ქცევა არ სიამოვნებს/არ მოსწონს და სურს, რომ შეწყდეს. ასევე, რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია, რომ გამორიცხული იყოს ქალის მხრიდან სექსუალური შევიწროების პროვოცირება.

„თუნდაც, სამსახური მეზაროს და დავინახო რომ რაღაც ხდება, თუ იმ გოგონამ არ შემომჩივლა და არ დავინახე, რომ ეს გოგონა ნუხდება ვერანაირად ვიმოქმედებ. დავიბარო და ვუთხრა არ დავინახო „ჩალიჩი-თქო“ ? შეიძლება ორივეს უნდა და ჩემი გაფრთხილების შიშით ვერაფერს შევბიან.“ [კაცი, 30-35]

ფოკუს ჯგუფის დროს რამდენიმე კითხვა ქალების საზოგადოებრივ ტრანსპორტში შევიწროებასაც შეეხო. მონაწილეებს საკმაოდ გაუჭირდათ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ქალის

მიმართ დისკრიმინაცია სექსუალურ შევიწროებასთან დაეკავშირებინათ. რესპონდენტების ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ქალების დისკრიმინაცია გამოიხატება მათთვის ადგილის არ დათმობაში, რაც თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემას დაბრალდა.

*„ბავშვებს ასწავლიან სკოლაში ადგილი არავის დაუთმობთო. 100 წლის ბებია რომ ავიდეს იმას არ დაუთმობენ ადგილს.“ [კაცი, 45-50]*

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფოკუს ჯგუფის მოდერატორმა თავად გააკეთა მინიშნება სექსუალურ შევიწროებაზე, რამდენიმე რესპონდენტმა გაიხსენა სიტუაცია, როდესაც კაცები საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადატვირთულ სივრცეს ქალთან მჭიდრო ფიზიკური კონტაქტის დასამყარებლად და თავისი სექსუალური წადილის გამოსახატად იყენებდნენ. ასეთი ქცევის ჩამდენ პირებს დისკუსიის მონაწილე კაცები ერთგვარი „გადახრის“ მქონე ადამიანებად ახასიათებენ. ხოლო შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა დაიცვას ქალმა თავი საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ქალმა უნდა მოითმინოს, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ქალმა ხმა უნდა აიმაღლოს და თავი თავად დაიცვას.

*„ვითომ გატარება უნდა (გულისხმობს კაცს საზოგადოებრივ ტრანსპორტში) და მიექყლიტებიან ხოლმე.“ [კაცი, 25-30]*

*„არიან ასეთი გადახრის ადამიანებიც. რამდენჯერ მინახავს მეტროში ასეთი რამე.“ [კაცი, 20-25]*

*„თუ ასეთ რამეს იგრძნობს (ქალი), გაიწიოს და ნუ დადგება იქ.“ [კაცი, 30-35]*

*„ვინც მოითმენს, ის მოიგებს და თუ ვერ მოითმენს და ერთმანეთის ლანძღვაზე გადავლენ, ორივეს უზრდელობად ჩათვლება.“ [კაცი, 50-55]*

თუმცა, ფოკუს ჯგუფის მონაწილეების გარკვეულმა ნაწილმა ისევ ქალის როლზე გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ ისეთ სიტუაციებში, როდესაც კაცი ქალის

მიმართ სექსუალურ ლტოლვას და/ან მოწონებას გამოხატავს, ხოლო ქალი ამაზე არ რეაგირებს, სავარაუდოდ, ქალს ეს მაინც სიამოვნებს. კვლავ გაიჟღერა აზრმა, რომ, მეტწილად, თავად ქალები იწვევენ მამაკაცებს მათი სექსუალური სურვილების გამოსამჟღავნებლად.

*„ზოგი ისეთია (საუბარია ქალზე), რომ იწვევს მამაკაცს და მერე გინდა, არ გინდა მამაკაცი ხარ და ...“ [კაცი,35-40]*

*„ქალი დამნაშავე. თუნდაც ქცევებით, ჯდომით, ჩაცმულობით, გამოხედვით და ა.შ.“ [კაცი,25-30]*

მთლიანობაში, უნდა ითქვას, რომ ჩვენი კვლევის მონაწილე კაცების გენდერული ცნობიერება/მგრძნობელობა საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა. შესაბამისად, წარმოდგენა ქალთა სექსუალური შევიწროების ფენომენზე, მეტად შეზღუდული. ამაზე მეტყველებს კაც რესპონდენტებში პოპულარული მოსაზრება, რომლის თანახმად, თუ სექსუალური შევიწროების ობიექტი ქალი დუმს და მისთვის უსიამოვნო, პრობლემურ საკითხზე არავისთან არაფერს ყვება, ე.ი. მას ეს სიამოვნებს და რეალურად, დისკომფორტს არც განიცდის. დისკუსიის მონაწილე არც ერთ კაცს არ დაუშვია, რომ ქალს, შესაძლოა, მომხდარზე ხმის ამოღების ეშინოდეს ან თუნდაც, ვერ აცნობიერებდეს, რომ ის დისკრიმინაციის ობიექტია.

რესპონდენტები ქალის მიმართ განხორციელებული სექსუალური შინაარსის ქცევას მხოლოდ მაშინ აღიქვამენ შევიწროებად, თუ თავად ობიექტი/ადრესატი ქალი თავს დისკრიმინირებულად გრძნობს, მომხდარს ასაჯაროებს და აფიქსირებს, რომ წინააღმდეგია მსგავსი ტიპის ქცევა მის მიმართ ხორციელდებოდეს. მეტიც, კაცი რესპონდენტები ქალის შევიწროების გამომწვევ უმთავრეს მიზეზად თავად ქალს, მის ქალურობას და ე.წ. გამომწვევ ქცევას ასახელებენ. შესაბამისად, რესპონდენტ კაცებს უჭირთ იმის დაშვება, რომ შესაძლებელია შევიწროება ქალის მხრიდან პროვოკაციის გარეშე მოხდეს.

## ნანილი II

### თავი 6. ქალის სექსუალური შევიწროება საზოგადოებრივ სივრცეში

სოციალური მეცნიერება და სამართალშემოქმედება ქალთა შევიწროებას საჯარო სივრცეში ნაკლებად მოიცავს. West-ი (1989) აღნიშნავს, რომ „ქალები გამუდმებით ექვემდებარებიან დაუსჯელ სექსუალურ შევიწროებას, რომლის კომპენსაცია ცერ ხერხდება. ქალები, რომლებიც ცხოვრობენ ურბანულ სივრცეებში და უნევთ ქუჩებში მანქანისა და ტაქსის გამოუყენებლად გადაადგილება, შევიწროებას ყოველდღიურად განიცდიან“.<sup>98</sup> West-ის (1989) აზრით, სიტყვა „ხულიგნობა“ (საზოგადოებრივი ნესრიგის დარღვევა) ხშირად ტრივიალიზებულია, თუმცა, ქუჩის შევიწროებასთან დაკავშირებული ქმედებები იმ მახასიათებლების მქონე ქცევაა, რომელიც არა უბრალოდ ხულიგნური ქმედება, არამედ ძალის და დომინაციის დემონსტრაციაა.<sup>99</sup>

შევიწროების სხვა ფორმებისგან განსხვავებით, ქუჩაში შევიწროების უნივერსალური განმარტება არ არსებობს. თუმცა, ამ თემაზე მომუშავე ექსპერტები და ორგანიზაციები საჯარო სივრცეში შევიწროების თავის დეფინიციას აყალიბებენ<sup>100</sup>. მაგალითად, Di Leonardo-ს (1981) ერთ-ერთი ყველაზე ადრეული განმარტების მიხედვით: „ქუჩაში შევიწროება ხორციელდება მაშინ, როდესაც ერთი ან ერთზე მეტი კაცი ავიწროებს ერთ ან ერთზე მეტ ქალს [...] საჯარო სივრცეში, რომელიც არ

98 Robin West, Pornography as a Legal Texts, in *For Adults Only: The Dilemma Of Violent Pornography* 108, 111 (Susan Gubar and Joan Hoff eds., 1989) (As cited by Cynthia Grant Bowman “Street harassment and the informal ghettoization of women” Harvard Law Association, 1993, pg. 3)

99 Ibid.

100 Stop Street Harassment, definitions. See: <http://www.stopstreetharassment.org/resources/definitions/>



არის ქალის სამუშაო ადგილი. მზერის, სიტყვების, ჟესტების საშუალებით კაცი ამტკიცებს, რომ უფლება აქვს ქალის ყურადღება უხეში გზებით მიიპყროს, აღიქვამს რა მას სექსუალურ ობიექტად და აიძულებს მასთან ინტერაქციას.<sup>101</sup>

Bowman-ის (1993) თანახმად, ქუჩაში შევიწროება ქალის ან ქალების მიმართ უცხო კაცის ან კაცების მიერ ხორციელდება, რომლებიც ერევან ან ცდილობენ ჩაერიონ ქალის პირად სივრცეში ისეთი ქცევით, რომელიც არის: „ქალისათვის არასასურველი ქმედებები ან ისეთი ენის გამოყენება, რომელიც ექსპლიციტიურად თუ იმპლიციტიურად, სექსუალური ხასიათისაა. ასეთი ენა მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, ქალის ან კაცის გენიტალიებზე, ქალის სხეულის ნაწილებზე ან სექსუალურ ქმედებაზე მითითებით. შევიწროების ობიექტს, სიტყვით ან ქმედებით, მიენიშნება, რომ ის სექსუალური სურვილის ობიექტს წარმოადგენს, [...] მიმართულია აგრესიული რეაქციის პროვოცირებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ქალი თავად ძალადობით არ უკუურეაგირებს.“<sup>102</sup>

ზევით ხსენებული განმარტებიდან გამომდინარე ნათელია, რომ საჯარო სივრცეში შევიწროება ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს, რომელიც სხვადასხვა ტიპის ქცევის, ჟესტიკულაციისა და კომენტარების სახით გამოიხატება და სპეციფიკური მახასიათებლებით გამოირჩევა: ა) შევიწროების სამიზნეს წარმოადგენს ქალი, ბ) შემვიწროებელი არის კაცი, გ) შემვიწროებელი არ იცნობს მის სამიზნეს, დ) ქცევა ხორციელდება საჯარო სივრცეში (ქუჩა, ავტობუსი, ავტობუსის სადგური და სხვა), და ე) სიტყვის (თუ ასეთი არსებობს) შინაარსი მიმართულია კონკრეტული ინდივიდისადმი, რომელიც ქალის დამცირებას, შეურაცხყოფას, დაშინებას და მის ობიექტივიზაციას ახდენს.<sup>103</sup>

101 Di Leonardo, M. (1981). Political Economy of street harassment, AEGIS: Magazin on ending the violence against women, p. 51-56

102 Grant Bowman, C. (1993). Street Harassment and the Informal Ghettoization of Women. Available at: <http://scholarship.law.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1141&context=facpub>

103 Ibid. pg. 3

Heben-ი (1994) აყალიბებს ქუჩაში შევიწროების სამ ძირითად კატეგორიას:<sup>104</sup>

ა) შევიწროების მძიმე ფორმა, რაც გულისხმობს ექსპლიციტური სექსუალური შინაარსის მითითებებს ქალის სხეულზე და სექსუალური შინაარსის გამომხატველი ქცევის განხორციელებას ქალის სხეულთან მიმართებაში; ნებისმიერ კომენტარს, რომელიც შეურაცხმყოფელია გენდერული, რასობრივი და ეთნიკური ნიშნით ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე; ისეთ ფიზიკურ ქმედებებს, როგორც არის გაყოლა/უკან დადევნება, საგნების სროლა, წამორტყმა ან ჩქმეტა; ბ) ზომიერად მძიმე შევიწროება – სექსუალური ინსინუაცია, იმპლიციტიური მითითებები ქალის სხეულზე; გ) ნაკლებად მძიმე შევიწროება- მზერა, მიშტერება, სტვენა და მსგავსი.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კატეგორიები არ არის უნივერსალური და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე ავტომატურად მორგებადი. ამიტომ, ქმედებათა კატეგორიზაციისას მნიშვნელოვანია, თავად ქალის მიერ შევიწროების ინტერპრეტაცია. შესაბამისად, მიყენებული ზიანი უნდა შეფასდეს, როგორც ქმედების სიმძიმის, ისე ქალის შეფასების და სოციალური პოზიციის შესაბამისად.<sup>105</sup> მაგალითისთვის, აფროამერიკელი ქალის შევიწროება, ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით, ხშირად მონობის ასოციაციას იწვევს. შესაბამისად, მისთვის, როგორც ფერადკანიანი ქალისთვის, შევიწროების ხარისხის შეფასება, შესაძლოა, ბევრად მძაფრი იყოს, ვიდრე თეთრკანიანი ქალის შემთხვევაში.<sup>106</sup> რიგი კვლევების მიხედვით, ყველაზე ხშირად შევიწროების სამიზნე ახალგაზრდა და დასაოჯახებელი ქალები ხდებიან.<sup>107</sup>

---

104 Heben, T. (1994). A Radical Reshaping of the Law: Interpreting and Remediating Street Harassment. *South California's Review of Law and Women's Studies*

105 Ibid.

106 Deirdre, D. "The Harm that Has No Name: Street Harassment, Embodiment, and African American Women." In *Gender Struggles: Practical Approaches to Contemporary Feminism*, edited by Constance L. Mui and Julien S. Murphy. Oxford: Rowman & Littlefield Publishers, Inc., 2002: 214-225.

107 Lenton et al. (1999) (As Cited by Bianca Fileborn, in "Conceptual understandings and prevalence of sexual harassment and street harassment", pg.5)

თუმცა, ქუჩაში შევიწროების ადრესატი შესაძლებელია ნებისმიერი ქალი გახდეს, დაწყებული იმ ასაკიდან, როდესაც მისი სხეული სქესობრივად მნიფდება. შევიწროების პრაქტიკა კი გრძელდება მანამ, სანამ ქალი არ მიაღწევს იმ ასაკს, როდესაც სექსუალურ ობიექტად აღარ განიხილება, რამეთუ „ზედმეტად ასაკოვანია“.<sup>108</sup>

შევიწროების ხასიათი შედარებით განსხვავებულია, როდესაც საქმე გვაქვს განსხვავებული სექსუალური/გენდერული იდენტობის მქონე ქალთან. ასეთ შემთხვევაში ქალები ინტერსექციური ჩაგვრის ობიექტები ხდებიან. ლესბოსელი და ბისექსუალი ქალები პერმანენტულად ეჩეხებიან პრეზუმციას, რომ ყველა ქალი ჰეტეროსექსუალია.<sup>109</sup> ქუჩაში შევიწროება წარმოადგენს, სწორედ, ამ ერთ-ერთ პრეზუმციას, რომელიც უარყოფს ლესბოსელი ქალის სექსუალურ იდენტობას, მიჯნავს რა მას ე.წ. „რეალური“ ქალის ხატისგან და მიუთითებს, რომ ის არ მიეკუთვნება „ნორმალურ“ სოციუმს. აღნიშნული პრეზუმცია ფორმებს იძენს მაშინ, როდესაც ქალი თავისი გარეგნობით არ ჯდება საზოგადოების მიერ მისთვის წინასწარ დადგენილ ფემინურ ხატში/როლში. შესაბამისად, იმ ქალთა მიმართ განხორციელებული ქმედება, რომელთა ქცევა ან ჩაცმულობა მასკულიზირობასთან მეტად ასოცირდება, შესაძლოა, უფრო ძალადობრივ იყოს<sup>110</sup>, ვიდრე ჰეტეროსექსუალური, გამოკვეთილი ფემინური მახასიათებლების მქონე ქალის შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქმედების სექსუალურ შევიწროებად იდენტიფიცირებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც გარემოს სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებს, ისე ქალის ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ იდენტობას.

რაც შეეხება შემვიწროებლებს, მათ შესახებ ინფორმაცია საკმაოდ მწირია, გამომდინარე იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული პრობლემებიდან. ის ფაქტიც, რომ ძალიან იშვიათად ხდება

---

108 Grant Bowman, C. (1993). Street Harassment and the Informal Ghettoization of Women 106 Harv. L. Rev.517, p.6

109 Oshynko, N. A. (2002). No Safe Place: The legal Regulation of Street Harassment, The university of btrish Columbia, p. 36

110 Ibid

სექსუალურ შევიწროებაზე შესაბამისი უწყებების ინფორმირება, ართულებს შევიწროებლის იდენტიფიკაციის საკითხის უკეთ შესწავლას და მისი ქმედებების შესაძლო მიზეზებისა და მიზნების კვლევას. Fileborn-ი (2013) საინტერესოდ აღნიშნავს, რომ კაცი უცხო ადამიანების შევიწროებას უფრო ხშირად მაშინ ახორციელებს, როდესაც ის არ არის მარტო, არამედ მას სხვა კაცებიც თან ახლავს (მაგ., მეგობრები). ამ შემთხვევაში შევიწროებლის ანონიმურობის ხარისხი უფრო მაღალია, გამომდინარე ჯგუფური მოქმედების კონტექსტიდან. შევიწროებლის იდენტიფიცირებისას გამოყოფენ სამ კატეგორიას:<sup>111</sup> „მტაცებლური“-ის ვინც ავიწროებს სექსუალური კმაყოფილების მიზნით; დომინაციური – როდესაც შევიწროებლის მთავარი მოტივი არის მასკულიზური ძალაუფლების დემონსტრაცია და გამყარება ქალთან მიმართებაში; და ბოლოს, სტრატეგიული – ის, ვინც ავიწროებს, რათა დაიცვას კაცის/კაცური სივრცე. ცხადია, აუცილებლობას არ წარმოადგენს ნებისმიერი ინდივიდის ქმედება ამ სამ კატეგორიაში ხვდებოდეს, მით უმეტეს, რომ ისინი არ გვევლინებიან ურთიერთგამომრიცხავად. უფრო მეტიც, შესაძლებელია სამივე კატეგორიის თანადროულობაც.

## **თავი 7. საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროების რეგულირების პრობლემები**

ქუჩაში სექსუალური შევიწროების რეგულაციისთვის ბარიერებს ინფორმაციული ვაკუუმი და შესაბამის უწყებებში მიმართვიანობის არ არსებობა ქმნის. თავის მხრივ, რელევანტური რეგულაციების არ არსებობა მიმართვიანობის სიმცირეს განაპირობებს და, ამდენად, ჩაკეტილი წრე იკვრება. ქუჩაში სექსუალურ შევიწროებაზე განაცხადების ნაკლებობა შეიძლება აიხსნას იმავე მიზეზებით, რომელიც სამუშაო ადგილებზე შე-

---

111 Laniya (2005) p.108 (As cited in Bianca Fileborn “Conceptual understandings and prevalence of sexual harassment and street harassment”, Australian center for the study of sexual assault, July 2013, pg.6)

ვინროების შემთხვევაში მოქმედებს.<sup>112</sup> მსხვერპლთა მიერ ვერ ხერხდება ქმედების სექსუალურ შევიწროებად იდენტიფიცირება; სექსუალური შევიწროება ხშირად განიხილება, როგორც მიღებული (ჩვეულებრივი) ქცევა; მსხვერპლებს აქვთ განწყობა და შიში, რომ მათ პრობლემას სერიოზულად არ აღიქვამენ და რომ მათ ქმედებას შემვიწროებლის მხრიდან, შესაძლოა, საპასუხოდ კიდევ უფრო მძიმე ქმედება მოჰყვეს.

Bowman-ი (1993) ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე აანალიზებს ქუჩაში სექსუალური შევიწროების კუთხით არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ქმედითობას და აღნიშნავს, რომ არც ერთი არსებული სამართლებრივი კატეგორია ქუჩაში შევიწროების რელევანტურ რეგულაციას არ/ვერ უზრუნველყოფს. მაგალითად, სისხლის სამართლით რეგულირებული თავდასხმა ითხოვს განზრახვის, ე.წ. გონივრულობის, ქმედების განმეორებითობის და მსხვერპლის მიმართ არსებითი ზიანის არსებობას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პროკურორებისა და სასამართლოების მიერ ქუჩაში შევიწროების ნაკლებად მძიმე და მსუბუქი ფორმები „უწყინარ“ კატეგორიაში არის გაყვანილი, რაც შემთხვევის სერიოზულად აღქმას და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრებას ხელს უშლის.<sup>113</sup>

ქმედების ობიექტურ ჭრილში განხილვის მიზნით, რაც შემთხვევის გონივრულობის შეფასებას ნიშნავს, ერთგვარი სამართლებრივი ტესტი – „გონივრული ადამიანის“ სტანდარტი გამოიყენება. აღნიშნული სტანდარტი „გონივრული კაცის“ სტანდარტიდან წარმოიშვა, თუმცა, როდესაც ქალის სტატუსი სამართლებრივად კაცისას გაუთანაბრდა, აუცილებელი გახდა „გონივრული კაცის“ სტანდარტის ჩანაცვლება გენდერულად ნეიტრალური ფორმით. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებისა, „გონივრული ადამიანის“ სტანდარტი მაინც უფრო მასკულინურ რეალობას ეფუძნება და არ აღიქვამს, არ ითვალ-

112 Fileborn, B. (2013). Conceptual understandings and prevalence of sexual harassment and street harassment, Australian center for the study of sexual assault

113 Bowman, C. G. (1993). Street Harassment and the Informal Ghettoization of Women, 106 Harvard Literature Review. 517, p.12

ისწინებს ქმედების შედეგებს ქალის პერსპექტივიდან.<sup>114</sup> შესაბამისად, ქმედების „გონივრულობის“ განსაზღვრა ასევე ქმნის პრობლემებს შევიწროების ფაქტების იდენტიფიცირებისას.

რაც შეეხება „განზრახვის“ კრიტერიუმს, კაცთა უმრავლესობა, რომლებიც ქალებს ქუჩაში ავიწროებენ, ნებისმიერ ძალადობრივ განზრახვას უარყოფენ და შემვიწროებლის ქცევას უბრალოდ ხუმრობისა და კომპლიმენტის სახით განიხილავენ<sup>115</sup>. Bowman-ის (1993) აზრით, „განზრახვის“ არსებობა არსებითად მოდის წინააღმდეგობაში ქუჩაში შევიწროების რეგულირების მიზნებთან, ვინაიდან შემვიწროებლის პირდაპირი განზრახვა ყოველთვის არ არის ქალის დაშინება და/ან დამცირება, თუმცა შეიძლება იყოს შედეგი. შესაბამისად, ქუჩაში შევიწროების საიდენტიფიკაციო კრიტერიუმად არც არასასურველი კონტაქტის ჰიპოთეტური შიში და არც ქმედების „ნამდვილი“ მოტივაციის ან მიზნის (რომლის დადგენაც, პრინციპში, წარმოუდგენელია) განსაზღვრა არ იქნება რელევანტური და შემვიწროებელი კვლავ დაუსჯელი დარჩება.<sup>116</sup>

საყურადღებოა, ასევე, აშშ-ი მოქმედი „ძალადობრივი ენის“ სტატუტი, რომელიც ისეთი შეურაცხმყოფელი ენის გამოყენებას ეხება, რომელიც საჯარო წესრიგსა და სიმშვიდეს არღვევს და „ბუნებრივად არის მიმართული ძალადობრივი ხასიათის უკმაყოფილების გამოწვევაზე“.<sup>117</sup> იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქუჩაში შევიწროება „ძალადობრივი ენის“<sup>118</sup> კონტექსტში იქნება მოაზ-

---

114 Shoenfelt, E. Maue, A., Nelson, J. (2002) Reasonable person versus reasonable woman: does it matter? *Journal of Gender, Social policy & the Law*, 10(3) p. 648, Available at: <http://www.wcl.american.edu/journal/genderlaw/10/10-3shoenfelt.pdf>

115 Bowman, C. G. (1993). *Street Harassment and the Informal Ghettoization of Women*, 106 *Harvard Literature Review*. 517, p.12

116 Bowman, C. G. (1993). *Street Harassment and the Informal Ghettoization of Women*, 106 *Harvard Literature Review*. 517, p.13

117 GA, code ann. 16-11-39 (1992) (As cited in Cynthia Grant Bowman, “street Harassment and the informal Ghettoization of Women” 1993, 106 *Harv. L. Rev.* 517, pg.16)

118 *Ibid.*

რებული, ის მაინც კაცზე არის მორგებული, რადგანაც ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევას, როდესაც პასუხი მსგავს შევიწროებაზე ასევე ძალადობრივია<sup>119</sup>, რაც არსებით წინააღმდეგობაში მოდის ქალის შესაძლო ქცევასთან: ქალი, როგორც წესი, ცდილობს არათუ არ უპასუხოს კაცს და არ აყვეს მის მოქმედებას, არამედ მაქსიმალურად გაერიდოს სიტუაციას და იგნორირება გაუკეთოს დამამცირებელ თუ შეურაცხმყოფელ ქცევას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნორმა ასევე არარელევანტურია.

Bowman-ი (1993) ქუჩაში შევიწროებას სამოქალაქო სამართლის დელიქტური (ზიანის ანაზღაურების) ვალდებულებების კონტექსტშიც აანალიზებს და აღნიშნავს, რომ ის სისხლის სამართლის მსგავსად, არაეფექტურია, რადგან განსაკუთრებით მძიმე, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქცევით გამოწვეულ მძიმე ემოციური სტრესის არსებობას ითხოვს.<sup>120</sup> მსხვერპლის ვალდებულება, ამტკიცოს მიყენებული ზიანის სიმძიმე, განსაკუთრებით ხელის შემშლელია ქუჩაში სექსუალური შევიწროების კონტექსტში მაშინ, როდესაც ქმედება “გონივრული კაცის” სტანდარტით, აღმაშფოთებელს და განსაკუთრებით მძიმეს, შესაძლოა, სულაც არ წარმოადგენდეს. ყოველივე ზევით ხსენებულიდან გამომდინარე, Bowman-ი (1993) უნივერსალურ სტანდარტს აყალიბებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ქუჩაში შევიწროების სამართლებრივ დისკურსში განხილვა:

- ა) არ მოხდეს დანაშაულისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა შევიწროებლის განზრახვის საფუძველზე;
- ბ) მოხდეს „გონივრული ქალის“ სტანდარტის გამოყენება, როგორც ქმედების სიმძიმის, ისე ქალის რეაქციის გონივრულობის მიხედვით;
- გ) აისახოს (გათვალისწინებულ იქნას) როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ქცევა;

---

119 Bowman, C. G. (1993). Street Harassment and the Informal Ghettoization of Women, 106 Harvard Literature Review. 517, p.21

120 Restatement (second) of Torts, 46(1) (1965)

- დ) ნორმა არ უნდა ითხოვდეს ქმედების განმეორებითობასა და განგრძობითობას;
- ე) კანონი უნდა ეხებოდეს საჯარო სივრცეში ჩადენილ ქცევას, თუმცა, არ უნდა იყოს ლიმიტირებული საჯაროობის დისკურსით;<sup>121</sup>
- ვ) სპეციფიკურად უნდა განისაზღვროს, რომ კანონი/ნორმა უშუალოდ ეხება შევიწროებას ქუჩაში, რათა სასამართლოს არ ქონდეს ქმედების კვალიფიკაციისათვის თავის არიდების შესაძლებლობა.

აღნიშნული სტანდარტების ცხოვრებაში გატარებას Bowman-ი (1993) ხედავს ორი ძირითადი გზით: (1) საკითხის ცალკე რეგულირება, რომელიც სპეციფიკურად იქნება მიმართული ქუჩაში სექსუალური შევიწროების საკითხებზე და (2) სამართალწარმოების კამპანია, რომლის მიზანიც იქნება უკვე არსებული სამართლებრივი ნორმების დახვეწა. Bowman-ის (1993) სტანდარტი განსაკუთრებით საინტერესო და გამოსაყენებელია იმ კუთხით, რომ ის ფოკუსირდება შევიწროებლის ობიექტურ ქცევაზე, მისი სუბიექტური განზრახვისა და მსხვერპლის რეაქციის/შეფასების სიმძიმისგან დამოუკიდებლად (რაც არ ენიანაღმდეგება და არ გამორიცხავს მსხვერპლის მიერ იმის მტკიცებას და გაცხადებას, რომ განხორციელებული ქმედება მისთვის იყო სუბიექტურად არასასურველი).

Bowman-ის (1993) მსგავსად, ამერიკელი პროფესორი Nielsen-ი (2014) ცდილობს ქუჩაში შევიწროება ცალკე რეგულაციის საკითხად აქციოს. ის სვამს შემდეგ კითხვას: „მაშინ, როდესაც არსებობს სამუშაო ადგილსა და უნივერსიტეტში სექსუალური შევიწროების, ასევე ოჯახში ძალადობის კანონით გათვალისწინებული ადეკვატური აკრძალვა, რატომ არ შეიძლება ეს ქუჩაზეც გავრცელდეს? გენდერული თანასწორობა

121Bowman-ის (1993) განმარტებით საჯარო სივრცე არის ნებისმიერი ადგილი, სადაც ხალხს აქვს წვდომა, რომელთა შორისაა [თუმცა არ შემოფარგლება] ქუჩა, ტროუარი, ხეივანი, საჯარო შენობები, თეატრები, ტავერნები, რესტორნები, სასტუმროები, ასევე სამგაზვრო გადაადგმების საშუალებები: მატარებელი, ავტობუსი, ტაქსი.



ხომ ყველგან უნდა არსებობდეს?!“<sup>122</sup> Nielsen-ი (2014) სახელმწიფოს სთავაზობს ქუჩაში შევიწროების კანონმდებლობით რეგულირების მისეულ ხედვას: „არასასურველი სიტყვა ან ქმედება მიმართული ინდივიდების მიმართ საჯარო სივრცეში მათი სქესის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, განხორციელებული დაშინების მიზნით.“<sup>123</sup> Nielsen-ის (2014) მოსაზრებით, ნორმის ასახვა უნდა მოხდეს დელიქტური ვალდებულებების ქრილში, რათა ქალი უზრუნველყოფილი იყოს შესაძლებლობით, რომ უჩივლოს შემვიწროებელს მისი დაჯარიმების მოთხოვნით. და მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ნორმა ქმედითი და მიმართავენ თუ არა ქალები სამართალდამცავებს, მნიშვნელოვანია, რომ კანონის „სიმბოლიზმი“ იყოს გენდერული თანასწორობის მხარეზე<sup>124</sup>, რამაც საბოლოოდ, შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს მთლიან პროცესზე.

ქუჩაში სექსუალური შევიწროების რეგულაციას ასევე ართულებს გამოხატვის თავისუფლებასთან მისი გადაკვეთა. Bowman-ის (1993) მიერ შემოთავაზებული ქუჩაში შევიწროების წინააღმდეგ სტანდარტი გააკრიტიკეს სწორედ იმ მოსაზრების გამო, რომ ამგვარი რეგულაცია გამოხატვის თავისუფლებას საფრთხეს შეუქმნის<sup>125</sup> და, ამასთან, ეფექტურობასაც იქნება მოკლებული, რადგან ვერ შეძლებს უფლების (გამოხატვის თავისუფლების) კონსტიტუციური „სიმყარის“ გადანონვას. თავად გამოხატვის თავისუფლება უმრავლეს სახელმწიფოთა უზენაესი კანონებითა და საერთაშორისო აქტებით დაცული ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც ცენტრალურ როლს თა-

---

122 The New Yourk Times, Street Harassment Law Would Restrict Intimidating Behavior, published on November 2014, Available at: <http://www.nytimes.com/roomfordebate/2014/10/31/do-we-need-a-law-against-catcalling/street-harassment-law-would-restrict-intimidating-behavior>

123 Ibid.

124 Ibid,

125 Thompson, D. "The woman in the street: Reclaiming the public space from sexual harassment" 6 Yale Journal of law and feminism, 1994, p. 313 (As Cited in Norma Anne Oshynko "No Safe Place: The legal Regulation of Street Harassment", The university of btirish Columbia, May 2002.p.. 20)

მაშობს ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა პატივისცემის და სხვა უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სიტყვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია მისი შეზღუდვა კონკრეტული, ობიექტური საფუძვლებით.<sup>126</sup> გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით, ორგვარი მიდგომა არსებობს სახელმწიფოებს შორის: ნაწილი გამოხატვის თავისუფლებას თითქმის აბსოლუტური დაცვით უზრუნველყოფს. მაგალითად, აშშ-ში არ შეიძლება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, რადგან ის ახშობს პლურალიზმს და მნიშვნელოვან საკითხებზე განსხვავებული პერსპექტივიდან მსჯელობას, რაც, ავტომატურად, დემოკრატიული სახელმწიფოს, როგორც ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული ორგანიზმის, შესუსტებას უწყობს ხელს.<sup>127</sup> ამერიკის მაგალითის მიხედვით გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის მოქალაქეებისთვის „მყისიერ საფრთხეს“<sup>128</sup> შეიცავს. ამის საპირისპიროდ, ევროპული ქვეყნები (დანი, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია და სხვ.), მაგალითად, სიძულვილის შემცველ ენას სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებს, ვინაიდან სიძულვილის ენა კონკრეტული ჯგუფის მიმართ აშკარა სიძულვილის, მტრობისა და მიუღებლობის გამომხატველია, რაც ძირითადად ჰომოფობიაში, ტრანსფობიაში, რასიზმსა და ქსენოფობიაში ვლინდება. შევიწროების შემთხვევაში, მართალია, ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით

126 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10 (2)

127 ჯაფარიძე, ს. (2012). სიძულვილის ენა და უმცირესობები. როგორ დავძლიოთ სიძულვილის ენა? ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო. გვ. 17

128 „(1) speech can be prohibited if it is “directed at inciting or producing imminent lawless action” BRANDENBURG v. OHIO, 395 U.S. 444 (1969) 395 U.S. 444.

რომ მიზოგინია (ქალების მიმართ სიძულვილი) ქალების სექსუალური შევიწროების ერთადერთი ან პირდაპირი მიზეზია, თუმცა, ვერბალური ქცევით ქალებისთვის, როგორც სოციალური ჯგუფისთვის, მტრული, დამამცირებელი და ა.შ. გარემოს შექმნა (თეორიულად) შესაძლებელია სიძულვილის ენად განისაზღვროს.

გამოხატვის თავისუფლებასა და მის უნივერსალურობაზე მითითებით ქუჩაში შევიწროების რეგულაციაზე სახელმწიფოს უარი არ უნდა იყოს გაზიარებული. თუნდაც, იმ მიზეზით, რომ პირველ რიგში, საქმე ადამიანის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ეხება, რომელიც შემვიწროებელთან პირისპირ, ღია (საჯარო) სივრცეში იმყოფება, სადაც „მცისიერი საფრთხის“ (ვითარების დამძიმების) ბევრი შესაძლებლობა და ვარიაცია არსებობს.

## 7.1. საერთაშორისო სტანდარტი

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს დასახლების პუნქტების პროგრამის (UN-Habitat) მიერ ინიცირებული იქნა გაეროს „უსაფრთხო ქალაქი გლობალური ინიციატივის“ პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ქალებისათვის უსაფრთხო და არაძალადობრივი გარემოს უზრუნველყოფას მსოფლიოს ყველა ქალაქში.<sup>129</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაცია აღნიშნული პროგრამის მიზნების გაცხადებისას მიუთითებს, რომ „სექსუალური შევიწროება და საჯარო სივრცეებში სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები, ყოველდღიურად იჩენს თავს ქალებისა და გოგონების ცხოვრებაში. ისინი ექვემდებარებიან სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმას საჯარო ადგილებში, დანყებულ სექსუალური შევიწროებიდან, დამთავრებული სექსუალური თავდასხმით, რომელიც გაუპა-

129 თავდაპირველად, აღნიშნულმა პროგრამამ 5 საპილოტე ქალაქი მოიცვა (ქაირო – ეგვიპტე, კიგალი – რუანდა, ახალი დელი – ინდოეთი, კიტო – ეკვადორი, პორტ მორზბი – პაპუა ახალი გვინეა) და სხვადასხვა აქტივობების საშუალებით ქალთა გაძლიერების გრძელვადიან მიზანზე მუშაობა დაიწყო.

ტიურებასა და ფემიციდს მოიცავს. ეს ხდება ქუჩებში, საჯარო ტრანსპორტში, პარკებში, სკოლებთან და სამსახურებთან ან მათივე სამეზობლოში. აღნიშნული რეალობა ზღუდავს ქალისა და გოგონების თავისუფალ გადაადგილებას. ის ზღუდავს მათ შესაძლებლობას, იარონ სკოლებში, სამსახურებში და სოციალურ ცხოვრებაში ჩაერთონ.<sup>130</sup>

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2013 წლის მარტში გაეროს კომისია ქალთა სტატუსზე პირველად შეეხო სექსუალური შევიწროების საკითხს საჯარო სივრცეში.<sup>131</sup> პრევენციის მიზნით, კომისია სახელმწიფოს რეკომენდაციას უწევს მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა ქალთა და გოგონათა ძალადობისა და შევიწროებისაგან დაცვა უზრუნველყოს, როგორც საჯარო, ისე კერძო სივრცეში; უზრუნველყოს მათი დაცულობა და უსაფრთხოება ცნობიერების ამაღლებით, ადგილობრივი თემების ჩართულობით და დანაშაულთა აღმკვეთი პოლიტიკის გატარებით და, ასევე, ურბანული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის, საჯარო ტრანსპორტისა და ქუჩის განათების უზრუნველყოფით, სოციალური და ინტერაქციული მედიის დახმარებით.<sup>132</sup>

საყურადღებოა ბელგიის შემთხვევა, როდესაც თანაბარი შესაძლებლობების ფედერალური მინისტრის ინიციატივით, 2014 წლის 21 მაისს, მთავრობამ ცვლილებები შეიტანა 2007 წლის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კანონში და სქესის ნიშნით დისკრიმინაცია სისხლის სამართლის კანონით დასჯად დანაშაულად გამოაცხადა. აღნიშნული ინიციატივის მოტივატორი ბელგიის ქალაქ ბრიუსელში სტუდენტ სოფი პიტერსის მიერ გადაღებული ვიდეო გახდა, სახელწოდებით

---

130 UN Women, Creating Safe Public Spaces, See: <http://www.unwomen.org/en/what-we-do/ending-violence-against-women/creating-safe-public-spaces><http://www.unwomen.org/en/what-we-do/ending-violence-against-women/creating-safe-public-spaces>

131 Commission on the Status of Women Report on the fifty-seventh session (4-15 March 2013) Economic and Social Council, Official Records, 2013 Supplement No. 7, Para. 23

132 Ibid. Para. B(zz)

„Femme de la rue“,<sup>133</sup> რომლის მიზანიც ფარული კამერის საშუალებით ბრიუსელის ქუჩებში კაცების მიერ ქალთა შევიწროების ფაქტების გათვალსაჩინოება იყო.<sup>134</sup> კანონის მიღებას გარკვეული კრიტიკა მოჰყვა სხვადასხვა სოციალური თუ პროფესიული სივრცეებიდან, მათ შორის, ქუჩაში შევიწროების წინააღმდეგ მიმართული ცნობილი მოძრაობა Hollaback-ის მხრიდანაც; ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ქუჩაში შევიწროების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად განსაზღვრას და აღნიშნულს კომპლექსური მიზეზებით ხსნიდნენ. Hollaback-ის მოსაზრებით, ყველა ის ვიდეო, რომელიც ქუჩაში შევიწროების გამოაშკარავებას ემსახურება, „ერთეულ“ პერსონალურ ისტორიას წარმოადგენს, რომელიც, შესაძლოა, ერთადერთ და გენერალიზებულ ისტორიად იქცეს. მოვლენათა ამგვარი განვითარება არასრულად აღწერს რეალობას და, მეორეს მხრივ, ახალი სტერეოტიპების წარმოქმნას უწყობს ხელს.<sup>135</sup> მაგალითად, სტერეოტიპი, რომ ფერადკანიანი კაცები უფრო ხშირად ავიწროებენ ქალებს ქუჩაში კიდევ უფრო მყარდება ამგვარი ვიდეოების საფუძველზე.<sup>136</sup> შესაბამისად, ის კაცები, რომელთა იდენტიფიცირება ეთნო-კულტურულ უმცირესობებთან ხდება, შესაძლოა, ზეწოლის და კონტროლის ობიექტი გახდნენ. ამდენად, მოძრაობას მიაჩნია, რომ სექსიზმის რასიზმით ჩანაცვლება არ არის პრობლემაზე რელევანტური პასუხი.<sup>137</sup> გარდა ამისა, Hollaback-ი აღნიშნავს, რომ ანტი-სექსიზმის შესახებ ნორმა არ არის კორელაციაში ქუჩაში შევიწროების საერთა-

133 დეტალურად იხ: <https://www.youtube.com/watch?v=H0uQInTECI4>

134 Different videos have already circulated around the globe, using this technique of filming harassers with a (hidden) camera. (Warzone (New York, USA), Femme de la rue (Brussels, Belgium), Hommes de la rue (Brussels, Belgium), Creepers on the Bridge (Cairo, Egypt), Street Harassment: Sidewalk Sleazebags and Metro Molesters(Washington D.C., USA) and many others )

135 Ibid.

136 სადემონსტრაციოდ იხილეთ ნიუ-იორკის ქუჩებში ფარული კამერით გადაღებული ვიდეო: <https://www.youtube.com/watch?v=b1XGPvbWn0A>

137 „Replacing sexism with racism is not a proper holla back“, See: <http://brussels.ihollaback.org/anti-discrimination-policy/>

შორისო გაგებასთან, – კანონი შევიწროების აღნიშნულ ფორმას მხოლოდ ერთი განზომილებიდან აფასებს, განიხილავს რა მას მხოლოდ სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დისკურსში.<sup>138</sup>

მიუხედავად კრიტიკისა, კანონი სექსიზმის წინააღმდეგ მაინც შევიდა ძალაში. ბელგიის სექსიზმის წინააღმდეგ ნორმის მიხედვით: „კანონის მიზნებისთვის, სექსიზმი არის ნებისმიერი ქმედება ან ქცევა [სისხლის სამართლის კოდექსის 444 მუხლში მითითებულ სიტუაციაში], რომელიც ამკარად მიზნად ისახავს პირის შეურაცხყოფას მისი სქესის გამო, ან იგივე მიზეზით განხორციელებული ქმედება პირის დამცირების მიზნით ან პირის მხოლოდ სქესობრივ განზომილებაში განხილვა ისე, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს პირის ღირსებას.“<sup>139</sup>

ახალმა კანონმა, რომელმაც სქესის ნიშნით შევიწროების დეფინიცია შემოიტანა, დააზუსტა მისი საზღვრები სისხლის სამართლის კოდექსში მითითებული „საჯარო სივრცის“ საშუალებით, რომელიც ერთნაირად გულისხმობს, როგორც ქუჩას, ისე სხვა საჯარო სივრცეებს, რომელიც განკუთვნილია ადამიანთა თავისუფალი ყოფნის, შეკრების თუ გადაადგილებისთვის. ბელგიის მთავრობამ ქუჩაში შევიწროების ჩადენისათვის, განსაზღვრა ჯარიმა მაქსიმუმ 1000 ევროს ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთა ერთი თვიდან ერთ წლამდე ვადით.<sup>140</sup>

საქართველოს შემთხვევაში არახალია, რომ სექსუალური შევიწროების რეგულირების კუთხით სერიოზული საკანონმდებლო ვაკუუმი. საქართველოში არსებული არც ერთი ნორმატიული აქტი არ შეიცავს სექსუალური შევიწროების ცნებას და

---

138 A few words from Hollaback! Brussels and Hollaback! Ghent about that viral video from New York. See: <http://brussels.ihollaback.org/>

139 Chapitre 2. Art. 2. (Service Public Federal Interieur et Institut Pour L'Egalite des Femmes et des Hommes), Publié le : 2014-07-24. See: [http://www.ejustice.just.fgov.be/cgi/article\\_body.pl?language=fr&caller=summary&pub\\_date=14-07-24&numac=2014000586](http://www.ejustice.just.fgov.be/cgi/article_body.pl?language=fr&caller=summary&pub_date=14-07-24&numac=2014000586)

140 Chapitre 2. Art. 3. (Service Public Federal Interieur et Institut Pour L'Egalite des Femmes et des Hommes), Publié le : 2014-07-24. See: [http://www.ejustice.just.fgov.be/cgi/article\\_body.pl?language=fr&caller=summary&pub\\_date=14-07-24&numac=2014000586](http://www.ejustice.just.fgov.be/cgi/article_body.pl?language=fr&caller=summary&pub_date=14-07-24&numac=2014000586)

შესაბამისად, არც მის ფორმებს, როგორც არის შევინროება ქუჩასა და სხვა საჯარო სივრცეში. თუმცა, სანამ საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზზე გადავალთ, წარმოგიდგინებ საზოგადოებრივ სივრცეში ქალების სექსუალური შევინროების რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებს.

### **თავი 8. საზოგადოებრივ სივრცეში ქალთა სექსუალური შევინროების რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები**

#### **მეთოდოლოგია**

საზოგადოებრივ სივრცეში ქალთა სექსუალური შევინროების (ქუჩა, ტრანსპორტი) შესახებ ჩვენს მიერ წარმოდგენილი კვლევა, ერთი მხრივ, ფოკუსირებულია იმის შესწავლაზე, თუ როგორ განმარტავენ სექსუალურ შევინროებას ქართველი სტუდენტი ქალები და, მეორეს მხრივ, როგორია მათი პერსონალური გამოცდილება, – გამხდარან თუ არა სექსუალური შევინროების ობიექტი და რა ფორმით.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩვენ გამოვიყენეთ, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდი. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში კვლევისთვის სპეციალურად შემუშავებული კითხვარი, ელექტრონული სახით, გაიგზავნა 130 სტუდენტ ქალთან, რომლებიც თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლობენ და რომლებიც, გამომდინარე სტუდენტური ცხოვრებიდან, დღის განმავლობაში ინტენსიურად გადაადგილდებიან და საზოგადოებრივი ტრანსპორტით აქტიურად სარგებლობენ. კითხვარების გაგზავნიდან ერთი თვის თავზე სრულყოფილად შევსებული 87 კითხვარი დამუშავდა SPSS-ის პროგრამის საშუალებით. გამოკითხული 87 რესპონდენტი ქალიდან უმრავლესობა (59%) თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუ-

დენტია, ხოლო 21% ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. ასევე, უმრავლესობა (53%) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია, 15% – ჰუმანიტარულის, 11% კი – ბიზნესის. გამოკითხულთა 59% ამბობს, რომ უნივერსიტეტში არასოდეს უსწავლია გენდერთან დაკავშირებული რაიმე საგანი, 40%-ს კი მინიმუმ ერთი საუნივერსიტეტო კურსი მაინც გაუვლია. გამოკითხული ქალების ასაკი ვარირებს 18-დან 25 წლამდე. ბუნებრივია, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა რეპრეზენტატული არ არის და მიღებული მონაცემები ვერ განზოგადდება. თუმცა, მიღებული შედეგები საყურადღებოა, რადგან ნათლად მიაჩნდება ქართულ რეალობაში არსებულ ტენდენციებს.


დამატებით, სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, პირისპირი ინტერვიუ ჩატარდა სექსუალური შევიწროების გამოცდილების მქონე ექვს სტუდენტ ქალთან (20-24), რომელმაც ინტერვიუს ჩატარებამდე თავად მოახდინა საკუთარი გამოცდილების სექსუალურ შევიწროებად სახელდება. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს რესპონდენტებმა თავად გამოთქვეს კვლევაში მონაწილეობის სურვილი და მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეიტანეს ჩვენი კვლევის წარმატებით განხორციელებაში. კვლევა ჩატარდა კონფიდენციალურობის სრული დაცვით და თითოეული მონაწილეს ვინაობა ანონიმურია. ამგვარად, მოცემულ თავში გაგაცნობთ კვლევის შედეგებს, რომელიც ეხება სტუდენტ ქალებში სექსუალური შევიწროების, როგორც ფენომენის ცნობადობას და შევიწროების მათ პირად გამოცდილებას.

## **8.1. სექსუალური შევიწროების ცნობადობა**

რაოდენობრივი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტებს, დამოუკიდებლად მათი პირადი გამოცდილებისგან, საკმაოდ კარგად ესმით სექსუალური შევიწროების, როგორც სოციალური და კულტურული ფენომენის მნიშვნელობა. გამოკითხული სტუდენტი ქალების უმ-



რავლესობისთვის, სექსუალური შევიწროება, უპირველესად, სოციალურ პრობლემას წარმოადგენს [84%]. სექსუალური შევიწროება აღქმულია ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად [81%], რომელიც, სხვა გამოვლინებებთან შედარებით, ნაკლებად თვალსაჩინოა [62%]. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ქალთა სექსუალური შევიწროება პატრიარქალური კულტურის შედეგია [37%] და კანონით არის დასარეგულირებელი [47%] (იხ. დიაგრამა #1). დამატებით აღინიშნა, რომ სექსუალური შევიწროების შემადგენელი კომპონენტია უცნობი კაცის მხრიდან ფლირტი, მიუხედავად იმისა, ქალს ეს სიამოვნებს თუ არა [59%] და ასევე, გაუპატიურებაც [39%]. საყურადღებოა, რომ იმ გამოკითხულთა შორის, ვინც სექსუალურ შევიწროებას პატრიარქატის პროდუქტად და ქალის დისკრიმინაციის გამოვლინებად მიიჩნევს, საკმაოდ მაღალია შევიწროების გამოცდილების მქონე რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებელი.<sup>141</sup> (იხ. დიაგრამა #1)



ნიშანდობლივია, რომ რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს შინაარსობრივად ავსებს და ამყარებს ჩვენს მიერ ჩატ-

141 87 გამოკითხული სტუდენტი ქალიდან საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროების გამოცდილება აქვს 54 ქალს (62%), ხოლო 33 ქალს (38%) მსგავსი გამოცდილება არ აქვს. დეტალურად იხილეთ ქვეთავში 8.4.

არებული თვისებრივი კვლევის, კერძოდ კი, სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები. უპირველესად, უნდა აღინიშნოს ექვსივე რესპონდენტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქალთა სექსუალური შევიწროება საქართველოში რეალურ პრობლემას წარმოადგენს რამდენიმე გარემოებიდან გამომდინარე: სექსუალური შევიწროება საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რაც რესპონდენტების მიერ, ავტომატურად, სოციალურ პრობლემად მოიაზრება; ის მეტად გავრცელებული პრაქტიკაა, ვინაიდან მასკულიზური ქართული კულტურისთვის მისაღები ფენომენია, რომელზეც ხმამაღლა არ საუბრობენ, რომლის მიმართ საზოგადოება გულგრილია და რომელიც, შესაძლოა, ქალისთვის სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმის საფუძველი გახდეს. გარდა ამისა, რესპონდენტები ფიქრობენ, რომ სექსუალური შევიწროება ქალისთვის დამამცირებელი გამოცდილება და ქალის ობიექტად აღქმის რეპრეზენტაციაა, რაც, სხვა სიტყვებით, ქალის „ადამიანობის და პიროვნების უარყოფას“ (R1) ნიშნავს. რესპონდენტმა ქალებმა სექსუალური შევიწროების კვლევის მნიშვნელობაც აღნიშნეს იმ მიზნით, რომ რეალური ვითარების ასახვა მოხდეს, საზოგადოებას ინფორმაცია მიენოდოს და პრობლემასთან ბრძოლის გზებიც დაისახოს.

*„ვთვლი, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ზოგადად ერთ-ერთი ძალიან მწვავე პრობლემაა საქართველოში და შესაბამისად სექსუალური შევიწროებაც ერთ-ერთი ისეთი ფორმაა, რომელიც, ჩემი აზრით, ყველა ქალს გამოუცდია და რაც უფრო მეტი ადამიანი ილაპარაკებს თავისი გამოცდილების შესახებ, მით უფრო მეტი საშუალება მიეცემათ მკვლევარებსაც და ვინც მოშაობს ზოგადად იმ ადამიანებსაც, რომ წინ გადადგას ნაბიჯები, უფრო კარგად დაინახოს პრობლემა და იპოვოს გადაჭრის გზები“. (R1)*

„ვფიქრობ ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა საქართველოში და მას ბევრი ყურადღებას არ აქცევს. პრობლემა ის არის, რომ სექსუალური ზეწოლა ძალიანაა მიღებული საქართველოში კაცების მხრიდანაც და ქალების მხრიდანაც. ანუ ეს ბევრი ქალის მიერ, ჩემს სანაცნობო წრეშიც შევამჩნიე, რომ თუნდაც ქუჩაში ბიჭი თუ დაუსტვენს პრობლემად არ აღიქმება, პირიქით სხვანაირად იღებენ ამას. ჯობია, რომ ხალხი ამ საკითხებში გაერკვეს“. (R2)

„ვფიქრობ, რომ, რაც უფრო ბევრი ადამიანი ამოიღებს ხმას ამის შესახებ, ნუ პრობლემაც უფრო ისეთი გახდება რა, თვალსაჩინო და იქნებ უფრო ვინმემ მიაქციოს ყურადღება, ხალხი მოვიდეს აზრზე ან რაეცი, ასეთი გულგრილები მაინც არ იყვნენ“. (R6)

„ჩემი აზრით, კვლევა იმისთვის არის საჭირო, რომ სხვებისთვის გახდეს ცნობილი, რომ ესეთი ფაქტები ხდება და ეს თემა მართლა პრობლემურია. შემანუხებელია, თითქმის ყოველდღიურად.. შემანუხებელია რა, ძალიან ხშირად ხდება და ამიტომ“. (R4)

„პრობლემაა იმიტომ, რომ ძალიან ცუდად მოქმედებს, შოკია იმ ნუთას, არ ელოდები, უსიამოვნო შეგრძნებაა“. (R3)


## 8.2. სექსუალური შევიწროების ფორმების მიმართ დამოკიდებულება და მათი აღქმა

რაც შეეხება უშუალოდ სექსუალური შევიწროების ფორმების მიმართ დამოკიდებულებას, გამოიკვეთა, რომ **ფიზიკურ დისტანციას** საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული ქცევის სექსუალურ შევიწროებად იდენტიფიცირებისთვის და მისი გამოვლინების სიმძიმის განსაზღვრისთვის. (იხ. დიაგრამა #2)

როგორც ჩვენს მიერ განხორციელებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები ცხადყოფს, მიშტერება ან თვალის გაყოლება რესპონდენტთა 39%-სთვის ცალსახად სექსუალურ შევიწროებას არ წამოადგენს. ასევე, ვერბალური კომენტარი ქალის ჩაცმულობა/გარეგნობაზე 27%-სთვის ქალის სექსუალურ შევიწროებად არ მიიჩნევა. თუმცა, რესპონდენტთა პასუხების პროცენტული განაწილება იცვლება მაშინ, როდესაც საუბარია **ფიზიკურ შეხებაზე**. ასე, მაგალითად, სტუდენტი ქალების 87%-ის აზრით, ქალის მკერდსა და გენიტალებზე შეხება, ერთმნიშვნელოვნად, სექსუალური შევიწროების გამოვლინებაა და მხოლოდ 12% ფიქრობს, რომ გააჩნია მის მიმართ განხორციელებული ქცევა ქალს სიამოვნებს თუ არა. რესპონდენტები ქალის სხეულზე მოტმასნების ან გახახუნების შემთხვევასაც ანალოგიურად აფასებენ.

საყურადღებოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს სექსუალური შევიწროების ისეთ ფორმებს, სადაც კაცის მიერ ქალისთვის თავისი გენიტალების წარმოჩენა ფიგურირებს. გამოკითხულთა 86% კაცის მიერ სასქესო ორგანოს დემონსტრირებას, ხოლო 84% კი კაცის მიერ თავისი გენიტალების ქალის დასანახად შეხებას/მოსინჯვას, ცალსახად, ქალის სექსუალურ შევიწროებად აღიქვამს. აქედან გამომდინარე, იკვეთება, რომ რაც უფრო „**თვალსაჩინო**“ და **ინტენსიურია მინიშნება სექსუალურ აქტზე**, მით უფრო მეტად ფასდება და აღიქმება გამოკითხული სტუდენტებისთვის ესა თუ ის ქცევა სექსუალურ შევიწროების ეკვივალენტად. საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ მიშტერება და გარეგნობაზე ვერბალური კომენტარის გაკეთება ქალის სექსუალური შევიწროების პრაქტიკად ყველაზე ნაკლებად მიიჩნევა.

**დიაგრამა # 2: სექსუალური შევიწროების ფორმების იდენტიფიცირება**



საინტერესოა, რომ სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტების უმრავლესობისთვისაც სექსუალური შევიწროება, უპირველესად, **ფიზიკურ შეხებასთან არის ასოცირებული**. რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ მიზანმიმართული შეხების ფონზე, ვერბალურ კომენტარებს თუ დაჟინებულ მზერას განსაკუთრებულ ყურადღებას აღარც კი აქცევენ. მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუს რამდენიმე რესპონდენტმა, ფიზიკური შეხების კონტექსტში, სექსუალური შევიწროების ნაცვლად სექსუალური ძალადობა ახსენა, რაც, ვფიქრობთ, რესპონდენტის განცდის სიმძაფრეზე მეტყველებს. როგორც ჩანს, თავად რესპონდენტების წარმოდგენაში, მათ მიმართ განხორციელებული ქცევა(ები) არ თავსდება მხოლოდ „შევიწროების“ ცნების საზღვრებში და გადაინაცვლებს უფრო მძიმე და ინტენსიური მნიშვნელობის სიტყვაში, – ძალადობა.

რესპონდენტმა ქალებმა, რა თქმა უნდა, ვერბალურ და მზერით კონტაქტზეც ისაუბრეს და განსაზღვრეს, როგორც „უხამსი“, „შეურაცხმყოფელი“, „დამამცირებელი“, „დამაკომპლექსებელი“, „დისკომფორტის გამომწვევი“ და „მორალური ძალადობა.“ ინტერვიუს რესპონდენტები არ უარყოფენ, რომ რო-

გორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ ქცევას შეიძლება ქონდეს „სექსუალური კონტექსტი“ (R1), თუმცა ფიზიკური შეხების შემთხვევაში „სექსუალური მოტივი“(R3) კიდევ უფრო თვალსაჩინოა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ქალმა ინტერვიუში „სექსუალური დაკმაყოფილების“ მომენტიც აღნიშნა. ერთი მხრივ, მან ხაზი გაუსვა იმ პიროვნების არა-ნორმალურობას, მის სექსუალურ დაუკმაყოფილებლობას, რომელიც ავინროებს სხვა ადამიანს(ებს); მეორეს მხრივ კი, ყურადღება გაამახვილა შევიწროებული პირის ობიექტივაციაზე, რომლის საშუალებით და გამოყენებითაც, მავანი „იკმაყოფილებს თავის სექსუალურ მოთხოვნილებებს, ეს კი არის უკვე სექსუალური ზენოლა, თავისთავად.“ (R6)

„შევიწროებაა როცა სხეულზე გეხებიან შენი ნებართვის გარეშე, გააჩნია სად გეხებიან და როგორ. მხარზე რომ დაგადოს ხელი ეგ არ არის სექსუალური შევიწროება ჩემთვის ან ხელი რომ მოგკიდონ ხელზე, არ აღვიქვამ ...და როცა ტრაკზე გისმევენ მუხლს და ფეხზე გისმევენ ხელს ეგ უკვე აშკარად სექსუალური მოტივის შემცველია“. (R3)

„უფრო ფიზიკურ შეხებაზე მექნება აქცენტი იმიტომ, რომ მზერებს და მიშტერებულ მზერებს და ვერბალურ რაღაცეებს აღარც კი ვაქცევ ყურადღებას“. (R4)

„არა მარტო ფიზიკური, მორალური ძალადობაც არსებობს, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩემს შემთხვევაში პირდაპირ ფიზიკური იყო, ამიტომ... არ ვიცი, ჩავთვალე სექსუალურ ძალადობად“. (R5)

„კი, [სექსუალური შევიწროება] იქ იწყება, სადაც ხელით გეხებიან, იმიტომ, რომ იმ ადამიანს უკვე აქვს აზრად ის, რომ რაღაცას იკმაყოფილებს ეს ამითი ანუ ტყუილად ეხლა, ნუ პროსტა ტაკ არავინ შეგეხება ისე და რადგან ადამიანი აშკარად არის სექსუალურად დაუკმაყოფილებელი, ახლა ნორმალური არავინ არ იზამს ამას, ე.ი. რაღაც თავის სურვილს აკმაყოფილებს ამით და როცა ადამიანი ჩემით გარკვეულწილად იკმაყოფილებს თავის სექსუალურ მოთხოვნილებებს, ეს არის უკვე სექსუალური ზენოლა თავისთავად“. (R6)

### 8.3. ქალის სექსუალური შევიწროების განმაპირობებელი მიზეზები

გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტმა ქალებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებითაც, თუ რატომ შეიძლება კაცმა ქალი სექსუალურად შეავიწროვოს. რესპონდენტთა უმრავლესობა [53%] ფიქრობს, რომ ამის მიზეზი, პირველ რიგში, **დაუსჯელობის განცდაა**, რომელიც კაცებს აქვთ. გამოკითხულთა 46%-ის აზრით, კაცებს გონიათ, რომ ქალის შევიწროებით გარშემომყოფებს თავის „მამაკაცურობას“ უმტკიცებენ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტი ქალები საზოგადოებასაც აკისრებენ გარკვეულ პასუხისმგებლობას: 47% აცხადებს, რომ **საზოგადოებრივი გულგრილობა** ქალთა დისკრიმინაციისთვის კაცებს „მწვანე შუქს უნთებს“, 40%-ის აზრით კი კაცების მიერ ქალების სექსუალური შევიწროება მათი **ფსიქოლოგიური პრობლემებით** შეიძლება აიხსნას. (იხ. ცხრილი # 1)

#### ცხრილი #1

კაცებს მიაჩნიათ, რომ ეს სახალისოა/გასართობია	20%
კაცებს მიაჩნიათ, რომ „მამაკაცური“ ქცევაა	46%
კაცებმა იციან, რომ ასეთი ქცევის გამო არ დაისჯებიან/არ შეხვდებათ წინააღმდეგობა	53%
კაცებს მიაჩნიათ, რომ ქალები თავად მოუწოდებენ/ინვევენ მათ ასეთი ქცევისკენ	17%
კაცები ფიქრობენ, რომ ქალებს ასეთი ქცევა მოსწონთ	9%
კაცებს გარკვეული სახის ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ	40%
პოლიციის სამსახური არაეფექტურია უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად	17%
საზოგადოებრივი გულგრილობა: მოსალოდნელია, რომ ქალი ვერ მიიღებს სხვებისგან დახმარებას/მხარდაჭერას	47%

სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტებმა კიდევ უფრო დეტალურად ისაუბრეს იმაზე, თუ რატომ ახორციელებენ კაცები სექსუალურ შევიწროებას ქალების მიმართ. ინტერვიუების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა ისეთი საფუძველმდებარე მიზეზი, როგორც არის **კულტურა**. ის კვლავანარმოებს და ამრავლებს ისეთ სტერეოტიპულ გენდერულ რწმენა-წარმოდგენებს, რომლის მიხედვით *„ქალი თავიდანვე იგულისხმება, რომ არის სექსუალური ობიექტი და მხოლოდ იმიტომ შეიქმნა, რომ კაცების სურვილები დააკმაყოფილოს“* (R1). როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, პატრიარქალური ღირებულებითი სისტემა, ერთი მხრივ, კაცებს გამუდმებით აქეზებს, რომ ქალი, ნაცვლად სრულფასოვანი და თანასწორი სუბიექტისა, ობიექტად განიხილონ. მეორეს მხრივ, თავად ქალები ამართლებენ ხოლმე მოძალადე კაცებს და ადანაშაულებენ მსხვერპლ ქალებს, რამეთუ *„გაცნობიერებული არა აქვთ თავისი უფლებები და გაცნობიერებული არა აქვთ, რომ იგივენაირი სრულფასოვანი ადამიანები არიან, როგორც სიტყვაზე კაცები“* (R1). ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ კაცები თავად ვერ აცნობიერებენ საკუთარ სექსიზმს, იმდენად გაუცნობიერებლად ხდება მათში პატრიარქალური ნორმების ინტერნალიზება. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ქალებზე ძალადობა თუ მათი სექსუალური შევიწროება ნორმალური და მისაღები ქცევის კატეგორიაში გადის და თუ მავანი *„ასე იქცევა, ე.ი. „კარგი ბიჭია.“* (R1) მეტიც, ერთ-ერთ სიღრმისეულ ინტერვიუში აღინიშნა, რომ კაცებს აქვთ გარკვეული მოლოდინი, რომ ქალს *„ყურადღება“* და *„არშიყი“* სურს და სიამოვნებს კიდევ. შესაბამისად, კაცისთვის ქალი სექსუალური შევიწროების არსებულ ან პოტენციურ ობიექტად/მსხვერპლად არც აღიქმება. თუმცა, ეს უკანასკნელი, შესაძლოა, არა მხოლოდ კაცების მოლოდინებზე, არამედ მათ მიერ საკუთარი ქცევის გამართლებაზეც ვრცელდებოდეს. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშავს, *„აღბათ, ამით „აპრავებენ“ საკუთარ თავთან, რომ მართლები იყვნენ“* (R3).



Benard-ისა და Schlaffer-ის (1984) კვლევის შედეგები, რომელიც რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში 60 კაცთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზს წარმოადგენს, იმ ძირითად მოტივებს ათვალსაჩინოებს, რის საფუძველზეც კაცები შემავიწროებელ ქცევას ახორციელებენ:<sup>142</sup> მონყენილობა და „ახალგაზრდული სულის“ განცდა, კაცური მოკავშირეობის/შეჭიდულობის შეგრძნება, სოლიდარობისა და ჯგუფური ძალაუფლების განცდა. რიგ შემთხვევებში კაცმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქალებს ყურადღების მიქცევა სიამოვნებთ და მხოლოდ 15%-მა აღიარა, რომ მათი ქცევის მიზანი ქალების დამცირება იყო. კვლევის ავტორები ავითარებენ აზრს, რომ საზოგადოებრივი სივრცე, სადაც ქალების შევიწროება ხორციელდება, კაცებისთვის წარმოადგენს არენას ისეთი ქცევის განსახორციელებლად, რომელიც მათ აიდენტიფიცირებს/მიაკუთვნებს მმართველ (მასკულინურ) სოციალურ ჯგუფს, რომლის მფლობელობაშიც არის, მაგალითად, ქუჩა და სრულიად საზოგადოება. სექსუალური შევიწროება, როგორც ქცევა, - ეს არის რიტუალი, რომელიც მასკულინური ძალაუფლების და კაცური შეჭიდულობის დემონსტრაციას ემსახურება ზოგადად და არა კონკრეტული ქალის მიმართ. მასკულინური აღმატებულობის/უპირატესობის მტკიცება კი განხორციელებადია ისეთ გარემოში, სადაც ქალები წარჩუნდებიან მეორეხარისხოვან ადამიანად და მოქალაქედ, კაცებისთვის ხელმისაწვდომ სექსუალურ ობიექტად, რომლებსაც ყოველთვის კარგად ემახსოვრებათ მათი ქალური როლები და ფუნქციები (Benard, Schlaffer 1984).

*„სექსისტურ საფუძველს იმ მხრივ ვხედავ, როგორც უკვე წელან ვთქვი, რომ ჰგონიათ, რომ ქალს ეს სიამოვნებს და ნუ რა მოხდა, ის კაცია და რაღაც დიდი ამბავი, თუ ქალს გაეარშიყა და ეს ნორმალური ჰგონიათ“.* (R3)

142 Benard, C. & Schlaffer, E. (1984) *The Man in the Street: Why He Harasses*. In *Feminist Frameworks*, New York: McGraw Hill

„ვეფიქრობ, რომ ზოგადად კაცები იმდენად ნაქეზებულები არიან კულტურიდან გამომდინარე და პატრიარქალური საზოგადოებიდან გამომდინარე, რომ ქალი აღიქვან ობიექტად, რომ აღარ უქმნით ეს არავითარ ბარიერს და ვერც კი აცნობიერებენ, ისე ხდებიან სექსისტები და ისე ახდენენ ადამიანის შევიწროებას. განსაკუთრებით სექსუალურ შევიწროებას, იმიტომ რომ ქალი თავიდანვე იგულისხმება, რომ არის სექსუალური ობიექტი და მხოლოდ იმიტომ შეიქმნა რომ კაცების სურვილები დააკმაყოფილოს. თვითონ ჩვენს ქვეყანაშიც ისე არის მოწყობილი, რომ სტერეოტიპებთან ბრძოლა არ არის მაინც და მაინც სათანადო დონეზე და აი ესეთი ძალადობრივი გარემოა, ამიტომაც ეს იყო მიზეზი“.(R1)

საზოგადოების მხრიდან **უყურადღებობა და გულგრილობა** არის მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს აძლევს ქალების სექსუალური შევიწროების პრაქტიკას საქართველოში, რაც, თავისთავად, მასკულიზური კულტურის გაგრძელებაა და რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხორცს ასხამს პატრიარქალურ ღირებულებებს. სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტები საზოგადოებას ადანაშაულებენ იმაში, რომ საზოგადოება არ კიცხავს შევიწროების სუბიექტს ჩადენილი ქცევისთვის და, შესაბამისად, არც ამ უკანასკნელს აქვს საზოგადოებრივი აზრის შიში თუ რიდი. მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი აზრი „გენდერულად მიკერძოებულია“, ვინაიდან ის ქალს, კაცთან შედარებით, მორალურ შეზღუდვებს უწესებს და თუკი ქალი „ზღვარს გადავა“, ის აუცილებლად გაიკიცხება. სიღრმისეული ინტერვიუს მონაწილეები ქალებზე მიმართული საზოგადოებრივ-მორალური წნეხით ხსნიან იმას, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ქალები, მეტწილად, დუმან და წინააღმდეგობას არწევენ, - ქალებს ეშინიათ, რომ გარშემომყოფნი მხარდაჭერის აღმოჩენის ნაცვლად, მომხდარში ისევ მათ დაადანაშაულებენ. ასეთი გარემოება, რა თქმა უნდა, „აქეზებს მოძალადე ადამიანს, რომ ძალიან თავისუფლად იმოქმედოს“ (R4). ამდენად, ქალების ტრავმული

გამოცდილებებიც იგნორირებული და გაუზიარებელი რჩება, „შესაბამისად, ჩაკეტილი ნრე გამოდის“(R1).

„საქართველოში რაც არ უნდა იყოს ქალის როლი მეორადია. თუ მოძალადემ ერთხელ იძალადა და ამას არანაირი გამოხმაურება არ მოყვა მეორედაც გააკეთებს მაგას. თავისთვის იმ გამართლებას იპოვის, რომ თუ პირველ შემთხვევას არაფერი მოყვა ე.ი. ამაში ცუდი არაფერი არ არის. ქუჩაში რომ გოგოს დაუსტვენ ბიჭს გონია რომ ეგ პირიქით კარგია და ეგრეა მიღებული. საზოგადოებაც ამას მხარს უჭერს. ნუ მხარს არ უჭერს, მაგრამ პრობლემად არ აღიქვამს“. (R2)

„თუნდაც ის ფაქტი, რომ ამას [სექსუალური შევიწროება] არ აკეთებენ ქალები, მორალს იქეთ არ გადადიან, ისიც არის, რომ ქალმა რომ იგივე გააკეთოს, მან რომ დაუნყოს ახალგაზრდა ბიჭს ხელების ფათური, საზოგადოება უფრო მეტად გაკიცხავს მას“. (R3)

„ჩემი აზრით, საზოგადოება არ აქცევს ყურადღებას. იმიტომ, რომ არ ანიჭებს ამ პრობლემას [ქალების სექსუალურ შევიწროებას] არანაირ მნიშვნელობას. არ ჩანს ამ თემის სიმძიმე. და თუ ეს ვილაცისთვის ტრავმად იქცა ან პრობლემად, ეს ტრავმაც, ხშირ შემთხვევაში, გაზიარებული არ არის ხოლმე. ამ შემთხვევაზეც, თითქმის არავისთვის არ მითქვამს, იმიტომ, რომ თავიდან მრცხვენოდა, ეს როგორ მომოვიდა-მეთქი! ვფიქრობდი, რომ ჩემი ბრალია“. (R2)

„ქალებს მეტი თავშეკავება აქვთ და მეტად არიან მოქცეულები მორალის ჩარჩოებში, კაცები უფრო ხშირად გადადიან ზღვარს და მიაჩნიათ, რომ უფლება აქვთ თავისუფლად იძალადონ ქალზე ქუჩაში“. (R1)

დამატებით, რესპონდენტები კაცების მიერ ქალების სექსუალურ შევიწროებას ხსნიან, როგორც ცალკეული ინდივიდის (კაცის) პრობლემას, გამონვეულს: ა) მენტალური ჯანმრ-

თელობის პრობლემებით. მაგალითად, „ავადმოყოფობა“ და „გადახრა“ ეს ის სიტყვებია, რომლითაც რესპონდენტები სექსუალური შევიწროების ჩადენის წინაპირობას აღწერენ; ბ) ე.წ. პიროვნული სისუსტით; ეს არის მდგომარეობა, როდესაც ინდივიდი „იკვებება, ასე ვთქვათ, სუსტი ადამიანებით, ძალადობს სუსტ ადამიანებზე იმიტომ, რომ თავისზე ძლიერს ვერ დაჩაგრავს უბრალოდ“ (R6). რაც შეეხება სექსუალური ლტოლვის ფაქტორს, რესპონდენტთა ნარატივში ლტოლვის ფაქტორი გენერალიზდა სრულიად მამრობით სქესზე და აღინიშნა, რომ სექსუალური წადილის „მოთოკვა“ კაცებს, ქალებთან შედარებით, უფრო მეტად უჭირთ. აღინიშნა ისიც, რომ კაცების დაუკმაყოფილებელი სექსუალური სურვილები ხშირად მათ აგრესიულ-ძალადობრივ ქმედებებში სუბლიმირდება. აღნიშნული პოზიცია ერთგვარი „გამართლება“ სექსუალური შევიწროების ამხსნელი ბიოლოგიური თეორიისა, რომლის თანახმად კაცებს, ქალებთან შედარებით, ძლიერი სექსუალური ინსტინქტი აქვთ, რაც სასურველი პარტნიორის შერჩევის დროს, სექსუალურად აგრესიული და შემტევი ქცევის მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს.<sup>143</sup>

*„რავიცი... ნუ ქალზე... ზოგადად, მეორე ადამიანზე ვინც ძალადობს, ყველა მგონია ავადმოყოფი და აუცილებლად სადმე გამოსაკეტი. არ მჯერა, რომ ასეთი ადამიანი შეიძლება გამოსწორდეს და არ მჯერა, რომ მას უნდა მივცეთ რაღაც მეორე შანსი. აი, იცით, ეს ესეთი კაი ადამიანია და ეს უბრალოდ შეეშალა, ნუ არ მჯერა ამ სისულელეების. მგონია, რომ უბრალოდ, რავიცი, რამე ჭირთ ან რამე დაავადება აქვთ, ან უბრალოდ აგრესიულები არიან, თუ რა ჭირთ არ ვიცი, მაგრამ გამოსაკეტები რომ არიან სადმე მაგაში დარწმუნებული ვარ.“ (R5)*


143 Pina , A., et al. (2009). An overview of the literature on sexual harassment: Perpetrator, theory, and treatment issues, *Aggression and Violent Behavior* 14, p.126–138

## 8.4. სექსუალური შევიწროების პერსონალური გამოცდილება და მისი შედეგები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული სტუდენტი ქალების 62% აცხადებს, რომ საზოგადოებრივ სივრცეში კაცის მხრიდან სექსუალური შევიწროების გამოცდილება აქვს, ხოლო 38% ამბობს, რომ მსგავსი გამოცდილება არ გააჩნია.

საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროების გამოცდილების მქონე სტუდენტი ქალების უმრავლესობა, კერძოდ კი, 59% აცხადებს, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში, სექსუალური შევიწროების გამოცდილების 2-დან 5-მდე შემთხვევა ჰქონია, გამოკითხულთა 32% კი 10-ზე მეტ შემთხვევას ითვლის. რაც შეეხება სექსუალური შევიწროების ყველაზე ხშირად განმეორებად ფორმას, სტუდენტი ქალების 35% ასახელებს არასასურველ ვერბალურ კომენტარებს (სტვენა, შეძახილი და ა.შ.) მათ გარეგნობასთან თუ ჩაცმულობასთან დაკავშირებით, 22% კი – ფიზიკურ შეხებას. (იხ. დიაგრამა #3)

დიაგრამა #3. სექსუალური შევიწროების გამოცდილება [ყველაზე ხშირად]



როგორც კვლევის მონაწილეებმა განაცხადეს, მათ მიმართ სექსუალური შევიწროება ყველაზე ხშირად განხორციელებულა ქუჩასა [44%] და ტრანსპორტში [33%]. რესპონდენტთა მხოლოდ 8%-მა აღნიშნა პარკი/სკვერი, ხოლო 2%-მა უნივერსიტეტი. საინტერესოა ისიც, რომ გამოკითხული სტუდენტი

ქალების 68% სექსუალური შევიწროების ობიექტი პირველად 12-18 წლის ასაკში გახდა, 23% კი – 6-11 წლის.

აქვე, საყურადღებოა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების 2014 წელს ამერიკაში ჩატარებული ეროვნული კვლევის<sup>144</sup> მონაცემები, რომელიც ჩვენი კვლევის შედეგების მსგავს ტენდენციას აჩვენებს. გამოკითხული 1000 ქალიდან 65% აცხადებს, რომ ცხოვრებაში სექსუალური შევიწროების მინიმუმ ერთი ფორმის გამოცდილება მაინც აქვს. რესპონდენტი ქალების ნახევარზე მეტი (57%) ვერბალური შევიწროების ობიექტი გამხდარა, 41% კი – ფიზიკური შევიწროების (სექსუალური შეხების ჩათვლით); 23%-ს უკან დადევნების/გაყოლის გამოცდილება აქვს, 9% კი აცხადებს, რომ იძულებით განუხორციელებია რაიმე ტიპის სექსუალური ქცევა. გამოკითხული კაცების შემთხვევაში, მხოლოდ 25%-მა დააფიქსირა ქუჩაში სექსუალური შევიწროების გამოცდილება. საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროება რომ ერთჯერადი გამოცდილება არ არის, ამას ადასტურებს აღნიშნული კვლევაც. იმ ქალებიდან, ვისაც შევიწროების გამოცდილება აქვს, 86% აცხადებს, რომ ერთზე მეტ შემთხვევას ითვლიან. რაც შეეხება ლოკაციებს, როგორც ამერიკაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, პირველ ადგილზეა ქუჩა (ქალების 67% და კაცების 43% ფეხით/ველოსიპედით სეირნობის, სირბილის ან უბრალოდ დგომის/ჯდომის დროს), მეორე ადგილზეა მაღაზია/სავაჭრო ცენტრები, რესტორნები/ბარები და კინოთეატრები (ქალების 28%, კაცების 26%), მესამე ადგილზეა საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ქალების 20%, კაცების 16%). გარდა ამისა, აღნიშნული კვლევის შედეგებიც ათვალსაჩინოებს იმას, რომ ქუჩაში სექსუალური შევიწროება ადრეულ ასაკში იწყება. გამოკითხული ქალების 51%, ხოლო კაცების 53% ამბობს, რომ შევიწროების ინციდენტი პირველად 17 წლის ასაკში მოხდა. მთლიანობაში, ქალების 80% სექსუალური შევიწროების ობიექტი 13-25 წლის ფარგლებში გამხდარა. რაც

144 Unsafe and harassed in public space: a national street harassment report, 2014, Available at: <http://www.stopstreetharassment.org/wp-content/uploads/2012/08/2014-National-SSH-Street-Harassment-Report.pdf>

შეეხება შემვიწროებელს, როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაშიც შემვიწროებელი, ძირითადად, მამრობითი სქესის წამომადგენელია: გამოკითხული ქალების 70%, ხოლო კაცების 48% შევიწროების ობიექტი გამხდარა ერთი კაცის ან ბიჭის მხრიდან, ხოლო რესპონდენტთა ერთი მესამედი (38% ქალი და 25% კაცი) – ორი ან მეტი კაცის ან ბიჭის მხრიდან.<sup>145</sup>

ჩვენს მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ე.წ. ყვითელი ავტობუსი და „მარშრუტკა“) არის ის ადგილი/სივრცე, სადაც ახალგაზრდა რესპონდენტი ქალები სექსუალური შევიწროების ობიექტები ძალიან ხშირად ხდებიან. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას რესპონდენტ ქალებს აქვთ არასასურველი ფიზიკური შეხების და კონტაქტის იძულებით დამყარების, იგივე გადაკიდების გამოცდილება განსხვავებული ასაკის კაცების მხრიდან, დღის სხვადასხვა მონაკვეთში. რესპონდენტების ნარატივებიდან გამომდინარე, შემვიწროებლის ასაკი 15-დან 80 წლამდე ვარიირებს. რაც შეეხება ქალის სხეულზე შეხების ზონებს, უმეტესად, ქალის საჯდომს/თეძოს და ფეხებს (ბარძაყის და მუხლის არე) ეხებიან. როგორც წესი, თავად შეხების ფორმა დამოკიდებულია იმაზე, სექსუალური შევიწროების ობიექტი დგას თუ ზის. იმ შემთხვევაში, თუ ქალი ტრანსპორტში ფეხზე დგას, შემვიწროებელი მას, ძირითადად, მთელი სხეულით ეხება/ედება უკნიდან ან იყენებს ფეხს (მუხლის თავს), იშვიათად, – ხელსაც. თუ ქალი ზის, მას ფეხზე (ბარძაყის და მუხლის არეზე) ხელით ეხებიან ხოლმე.

*„ძირთადად არიან 14-15 წლის ბავშვები, რომლებსაც რომ მიუტრიალდები, იმდენად ანგელოზის სახით დგანან, რომ აი შანსი არ არის, რომ რამე იფიქრო. დღისით უნივერსიტეტიდან წამოვედი. მიუტრიალდი ძაან გაბრაზებული, ხო გეუბნები, საკუთარი თავის შემრცხვა, როგორ ვიფიქრე ესე თქო. რა სახით იდგა, უნდა გენახა, მე მას ვერ ვითამაშებ რომ მომკლა! და მერე დავინახე, რომ სხვას ეხახუნებოდა და სიმწრის სიცილი ამიტყდა. და რა უნდა მექნა?!“ R5*

145 Ibid.

„ავტობუსში ვიყავი და ვილაც ასაკიანი კაცი იყო, სადღაც 50 წლის, ჩემს უკან იდგა და ტრაკზე მუხლს მისმევდა. მე რომ გავინიე, ჩემ ნათესავ გოგოზე გადავიდა. იმ გოგოს მოკლე კაბა ეცვა და ფეხებს შორის შეუყო მუხლი. ხელი რომ მოეკიდა კი, მაგრამ მუხლი რა იყო ვერ გავიგე, რალაც არანორმალური იყო. იყო, შუადღე. გადაჭედილი იყო ავტობუსი. მე შარვალი მეცვა ჯინსის. ამ შემთხვევაში, ჩაცმულობას არ ქონდა მნიშვნელობა ამ კაცისთვის, აშკარად, მთავარია რომ გოგო იყო.“ R2

„შემთხვევა იყო ავტობუსში, მე ვიჯექი და ის გვერდით მომიჯდა. მუსიკას ვუსმენ ხოლმე ტრანსპორტში. ვიყურებოდი ფანჯარაში, ფანჯრის მხარეს ვიჯექი, საერთოდ სხვაგან ვიყავი ნასული ფიქრებში და უცებ ვგრძნობ, რომ მუხლი გამიცხელდა. დავიხედე და ეს კაცი ფეხზე მისმევს ხელს და იმდენად მოულოდნელი იყო და შოკი იყო, უცებ მოვიშორე ხელის სწრაფი მოძრაობით. გავბრაზდი ჩემ თავზე, რომ რატომ არ ჩავარტყი რამე!“ R3

საინტერესოა, რომ ინტერვიუს რესპონდენტებს შორის აღინიშნა განსხვავება იმ ახალგაზრდა და ასაკოვან კაცებს შორის, რომლებიც ქალებს სექსუალურად ავიწროებენ. რაც უფრო ასაკშია კაცი, რესპონდენტებს მით უფრო უჭირთ უარყოფითი (აგრესიული) რეაქციის გამოხატვა რამდენიმე მიზეზის გამო:

ა) ხანში შესული კაცისგან მსგავსი ქმედების ნაკლები მოლოდინი აქვთ და თუ შემთხვევას ადგილი მაინც აქვს, შევიწროების ობიექტი ქალები, როგორც წესი, მოულოდნელობისგან იზნევიან; ბ) ასაკობრივი იერარქია, რომელიც უფროსის მიმართ პატივისცემას მოიხაზრებს (მოითხოვს), ბარიერს ქმნის ქალებისთვის საკადრისი პასუხი გასცენ შევიწროების სუბიექტს და გ) რაც უფრო ასაკოვანია შევიწროების სუბიექტი, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ მის მიერ განხორციელებული ქცევა კვალიფიცირდეს, როგორც ნორმიდან გადახრა და/ან ასაკით განპირობებული არაადეკვატურობით აიხსნას. რესპონდენტ ქალებს შორის ისიც აღინიშნა, რომ რაც



უფრო ახალგაზრდაა კაცი, მით უფრო აგრესიული ელფერი აქვს მის ქცევას, რაც, თავის მხრივ, ქალების მხრიდან წინააღმდეგობის განწევას და თავის დაცვას უფრო ართულებს.

„ვინც არის ახალგაზრდა, შედარებით აგრესიულია. ისეთია, გამოხედვაც.. და ისეთია, რომ არ ცხვენიათ. მაგალითად, ერთხელ, მარშუტკაში მოვდივარ, შუადღეა ისევ და ყველაზე ახალგაზრდა ჩემ გვერდით იჯდა. სპორტული ჩანთა ეჭირა და ხელი ედო ჩემ ფეხზე გვერდულად. ვფიქრობდი, ეტყობა ჩანთას ვერ იდებს წესიერად ან ხელს ველარ ატევეს თქო. ჩასვლის წინ ამ ბიჭმა ძალიან მაგრად მომიჭირა ფეხზე ხელი და ამ შემთხვევაში, მე ავდექი და დავარტყი სადამდეც მივწვდი, გამოვლანძლე კიდეც და ვილაცეების ყურადღება მივიქციე მარშუტკაში.“ R4

„არ მესმის, მაგრამ რაღაც გამართლებას ვუძებნი მოხუცებს. თუნდაც იმას, რომ როცა ადამიანი მოხუცდება, ისეთი დონეზე ველარ აზროვნებს, რაღაცეებს ველარ ტვინავს, უხეშად რომ ვთქვა. ანუ პატარა ბავშვი და მოხუცი ერთი და იგივეა და შეიძლება, თავიანთ თავს ცელქობის უფლებას აძლევენ. მაგრამ, ეს 80 წლის მოხუცებზე მაქვს ლაპარაკი. ყოფილა ესეთი შემთხვევებიც და ჩემი მეგობრები ლადაობენ რა, რომ ვილაც გოგოს ტრაკზე მოკიდებენ ხელსო და უხარიათო რა, და 2 დღე დარჩენიათ, გაახარეთო და მეთქი, ჩემს ხარჯზე რატომ უნდა გაიხარონ კაცო?“ R6

„მკლავზე თითის ჩამოსმა და მოფერება და რაღაც ეგეთი რაღაცეები დაინყო და ცოტა ისე გაეხედე და რამდენი წლის ხარ ბაბუო მეკითხება და თან ძაან დავიბენი და 18 წლის მეთქი და ოო, არ ხარო ძაან პატარაო. ძაან ისე, თან როგორი მომენტია იცი, კაცი იქნებოდა 80 წლამდე და აი, რა უნდა უთხრა ხო? როგორ უნდა გალანძლო?!“ R1

ფიზიკური შეხების გარდა, სიღრმისეული ინტერვიუს მონაწილეებმა ისაუბრეს მათთვის უსიამოვნო ვერბალურ კომენტარებსა და ე.წ. გადაკიდების გამოცდილებაზე ქუჩაში გადაადგილების დროს. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს,

რომ სექსუალური შინაარსის კომენტარების მოსმენა მისი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია.

*„ნუ ისე, რა თქმა უნდა, ყოველდღიურად ხდება შედახილები, რასაც მე ვთვლი ძალადობად. ხო შედახილები... რა ვიცი... ფიზიკურ ასპექტებზე... ამას გიზამდი, იმას გიზამდი. ეს ხდება ფაქტიურად ყოველდღიურად.“ R5*

## 8.5. გადაკიდება და მისი განვითარების ფაზები

რესპონდენტების ნარატივში საინტერესო დეტალები გამოიკვეთა ე.წ. გადაკიდებასთან დაკავშირებით, რომელსაც ამ ქვეთავში დამოუკიდებლად მიმოვიხილავთ. არასასურველი ვერბალური კონტაქტის გარდა, რაც თან ახლავს გადაკიდებას (ფიზიკური დისტანციის შემცირება, უკან გაყოლა/დადევნება, შეხება), საყურადღებოა კონტაქტის შინაარსიც და მისი განვითარების ფაზები.

ქალების მიერ მოყოლილ ისტორიებში ნათლად ჩანს, რომ შემვიწროებელი პირები მათ სამიზნე ობიექტებთან პირველად კონტაქტს ე.წ. კომპლიმენტების საშუალებით ამყარებენ. როგორც წესი, ეს კომპლიმენტები არ არის უხამსი ან შეურაცხმყოფელი (მაგ., „რა კარგი ხარ!“ და მსგავსი), თუმცა კი სექსუალური კონოტაციის მატარებელი, შესაძლოა, მაინც იყოს (მაგ., კომენტარების გაკეთება ქალის გარეგნობაზე: „*ძაან ლამაზი თმა გაქვსო და ძაან ლამაზი ტურქებიო*“ R6). შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გადაკიდების **პირველი და „რბილი ფაზა“**.

მომდევნო ეტაპი, რომელსაც პირობითად **„აგრესიული ფაზა“** შეიძლება ვუწოდოთ, დგება მას შემდეგ, რაც შემვიწროებელი შევიწროების ობიექტისგან უკუკავშირს იგნორის სახით ან ნეგატიური/აგრესიული (ვერბალური/ფიზიკური წინააღმდეგობის განწევის) ფორმით იღებს. „აგრესიულ ფაზაზე“ შევიწროების სუბიექტი შევიწროების ობიექტისგან კონტაქტის გაგრძელებას მოითხოვს (თავისთავად მისთვის სასურველი ფორმით) და მოსალოდნელია, ობიექტს ვერბალური შეურა-

ცხყოფაც მიაყენოს და/ან ფიზიკურად შეეხოს (მაგ., ხელი მოუჭიროს ხელზე, წვდეს მკლავში, მხრებში და მსგავსი). აღნიშნულის კარგი თვალსაჩინოებაა ერთ-ერთი რესპონდენტის გამოცდილება, რომელიც ეცადა შევიწროებისგან თავი დაეღწია და ავტობუსიდან დროზე ადრე ჩამოვიდა. ახალგაზრდა კაცი, რომელიც მას და მის მეგობარს ავტობუსში ავიწროებდა, რესპონდენტს ჩამოყვა და უკან დაედევნა:

„როგორი მომენტი იცი... მეჩხუბა... ფაქტიურად მეჩხუბებოდა, რომ ანუ რატომ... ჯერ დაინყო ძაან ისე ნელა, რომ აი, „ძაან ლამაზი გოგო ხარ“, რალაცა, პასუხი არ გავეცი, „რომ გელაპარაკებიან არ გესმის?!“ და ნუ, მერე გადმოვიდა უკვე აგრესიაზე, რომ გაჩერდი და დამელპარაკე, რომ გელაპარაკები რომ „ლამაზი ხარ“ და „კარგი ხარ“ პასუხი უნდა გამცეო და მეთქი რა პასუხი უნდა გავცე?! ნუ, ძაან დიდი მადლობა, რა გითხრა მეტი თქო. და ნუ, მომენტი იყო ისეთი, რომ მხრებში ორივე მხარში ჩამავლო ხელი ამ კაცმა და ნუ, რომ გელაპარაკები, რატომ არ გესმისო და რატომ არ მცემ პასუხსო. ესეთი დონის შემთხვევა არ მექონია სხვა დროს, ფიზიკურად რომ ესე ეტკინა ჩემთვის ვილაცას რამე. ძაან ძლიერად მიჭერდა ახლა ხელს.“ R6


საინტერესოა სხვა რესპონდენტის გამოცდილებაც, რომელიც შევიწროების ობიექტმა „აგრესიულ ფაზაზე“ შეაფასა, როგორც „დაკომპლექსებული“ მხოლოდ იმიტომ, რომ რესპონდენტმა მას წინააღმდეგობა გაუწია.

„მაშინ უფრო პატარა ვიყავი, სკოლაში ვსწავლობდი ჯერ კიდევ. მე გგონი მე-11 კლასში ვიყავი, ალბათ 16-17 წლის და მივდიოდი სკოლაში და ჩემმა სკოლემა, რომლის სახელიც კი არ მახსოვს ახლა, შემავლო ხელი უკან. და ეს რა თქმა უნდა, მოვიშორე. მე ჯერ შევეპასუხე რას აკეთებთქო, იმან დაკომპლექსებული მეძახა და ა.შ. და ნუ დავანებე კარგი თქო და შევედი სკოლაში. თან მაგვიანდებოდა ალბათ, როგორც ყოველთვის. აი, როგორ გითხრა აგრესიულად რომ გელაპარაკებიან და თითქოს, შენ რალაც განუვითარებელი, ჩამორჩენილი ხარ, რომ ხელის შევლებაზე ესეთი რეაქცია, გაქვს, დაკომპლექსებული.“ R5

## 8.6. რეაქცია სექსუალურ შევიწროებაზე

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებს ჩვენ ისიც ვკითხეთ, თუ როგორი რეაქცია აქვთ ხოლმე მათ მიმართ განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებაზე. გამოკითხული სტუდენტი ქალების უმრავლესობა [36%] ამბობს, რომ გაბრაზებულია, 32% კი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. რესპონდენტების 26%-ს სურს პროცესში რაიმე მოიმოქმედოს, მაგრამ შემვიწროებლისთვის წინააღმდეგობის განწევა არ ძალუძს, 23% კი ამბობს, რომ თავს ცუდად გრძნობს და წინააღმდეგობასაც უწევს კაცს, რომელიც მას ავიწროებს. უნდა ითქვას, რომ გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთი სტუდენტი ქალი ადანაშაულებს საკუთარ თავს მომხდარში. (იხ. დიაგრამა #4)

**დიაგრამა #4: რეაქცია სექსუალურ შევიწროებაზე**



აღსანიშნავია ის მიზეზებიც, რის გამოც სტუდენტი ქალები შევიწროების სუბიექტს წინააღმდეგობას ვერ/არ უწევენ. რესპონდენტების 14% ამბობს, რომ ურჩევნია სიტუაციას თავად გაეცალოს, რადგან სიტუაციის დრამატიზება არ უყვარს. იმავე რაოდენობას (14%) წინააღმდეგობის განწევით სიტუაციის გამწვავების ემინია, – შემვიწროებელმა, შესაძლოა, უარესი ქმედება განახორციელოს, მაგალითად, ქალს ფიზიკურად გაუსწორდეს ან გააუპატიუროს; 12% კი ამბობს, რომ გარშე-

მომყოფთა დახმარების იმედი არ აქვს და ამიტომ, ურჩევნია პასიურ მდგომარეობაში დარჩენა. ასევე, სტუდენტი ქალების 10% აცხადებს, რომ გამვლელების ყურადღების მიქცევა არ უნდა, არ სურს ვინმეს სალაპარაკო გახდეს.

დამატებით, გამოკითხულთა 37% ამბობს, რომ საზოგადოებრივ სივრცეში ქალის სექსუალური შევიწროების შემთხვევებს შესწრებიან. თუმცა, რესპონდენტების უმრავლესობა [22%] ქალის დასახმარებლად სიტუაციაში არასოდეს ჩარეულა, ხოლო 17% ამბობს, რომ ჩარევის გამოცდილება აქვს. მათგან, ვინც თავი შეიკავა სიტუაციაში ჩარევისგან, აღნიშნავს, რომ ჩარევა არც ყოფილა აუცილებელი [7%], მეორე რიგში კი სახელდება შიში: გამოკითხულთა 5% ამბობს, რომ მსხვერპლი გაიქცეოდა და შევიწროების სუბიექტის პირისპირ მარტო მოუწევდა დარჩენა. ზევით განხილულ ორივე შემთხვევასთან დაკავშირებით (როდესაც შევიწროების ობიექტი ან შევიწროების მომსწრე მესამე პირი წინააღმდეგობის განწევსგან/ჩარევისგან თავს იკავებს) აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ **ადამიანები რეაგირებენ არა მხოლოდ იმ სიტყვებზე/ფრაზებზე, რომელიც ესმით და ქცევაზე, რომელსაც ხედავენ, არამედ იმპლიციტურ (ფარულ, ნაგულისხმევ) საფრთხეზე, რომელიც უკავშირდება სიტუაციის ესკალაციის მოლოდინს, კერძოდ კი, გაუპატიურების მიმართ შიშს.**<sup>146</sup> აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ქალების შემთხვევაში გაუპატიურების მოლოდინი და შიში უფრო ძლიერია, ვიდრე კაცების შემთხვევაში.<sup>147</sup>

სიღრმისეულ ინტერვიუებში შიში, ბრაზი და ზიზღი დასახელებდა იმ ძირითად განცდებად, რომელიც სექსუალური შევიწროების შედეგად რესპონდენტებს ეუფლებათ. ბუნებრივია, რაც უფრო აგრესიული და ინტენსიურია შევიწროების შემთხვევა, მით უფრო ინტენსიურია ქალის შიშიც, რომელიც დაკავშირებულია სექსუალურ ძალადობასთან (გაუპატიურება)

146 Unsafe and harassed in public space: a national street harassment report, 2014, Available at: <http://www.stopstreetharassment.org/wp-content/uploads/2012/08/2014-National-SSH-Street-Harassment-Report.pdf>

147 Ibid

და სიცოცხლის აღკვეთასთან. იმის გათვალისწინებით, რომ როდენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაწილეებს არ აქვთ გარშემომყოფი ადამიანების მხარდაჭერის იმედი, შემვიწროებლის ქცევის იგნორირება ქალებს შორის თავდაცვის გავრცელებული „იარაღია“ იმდენად, რამდენადაც ქალები ფიქრობენ, რომ მათი რეაგირებით, შესაძლოა, სიტუაცია გაამწვავონ და საკუთარ თავს უარესი საფრთხე შეუქმნან, დაწყებული გადაკიდებით და დამთავრებული ფატალური შედეგებით.

*„როცა ვხვდები, რომ ადამიანს ვერაფერს ვერ შევავანებინებ, ვცდილობ ზედმეტად არ გავალიზიანო ანუ რაღაც გამაღიზიანებელი აღარ ის ვქნა რა... რაც უფრო მეტ ფაქტორს მისცემ და რაც უფრო მეტ სტიმულს მისცემ იმისთვის, რომ გალიზიანდეს ის ადამიანი რეაქციაც შესაბამისი იქნება ხო? ამიტომ ვცდილობ, რომ ეს სტიმულები აღარ ჩავაგდო და ზედმეტად აღარ გავამძაფრო ყველაფერი. და ისევ და ისევ ჩემი თავისთვის. რაღაც თვითგადარჩენის ინსტინქტია ესეც ერთგვარი.“ R6*

*„პირველი შემთხვევის დროს მქონდა შიშის განცდა. ზოგადად, ძალა საკმარისად მაქვს, ვიშორებ ხოლმე ყველას და ყველაფერს, შემიძლია რომ ხალხი მოვიშორო, ასე მეგონა. მაგრამ, ნუ, ის იმდენად ძლიერი იყო, რომ ძალიან შემემშინდა... ვერ გამოვთავისუფლდი ვერაფრით, სანამ რაღაცეები არ მოვიფიქრე და სადღაც არ ჩავარტყი და რაღაცა არ გავაკეთე...“ R5*

ბრაზი და ზიზღი რესპონდენტი ქალებისთვის, როგორც ნესი, *post-factum* რეაქციაა. ბრაზი ანაცვლებს შიშის განცდას, რომელიც შემვიწროებლის თავიდან მოშორების შემდეგ ეუფლებათ ხოლმე. რესპონდენტები ბრაზდებიან არა მხოლოდ შევიწროების ფაქტებსა და მათ განმახორციელებლებზე, არამედ, თვითმხილველ ადამიანებზეც, რომლებიც მიმდინარე შემთხვევას თვალყურს გულგრილად ადევნებენ. რიგ შემთხვევებში, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საკუთარ თავზეც გაბრაზებულან იმის გამო, რომ სათანადო წინააღმდეგობა არ/ვერ გაწიეს.

*„გავბრაზდი, რომ ჩემი რეაქცია მხოლოდ მოშორება იყო. რომ არ გავლანძღე, არ ჩავარტყი.“ R3*

ერთ-ერთი რესპონდენტი ქალი თავისი გამოცდილებიდან იხსენებს შემთხვევას, თუ როგორ გახდა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ღამის კლუბში (რესპონდენტისთვის უცნობი კაცი მას სცენის უკანა მხარეს მიათრევდა) და მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტი კლუბის დაცვის თვალწინ ცდილობდა კაცთან გამკლავებას, „დაცვის ბიჭების“ ერთადერთი რეაქცია სიცილი იყო.

*„ზიზღის გრძნობა მქონდა რა თქმა უნდა ამ ადამიანის მიმართ და კიდევ ზიზღის გრძნობა მქონდა ყველა გარშემომყოფის მიმართ იმიტომ, რომ არავინ არაფერი გააკეთა და განსაკუთრებით, დაცვის მიმართ მქონდა. მართალია, არ მიყვირია და არაფერი მსგავსი, მაგრამ ვანიშნებდი ამ დაცვას, რომ დამხმარებოდნენ და მე თვითონ ვერ შევძელი და არ დამეხმარა არავინ. აი რაღაცა... აი... მინდოდა, რომ მივსულიყავი და ჩამერთყა, უბრალოდ ძალადობისკენ რომ ვყოფილიყავი მიდრეკილი. მართლა ჩავარტყამდი იმიტომ, რომ აი, მიყურებდნენ და ეცინებოდათ. და ბოლოს რაღაცნაირად, არ ვიცი, რაღაც ფილმში ნანახი, რაღაც კუნფუს იღეთები ჩავუტარე ამ ტიპს და რაღაცნაირად მოვიშორე.“ R5*

სხვა რესპონდენტმა კი მოგვიყვა იმის შესახებ, თუ როგორ გახდა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი მიკროავტობუსში, სადაც ყველა მგზავრი ხედავდა ამას, თუმცა, არავის უფიქრია ქალს დახმარებოდა.

„შანსი არ არის ვერ შეამჩნიო გოგო, რომელიც ასე ყველა ადგილზე ჯდება და ტიპი, რომელიც დაყვება ამ ყველა ადგილზე და პახოდუ ელაპარკება, რომ აი, „რა ლამაზი ხარ“ და „ნამოდი, ბარში შევიდეთ“ და მერე „დავგეგმით სალამოს როგორ გავაგრძელებთ“. გამარეკინა ტიპმა! რომ მითრა, დავგეგმითო კიდევ სალამოს როგორ გავაგრძელებთო, ძაან ამასხა უკვე, რომ მეთქი თავი დამანებე. მარშუტკაში ისხდნენ არა მარტო ახალგაზრდა გოგოები, ახალგაზრდა ბიჭებიც, რომლებსაც, რომ მოენდომებინათ, ამას გააჩუმებდნენ კი არა, ანუ რავიცი ისეთი ტიპები იყვნენ, რომ ეს ნაღდად ვერ გაუბედავდა ზედმეტს ვერაფერს იმათ და უბრალოდ გამა... გამაცოფა ამ ხალხის გულგრილობამ, რომ ნუ ასეთ დონეზე კიდია ყველას ყველა ფეხებზე, რომ დაინახეს, რომ რამე ყოფილიყო სიტყვაზე ჩემი ვიზუალის მქონე გოგო იმას წინააღმდეგობას ნამდვილად ვერ გავუწევდი. ისეთი ტიპი იყო რა, მე ვერ გავუწევდი წინააღმდეგობას, რამე ისეთი რომ მომხდარიყო მართლა.“ R4

„მეტროში გვერდზე მეჯდა ეს კაცი და ხელს მიდებდა ფეხის ქვეშ და ჩემ წინ იჯდა ორი კაცი და უბრალოდ, მაინტერესებდა, სახეში ვუყურებდი ამ კაცებს და შევთხოვდი, რომ რაღაც რეაქცია ქონოდათ. ეს კაცი ახალგაზრდა იყო საკმაოდ. ჩემ წინ ვუყურებ კაცებს, თვალეებში ვუყურებ რასაც ქვია, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოყოლია ამას. კიდევ შემიძლია ძალიან ბევრი მოვყვე.“ R2

ინტერვიუს რესპონდენტები, მათ მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების შემთხვევებში, საკუთარ ბრალეულობას ერთმნიშვნელოვად უარყოფენ. ინტერვიუს რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ უმცროს ასაკში, როდესაც ისინი პირველად გახდნენ შევიწროების ობიექტები, მომხდარში საკუთარ თავს ადანაშაულებდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ საკუთარი გარეგნობით და ჩაცმულობით უცხო კაცებს „ინვედნენ“.



„14 წლის ასაკში გადახდენილი თავგადასავალი, ვფიქრობდი, რომ ეს იყო იმის ბრალი, რომ მეცვა მოკლე კაბა და ამიტომ, მოკლე კაბა აღარ უნდა მცმოდა და აღარ დამემართებოდა ესეთი რალაც, მაგრამ აღმოვჩნდი მტყუანი იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევები მქონდა ზამთარშიც, როცა ძალიან თბილად მეცვა და პალტო მქონდა მუხლებამდე და ა.შ.“ R1

„თავიდან რომ დაიწყო ეს სიტუაციები, ძირითადად, ჩემ თავს ვაბრალებდი, რომ ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია. მერე მივხვდი, რომ ჩემი ბრალი არ არის. დანაშაულის გრძნობა არ მქონია.“ R4

„ჩემში ამის მიზეზს ვერ ვხედავ. მე ვთვლი, რომ ეს ჩვენი ბრალი არ არის, ჩემს ადგილას შეიძლება ნებისმიერი ყოფილიყო.“ R2

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე რესპონდენტმა ქალმა გარეგნობასთან დაკავშირებული, თუმცა კი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული მიზეზი ახსენა, რომელმაც, შესაძლოა, სექსუალური შევიწროების პროვოცირება გამოიწვიოს. მაგალითად, სიმაღლე, ბავშვური იერსახე, სხეულის გამოკვეთილი ფორმები და „გამომწვევი“ ჩაცმულობა (დეკოლტე, მინი კაბა და მსგავსი). თუმცა, ხაზი გაესვა იმასაც, რომ ზევით ხსენებული „სტიმულების“ არსებობა სულაც არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ ქალი სექსუალურად შეავიწროვონ.

„მე რას ვაბრალებ პირადად და მე ვაბრალებ იმას, რომ ჩემი აზრით იმაზე პატარად გამოვიყურები და ისე მაცვია, ვიდრე ვარ და ძირითადად, პატარა ასაკის გოგოებისკენ არის ეს ყურადღება მიმართული, იმიტომ, რომ იციან რომ დაიბნევიან და პასუხს ვერ გასცემენ.“ R3

„შენც ხედავ ხო რეალურად, როგორ ფორმაშიც დავდევია. რეალურად რომ ვიყო ცოტა ისეთი, გამომწვევი ტიპები რომ არიან, ხო ისეთი გოგოები, რომლებსაც, თუნდაც, სხეულის ფორმები აქვთ სავსე და რომ გინდა, არ გინდა გამომწვევები არიან, რაც არ უნდა ჩაიცვან. მე ვარ ისეთი ტიპი, რომ კაკრაზ, რაც არ უნდა ჩავიცვა, გამომწვევი არ ვარ და მაგას ვერ დავაბრალებთ შესაბამისად.“ R6

„ჩემი გამოცდილებიდან რომ ვუყურებ, ხომ არის ვითომ ასეთი ნესი, რომ თუ ხარ გამონვევი, თუ ხარ უფრო სექსუალური, თუ ხარ სახლის გარეთ გვიან და ა.შ. მაშინ გემართება. არც ერთი არ ვარ აქედან, ნუ სახლის გარეთ კი ვარ გვიან, მაგრამ ნუ არც გამომწვევი ვარ, არც სექსუალურად მაცვია და ნუ, მაინც დამემართა, ხო არის ეს მტკიცებულება, რომ მაგას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს?!“ R2

„ბოლოს მკერდზე გააკეთეს კომენტარი. იმიტომ რო კაბა მეცვა ცოტა ისეთი... დეკოლტესმაგვარიანი. და ნუ გავიმეორო რაც დამიძახეს? რა მაგარი ძუძუები გაქვსო, თუ რაღაც ასეთი. ძალიან არასასიამოვნო კომენტარი. ეს მოხდა თავისუფლებაზე სადღაც სალამოს 9-10 საათისკენ. მეგობრებთან ერთად ვიყავი. ზაფხული იყო.“ R5

„ასეთი გამოცდილება მაქვს ბავშვობიდან, რომ რადგან ვარ უფრო მაღალი და უფრო მარტივად შესამჩნევი. ყოველთვის აკეთებენ ჩემზე კომენტარებს ქუჩაში როცა გავივლი... და ნუ ბავშვობაში სხვა ტიპის კომენტარებს აკეთებდნენ, ახლა უფრო არასასიამოვნო სექსუალური ხასიათის კომენტარებს აკეთებენ.“ R5

## 8.7. კორექტირებული ქცევა

სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტები სექსუალური შევიწროების შედეგად განვითარებულ განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ ტრავმებზე არ საუბრობენ, თუმცა, მათ უმრავლესობას ღამით მარტო სიარულის შიში აქვს. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს მნიშვნელოვნად არ შეცვლიათ გადაადგილების ტრავექტორია, არც გადაადგილების საშუალებები (საზოგადოებრივი ტრანსპორტი) და არც დრო, სალამოს/ღამის საათებში განსაკუთრებით ფრთხილობენ და ყურადღებით ათვალთვლებენ სამოძრაო პერიმეტრს, ცდილობენ ჯგუფურად გადაადგილებასაც. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიკროავტობუსში ცდილობს კაც მგზავრებს მოერიდოს და ქალის გვერდით დაჯდეს. რესპონ-

დენტებს შორის ითქვა ისიც, რომ ზოგადად, კაცების მიმართ უნდობლობა აქვთ და ხშირად, კაცებს ჰაბიტუსით აფასებენ, - რამდენად შესაძლებელია რომ მან ქალზე (სექსუალურად) იძალადოს. საყურადღებოა, ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი ქალის კომენტარი, რომლისთვისაც ყველაზე ტრავმული მაინც საზოგადოების მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება და იმის გაცნობიერებაა, თუ „რა დონეზე კიდიათ ადამიანებს ერთმანეთი.“ (R6)

*„იმ დღეს ძალიან შეშინებული ვიყავი. სანამ სახლში მივედი, რავიცი, ალბათ, ორ წუთში ერთხელ უკან ვიხედებოდი. მიუხედავად იმისა, რომ ღამე ზოგადად დავდივარ და შიში არ მაქვს, იმის მერე ძალიან ვფრთხილობ და ანუ თუ უკან ვინმე მომყვება, უკვე ძალიან ცუდი შეგრძნება მაქვს და ვუნელეებ ნაბიჯს, რომ გავატარო ანუ რაღაც შიში მაქვს უკვე.“ R2*


*„კი მქონდა. ვერ ვიტყვი, რომ რაღაც სერიოზული ტრავმა მივიღე, მაგრამ მქონდა შიშები და მგონი დღემდე რაღაც უნდობლად ვარ საპირისპირო სქესის მიმართ.“ R1*

*„ერთი პერიოდი დავინყე აიკიდოზე ვარჯიში. ხო ანუ ჩემი ძმაკაცი.... კარგად ფლობს ძალიან ამ საბრძოლო ხელოვნებას და მეც მასწავლიდა რაღაცეებს და ნუ რამდენიმე იღეთი ვიცი.ხო, კარგად მინდა კიდევ ვარჯიში. მაგის გამო დავინყე რეალურად. კი, თავდასაცავად, იმიტომ რომ იყო მართლა რაღაცა პერიოდი, რომ თითქმის ყოველ დღე რაღაც ეგეთი შემთხვევა იყო, რომ მეთქი, რამე მასწავლეთ.“ R5*

აგრეთვე, საყურადღებოა რაოდენობრივი კვლევის მონაცემები, რომლებიც თვალსაჩინოს ხდის რესპონდენტების შეზღუდულ და, შეიძლება ითქვას, თვით-შეზღუდულ გადაადგილებას საზოგადოებრივ სივრცეში. გამოკითხული ახალგაზრდა ქალების უმრავლესობა [45%] ამბობს, რომ თავს არიდებს ქუჩაში ჯგუფურად მოსიარულე კაცებს/ბიჭებს, 44% აცხადებს,

რომ ცდილობს „მოზირჟავე“ კაცების/ბიჭების წინ არ გაიაროს (იხ.დიაგრამა #5). რიგი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სექსუალური შევიწროების გამოცდილების მქონე ქალები საკუთარ ქცევას თავისივე ნებით ცვლიან, აკონტროლებენ რა სად, როგორ და როდის გადაადგილდნენ/იმოძრაონ საკუთარი თავის დაცვის მიზნით.<sup>148</sup>

**დიაგრამა #5: შეზღუდვები საზოგადოებრივ სივრცეში გადაადგილებისას**



## 8.8. სექსუალური შევიწროების თავიდან არიდების შესაძლებლობები

როდესაც ინტერვიუს მონაწილეებს ვკითხვით, თუ როგორ არის შესაძლებელი საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროების თავიდან არიდება, რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არანაირი ინსტიტუციონალური მექანიზმი არ არსებობს ამ პრობლემასთან საბრძოლველად და რომ აუცილებელია თავად შევიწროების ობიექტმა მკვეთრი რეაგირება მოახდინოს და არ გაჩუმდეს. ეს იქნება შევიწროების განმახორციელებელზე ერთგვარი ზეწოლა და, გარკვეულწილად, იმის საფუძველიც, რომ მას მომავალში შევიწროების ობიექტისგან

148 Esacove A.W. (1998). A Diminishing of Self: Women's experiences of unwanted sexual attention. Available at: <http://people.uncw.edu/hakanr/documents/unwantedsexattention.pdf>

**რეაგირების მოლოგინი გაუჩნდეს და ამ რეაქციის მიმართ შიშ-  
იც.** ერთ-ერთმა რესპონდენტმა დასძინა, რომ შემთხვევაზე  
რეაქცია უნდა იყოს აგრესიულიც კი და, რაც მთავარია, ხმამა-  
ღალი, რათა გარშემომყოფების ყურადღება მიიქციოს.

გამომდინარე იქიდან, რომ ინტერვიუს მონაწილეებისთ-  
ვის ქალების სექსუალური შევიწროება სოციალურ პრობლე-  
მად არის მიჩნეული, რესპონდენტები ფიქრობენ, რომ დიდი  
მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრზე მუშაობას და ამ  
გზით ადამიანების წარმოდგენების და დამოკიდებულების  
შეცვლას: ერთი მხრივ, ქალებმა დუმილი უნდა დაარღვიონ  
და შევიწროებლებს წინააღმდეგობა გაუწიონ, მეორეს მხრივ  
კი, საზოგადოება აღარ უნდა იყოს ტოლერანტული შევიწროე-  
ბის პრაქტიკის მიმართ და აღნიშნული პრობლემად აღიაროს.  
კვლევის მონაწილეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ახალ-  
გაზრდა თაობის სოციალიზაციას ანიჭებენ, რომელიც სექსუ-  
ალური შევიწროების მიმართ მათი ცნობიერების ამაღლებას  
უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციის მიზანმიმართულად  
მინოღების გზით.

რაც შეეხება საპატრულო პოლიციას, როგორც ქალების  
საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროებისგან  
დაცვის მექანიზმს, რესპონდენტებს არაერთგვაროვანი და რიგ  
შემთხვევაში, საკმაოდ სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ.  
რესპონდენტებს შორის გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ პატრუ-  
ლიც სექსუალური შევიწროების მიმართ ტოლერანტულია  
რადგან ა) აღნიშნულს პრობლემად არ მიიჩნევს, ბ) მომხდარში  
შევიწროების ობიექტს, – ქალს ადანაშაულებს და გ) დიდი აღ-  
ბათობით, თავად არის ხოლმე შევიწროებელი.

მეორეს მხრივ, ა) პრობლემას წარმოადგენს სექსუალური  
შევიწროების განმახორციელების იდენტიფიცირება, რო-  
გორც მსხვერპლისთვის, ასევე საპატრულო პოლიციისთვის,  
რამეთუ შევიწროებელს ყოველთვის აქვს კარგი შესაძლე-  
ბლობა საზოგადოებრივ სივრცეში სწრაფად გაუჩინარების/  
მიმალვის. ამდენად, საპატრულო პოლიციისთვის მიმართვა

არ არის ყველაზე ეფექტური გამოსავალი. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, „ჯობია პატრული გამოიძახო, უჩივლო და ცივილურ ფორმებში მოხდეს ყველაფერი, მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ არ ვართ ცივილური ქვეყანა, ისეთი პრევენცია უფრო გაამართლებს, როცა ვინმე გალანძღავს ან ცემს [შემვიწროებელს]“ (R3) და ბ) ქალებს რცხვენიათ მომხდარზე საპატრულოში განაცხადონ. მათ, შესაძლოა, უშუალოდ, პატრულის არ რცხვენოდეთ, მაგრამ ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან და სამეზობლოსთან „სახელის გატეხვის“ შიშით საპატრულოს მაინც არ დაუკავშირდნენ.

„ნუ ვიფიქრე, რომ დავრეკავდი პოლიციაში, მაგრამ ეს ბიჭი თუ კაცი ველარ დავინახე და ნუ აზრი არ ქონდა, ეს პოლიცია მე დამაბრალებდა და ნუ აღარ დავრეკე პოლიციაში.“ R5

„მაგრამ აქაც ჩაკეტილი სივრცეა, იმიტომ რომ ალბათ თუკი პატრულს გამოიძახებს მოვა და ისევ იტყვის რომ არაფერი ისეთი არ მომხდარა. ისიც ჩვეულებრივი კაცი იქნება, რომელიც ალბათ იგივეს აკეთებს, ქუჩაში რომ მიდის გოგოებს თვალს აყოლებს და ა.შ. ანუ ძალიან რთული არის ეს უკვე ამ დონემდე როდესაც არის მისული სიტუაცია, მისი გამოსწორება.“ R3

„უაზრობად ჩავთვალე პოლიციაში დარეკვა... იმიტომ რომ მეტყოდნენ რომ ამ შუაღამისას ამ გოგოს რა გინდა გარეთ და ის ტიპი აქ არ არის და სად არის და ჩვენ სად ვეძებოთ. დამანერბდნენ ოქმს, მერე ეს ოქმი არაფერს არ გააკეთებდა და ნუ დამეზარა, პირდაპირ რომ ვთქვა.“ R6

„სახელმწიფოს მგონი რეალური მექანიზები არ გააჩნია ამ პრობლემის აღსაკვეთად. თუ ეხლა ადამიანი მნიშვნელოვანი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა, რასაკვირველია, აღიძრება საქმე, მაგრამ ასეთ პატარ-პატარა შემთხვევებზე რომ მიხვიდე ეხლა პოლიციაში ყურადღებასაც არ მოგაქცევენ და დაქცინებენ.“ R2

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილე სტუდენტ ქალებს შორის სექსუალური შევიწროების ცნობადობა საკმაოდ მაღალია, – სტუდენტები კარგად აცნობიერებენ სექსუალური შევიწროების დისკრიმინაციულ ხასიათს და აღნიშნული მოვლენის სოციო-კულტურულ საფუძვლებს. ეს, ნაწილობრივ, შეიძლება აიხსნას იმით, რომ რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტების 40%-ს, უნივერსიტეტში სწავლის დროს, მინიმუმ ერთი გენდერის საგანი მაინც აქვს გავლილი, და რაც, თავისთავად, პოზიტიური კორელაციაა. სტუდენტებს შორის ასევე ძლიერია ტენდენცია, რომლის მიხედვით ფიზიკური შეხება და სექსუალურ აქტზე გამოკვეთილად მინიშნება უფრო მეტად ინტერპრეტირდება სექსუალური შევიწროების პრაქტიკად, ვიდრე, მაგალითად, მიშტერება და გარეგნობაზე ვერბალური კომენტარის გაკეთება. თუმცა, სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა შორსაა იმ აზრისგან, რომ შევიწროებლური ქცევა კაცის მხრიდან ქალის მიმართ გაკეთებული „კომპლიმენტი“.

## **თავი 9. ქუჩაში შევიწროების რეპულირება საქართველოში**

საქართველოში არც ერთი ნორმატიული აქტი არ შეიცავს სექსუალური შევიწროების ცნებას და, შესაბამისად, არც მის სხვა ფორმებს, როგორც არის შევიწროება ქუჩასა და სხვა საჯარო სივრცეებში.

მაგალითად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი არეგულირებს წვრილმან ხულიგნობას, რომლის მიხედვით, საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, ისჯება 100 ლარის ოდენობის ჯარიმით; ან, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ჯარიმის გამოყენება არასაკმარისადაა მიჩნეული, – ხდება ადმინ-

ისტრაციულ პატიმრობას შეფარდება 15 დღემდე ვადით.<sup>149</sup>

ქუჩაში შევიწროების აღნიშნული მუხლის დისკურსში განხილვა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად სირთულეებს უკავშირდება. პირველ რიგში, ის ვერ მოიცავს ქუჩაში შევიწროების ყველა იმ გამოხატულებას, რომელიც მას შესაძლოა ახასიათებდეს (მაგ.: დაჟინებული მზერა, გაყოლა, თვალთვალი, სტვენა..). 166-ე მუხლის შემადგენლობა, ძირითადად, ვერბალურად გამოხატულ ქცევაზე ფოკუსირდება მაშინ, როდესაც სექსუალური შევიწროებისას შემვიწროებელი, შესაძლოა, სულაც არ იყენებდეს ქალის შეურაცხყოფის სიტყვიერ ფორმას. ამასთან, აღნიშნული ნორმა შემვიწროებლის მხრიდან ქმედების და მისი შედეგების გაცნობიერებულობას მოიცავს, რაც სექსუალური შევიწროების დროს ასევე არ წარმოადგენს აუცილებლობას. თუმცა, თავად ნორმას განმარტების საკმაოდ ფართო არეალი აქვს, ნორმის გამოყენებითობასა და მის ეფექტურობაზე მსჯელობა მხოლოდ შესაბამისი პრაქტიკის ანალიზის საშუალებით არის განხორციელებადი, თუმცა პრაქტიკის არარსებობა ნორმის ქმედითობის შეფასების შესაძლებლობებს აფერხებს.

მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის საკითხიც. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მსხვერპლს (მზრალდებელს) მართლსაწინააღმდეგო ფაქტის მტკიცების ვალდებულება ეკისრება. ქუჩაში შევიწროებისას მტკიცების ტვირთი არსებითად ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება იყოს. პირველ რიგში, შესაძლებელია შევიწროების ფაქტი ხილული და აღქმადი იყოს მხოლოდ მსხვერპლისთვის (ხშირად ქცევა ხორციელდება ბევრ ხალხში, ან ღამე, როდესაც ხილვადობა არის გართულებული, ასევე შესაძლოა მსხვერპლს მხოლოდ ესმოდეს, მაგრამ ვერ ხედავდეს შემვიწროებელს<sup>150</sup>). ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ მოწმეები არსებობენ, შემვიწროებლის იდენტიფიკაცია მაინც დიდ

149 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 166

150 “Law and Policy on Street Harassment”, Stop Violence Against Woman, A project of the Advocate for Human rights, Available at: [http://www.stopvaw.org/law\\_policy\\_street\\_harassment](http://www.stopvaw.org/law_policy_street_harassment)



სირთულეს უკავშირდება, ვინაიდან, როგორც წესი, ის ადგილიდან მალევე უჩინარდება.

რაც შეეხება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს, ის ასევე არ შეიცავს კონკრეტულ ნორმას საჯარო სივრცეში ქალთა შევიწროების შესახებ. საყურადღებოა, რომ 2012 წლის მარტში სისხლის სამართლის კოდექსში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. კოდექსის 53-ე მუხლს დაემატა მე-3<sup>1</sup> მუხლი, რომლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით და შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. თუმცა, ახალი ნორმა ვერ აგვარებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ისეთ გამოვლინებას, როგორცაა სექსუალური ძალადობა საჯარო სივრცეებში. მაგალითისთვის, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი ეხება ძალადობას, რომლის შემადგენლობაში მოცემულია ძალადობის ორი კატეგორია: სისტემატიური ცემა და სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია. სუბიექტური მხრივ, დანაშაული განზრახია.<sup>151</sup> იგი შეიძლება ჩადენილი იყოს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით, რაც სირთულეს ქმნის ქუჩის შევიწროების ამ მუხლით რეგულირების შემთხვევაში. ამასთან, მართალია „სხვაგვარ ძალადობას“ წინ არ უძღვის მითითება სისტემატიურობაზე, მაგრამ კონტექსტიდან გამომდინარე, მაინც მოიაზრება, რომ ისიც სისტემატიური უნდა იყოს.<sup>152</sup>

სამოქალაქო სამართლის მხრივ საინტერესოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც შელახვისაგან იცავს პირის ღირსებასა და პატივს.<sup>153</sup> „დაცვა

---

151 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, კომენტარები (წიგნი I), თბილისი 2006. გვ. 115

152 იქვე, გვერდი 114

153 მუხლი 18 (2)

ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეულის მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.<sup>154</sup> თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ამ მხრივ პრაქტიკა არ არსებობს, რთულია აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობაზე საუბარი.

საქართველოს 2010 წლის კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-4 მუხლი აყალიბებს კანონის მიზნების უზრუნველყოფას სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, უზრუნველყოფს ოჯახსა და საზოგადოებაში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობას<sup>155</sup>. რეალურად კანონი მეტს არაფერს ამბობს გენდერული ნიშნით ძალადობასა თუ შევიწროებაზე.<sup>156</sup> 2014 წელს მიღებული კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ დაცულ საფუძვლებში სქესსაც უთითებს, არაფერს ამბობს სექსუალურ შევიწროებაზე, რაც კანონის არსებით ხარვეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ, – სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ის მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელიც აკნინებს და აუფასურებს ქალის სტატუსს, იწვევს რა მის გასაგნებას, სექსუალურ ობიექტად ქცევას და ემსახურება პატრიარქალური კულტურით გამყარებული კაცის დომინაციისთვის დაქვემდებარებას. ქუჩაში შევიწროება ქალებს დამატებით ბარიერებს უქმნის თავისუფალი გადაადგილების, პირადი სივრცის დაცვის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კანონი ექსპლიციტურად აცხადებდეს სექსუალური ძალადობის ფორმების (მათ შორის, სექსუალური შევიწროების) არალეგალურობის შესახებ.

ცხადია, ქუჩაში შევიწროების რეგულაციის საკითხი კომპლექსური ხასიათისაა და, შესაბამისად, მისი კანონმდებლობაში ინკორპორირებაც მარტივი არ არის. სიძულვილის ენის მსგავსად, ის შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოვიდეს ისეთ

---

154 მუხლი 18 (6)

155 მუხლი 4 (1)(ვ)

156 კანონი ასევე ეხება გენდერული ნიშნით შევიწროებას, თუმცა მხოლოდ შრომით ურთიერთობებში (მუხლი 6 (1) (ა)(ბ))

ფუნდამენტურ ღირებულებასთან, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება. მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა ნაწილი თვლის, რომ აუცილებელია სიძულვილის ენის რაიმე ფორმით რეგულირება,<sup>157</sup> რამეთუ მას ზიანი მოაქვს, როგორც კონკრეტული პირის, ასევე საზოგადოებისთვის. სიძულვილის ენა, შესაძლოა, მარტივად გადაიზარდოს უფრო მძიმე დანაშაულში. თუმცა, მეორე ნაწილთა მოსაზრებით, სიძულვილის ენის კრიმინალიზაცია ვერ მოაგვარებს პრობლემას, რადგანაც ის ებრძვის პრობლემას და არა მის გამომწვევ მიზეზს. შესაბამისად, ნორმა არაეფექტური იქნება და, უფრო მეტიც, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას მოემსახურება.<sup>158</sup>

გამოხატვის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს და უთითებს, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიტყვისა და აზრის თავისუფლება, რომლის შეზღუდვა დაუშვებელია, თუ ის არ ლახავს სხვათა უფლებებს.<sup>159</sup> საქართველოს უზენაესი კანონი, რომელიც გამოხატვას ფუნდამენტურ უფლებად აღიარებს, უშვებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას ლეგიტიმური მიზეზის არსებობისას, რომლის კონკრეტიზაციას საქართველოს სპეციალური კანონი ეხება, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. ის ადგენს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პირობებს, რომელიც შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვინროდ მიზანმიმართული კანონით და თუ დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.<sup>160</sup> ასევე კანონი ადგენს გამოხატვის შინაარსობრივ რეგულირებას, თუ ის ეხება ცილისწამებას, უხამსობას, პირის შეურაცხყოფას.<sup>161</sup>

---

157 ჯაფარიძე, ს. (2012). სიძულვილის ენა და უმცირესობები. როგორ დავძლიოთ სიძულვილის ენა? ჰაინრიჰ ბილის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო. გვ. 15-16

158 იქვე, გვ.16

159 მუხლი 19 (3)

160 მუხლი 8 (1)

161 მუხლი 10 (1)(ა)(ბ)(გ)

ქუჩის (საჯარო) შევიწროების დისკურსში გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგობაში მოსვლის საკითხი პრობლემურია, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია პროპორციულობის პრინციპი დაცულ სიკეთეებს შორის. ქალის ღირსება და უსაფრთხოება უფრო მნიშვნელოვანია, თუ კაცის უფლება „გამოხატოს თავისი აზრი“ უცხო ქალის მიმართ, რომელიც მის დამცირებას, გასაგნებას, შეურაცხყოფასა და დაშინებას იწვევს. სწორედ, ამიტომ, რეგულირების საკითხზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლებაზე ზოგადად, არამედ თავად გამოხატვის ფორმაზე.

### **თავი 10. შიშაჯამებული დასკვნა და რეკომენდაციები**

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს სამუშაო ადგილებსა და საჯარო სივრცეში ქალთა სექსუალური შევიწროების ამხსნელ თეორიებს და ასევე, საერთაშორისო და ქართულ სამართლებრივ ნორმებს სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებაში. ანგარიშის კვლევითი კომპონენტი, ერთი მხრივ, ანალიზებს ქართველი დასაქმებული ქალებისა და კაცების წარმოდგენებს და დამოკიდებულებებს ქალთა სექსუალური შევიწროების მიმართ, მეორეს მხრივ კი, ქალი რესპონდენტების პირად გამოცდილებას.

საერთაშორისო ლიტერატურისა და კვლევების თანახმად, გენდერული ცნობიერებისა და სენზიტიურობის დაბალი დონე მჭიდრო კავშირშია სამუშაო ადგილებზე გენდერული დისკრიმინაციის პრაქტიკასთან, რაც ასევე კარგად გამოჩნდა ჩვენს მიერ ორგანიზებული ფოკუს ჯგუფების მონაწილე, დასაქმებული ქალების შემთხვევაშიც. მათი ცნობიერება სამუშაო ადგილებზე ქალთა დისკრიმინაციის შესახებ, საერთო ჯამში, საკმაოდ დაბალია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 18-25 წლის რესპონდენტები (26-55 წლის რესპონდენტებთან შედარებით) საკუთარი თუ ნაცნობების გამოცდილების გენდერულ დისკრიმინაციად იდენტიფიცირებას უფრო იოლად ახდენდნენ

და უფრო მოტივირებულებიც იყვნენ ინფორმაცია ჩვენთვის გაეზიარებინათ.

სილრიმისეული ინტერვიუს ნარატივებში განსაკუთრებით კარგად ჩანს, თუ რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალის სექსუალური შევიწროება სასურველობა/არასასურველობის კომპონენტთან. აღნიშნული კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელადობს მაშინ, როდესაც ინდივიდის გენდერული სენზიტიურობის და ცნობიერების დონე დაბალია. შესაბამისად, შევიწროების პრაქტიკის ინტერპრეტაცია-არტიკულაცია ხორციელდება არა გენდერული დისკრიმინაციის ან ქალთა სტრუქტურული ჩაგვრის პერსპექტივიდან, არამედ ორ (ან მეტ) ინდივიდზე დაყვანილი სიტუაციის კონტექსტში, სადაც მოვლენათა განვითარების ლოგიკა მხოლოდ სიამოვნების მიღება/არ მიღების პრინციპზეა დამოკიდებული.

თვისებრივი კვლევის დასაქმებული კაცი რესპონდენტების შემთხვევაში, ქალის მიმართ განხორციელებული სექსუალური შინაარსის ქცევა მხოლოდ მაშინ აღიქმება შევიწროებად, თუ თავად ობიექტი/ადრესატი ქალი თავს დისკრიმინირებულად გრძნობს, მომხდარს ასაჯაროებს და აფიქსირებს, რომ წინააღმდეგია მსგავსი ტიპის ქცევა მის მიმართ ხორციელდებოდეს. მეტიც, კაცი რესპონდენტი ქალის შევიწროების გამომწვევ უმთავრეს მიზეზად თავად ქალს, მის ქალურობას და ე.წ. გამომწვევ ქცევას ასახელებენ. შესაბამისად, რესპონდენტ კაცებს უჭირთ იმის დაშვება, რომ შესაძლებელია შევიწროება ქალის მხრიდან პროვოკაციის გარეშე მოხდეს.

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროებაც ვერბალური, არავერბალური და ფიზიკური ქცევით ვლინდება, დანყებული სექსუალური და/ან სქესზე მიმანიშნებელი შინაარსის ხმამაღალი შეძახილებით, კომენტარებით, სტვენით, მიტყერებით, თვალთვალთ, დადევნებით, გადაკიდებით და დამთავრებული ფიზიკური შეხებითა თუ ფიზიკური ძალადობით (Fairchild et al. 2008, Fileborn 2013).

ჩვენს მიერ გამოკითხული სტუდენტი ქალების უმრავლესობას [62%] საზოგადოებრივ სივრცეში კაცის მხრიდან სექ-

სუალური შევიწროების გამოცდილება აქვს, მეტწილად კი ქუჩასა [44%] და ტრანსპორტში [33%]. როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის შედეგებიდან ნათელია, რომ სტუდენტები კარგად აცნობიერებენ სექსუალური შევიწროების დისკრიმინაციულ ხასიათს და აღნიშნული მოვლენის სოციო-კულტურულ საფუძვლებს. სტუდენტებს შორის ძლიერია ტენდენცია, რომლის მიხედვით ფიზიკური შეხება და სექსუალურ აქტზე გამოკვეთილად მინიშნება უფრო მეტად ინტერპრეტირდება სექსუალური შევიწროების პრაქტიკად, ვიდრე, მაგალითად, მიშტერება და გარეგნობაზე ვერბალური კომენტარის გაკეთება. თუმცა, სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა შორსაა იმ აზრისგან, რომ შემვიწროებლური ქცევა კაცის მხრიდან ქალის მიმართ გაკეთებული „კომპლიმენტი“.

საქართველოში, სექსუალური შევიწროების რეგულირების კუთხით, სერიოზული საკანონმდებლო ვაკუუმი. საქართველოში არსებული არც ერთი ნორმატიული აქტი არ შეიცავს სექსუალური შევიწროების ცნებას და, შესაბამისად, არც მის სხვა ფორმებს, როგორც არის შევიწროება ქუჩასა და სხვა საჯარო სივრცეებში.

აუცილებელია, სექსუალური შევიწროების, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის, სეპარაციული რეგულაცია მოხდეს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონსა და შრომის კოდექსში. ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განისაზღვროს შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება. დასაქმებულთა უფლებების დაცვისა და დისკრიმინაციული ქმედებების პრევენციის მიზნით, სახელმწიფომ კვლავ უნდა დაიწყოს შრომის ინსპექციის შექმნაზე ზრუნვა.

საკანონმდებლო ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ საქართველოში ქალთა და გოგონათა უსაფრთხოება და თავისუფლება, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება, საფრთხის ქვეშ დგას. სახელმწიფო არაქმედითია ამ საფრთხის აღმოფხვრასთან ბრძოლაში. აუცილებელია, დაიწყოს აქტიური მსჯელობა აღნიშნულ პრობლემაზე და სახელმწიფომ ის რეგულაციური

გზები გამოძებნოს, რითაც შრომით ბაზარსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შევიწროების პრევენციას მოახდენს. სახელმწიფომ, შესაბამისი ადმინისტრაციული და სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით, ხელი უნდა შეუწყოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის იდენტიფიცირებას და მის აღმოფხვრას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან არა მხოლოდ რეპრესიული, არამედ საგანმანათლებლო და წამახალისებელი/მხარდამჭერი საქმიანობებით. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო დაინტერესებული იყოს გენდერთან დაკავშირებული რიგი საკითხების კვლევით.

სახელმწიფომ სამუშაო ჯგუფებში უნდა ჩართოს ყველა დაინტერესებული პირი, როგორც საჯარო, ისე სამოქალაქო სექტორი, ქალები და გენდერის ექსპერტები, რათა კოორდინირებულად მოხდეს სექსუალური შევიწროების რეგულაციის ფორმებზე, შინაარსსა და სხვა რელევანტურ ასპექტებზე შეთანხმება. ასევე, მნიშვნელოვანია, აღნიშნული პროცესი ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და საგანმანათლებლო აქტივობების პარალელურად წარიმართოს, რომელიც ორიენტირებული იქნება საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპების პრობლემასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ტრანსფორმაციაზე.

## ბიბლიოგრაფია

1. A victims guide to Sexual Harassment, Chapter two. Quid Pro Quo Sexual harassment and Hostile work Environment Sexual harassment. Available at: <http://www.sexualharassmentlawyer-sanjose.com/online-e-book/chapter-two-quist-pro-quo-sexual-harassment-and-hostile-work-environment-sexual-harassment/>
2. Center for Social Sciences (2014). Gender Discrimination in Georgian Labour Market (Statistical Data). Tbilisi.
3. Benard C., Schlaffer E. (1996). The man in the street: Why he harasses. In Verta T.A., Whittier N., Richardson L. (Eds.), Feminist frontiers IV (pp. 395-398). New York, NY: McGraw-Hill.
4. Berdahl, J. L. (2007). Harassment Based on Sex: Protecting Social Status in the Context of Gender Hierarchy. The Academy of Management Review, Vol. 32, No. 2 (Apr., 2007), p. 641-658
5. Bowman, C. G. (1993). Street Harassment and the Informal Ghettoization of Women, 106 Harvard Literature Review. 517, p.6
6. Buker, M.J. (1998). Can Sexual Harassment Be Salvaged? Journal of Business Ethics, Vol. 17, No. 11 (Aug., 1998), p. 1171-1177
7. Di Leonardo, M. (1981). Political Economy of street harassment, AEGIS: Magazine on ending the violence against women, p. 51-56
8. Esacove A.W. (1998). A Diminishing of Self: Women's experiences of unwanted sexual attention. Available at: <http://people.uncw.edu/hakanr/documents/unwantedsexattention.pdf>
9. European Commission (1999). Sexual harassment at the workplace in the European Union, Luxembourg, Publications Office, p. 48.
10. European Union Agency for Fundamental Rights (2014). Violence against women: an EU-wide survey. Available at: <http://fra.europa.eu/en/project/2012/fra-survey-gender-based-violence-against-women>



11. Fairchild K., Rudman L. A. (2008). Everyday stranger harassment and women's objectification. *Social Justice Research*, 21, 338-357
12. Fileborn, B. (2013). Conceptual understandings and prevalence of sexual harassment and street harassment. Australian center for the study of sexual assault
13. Franke, K.M. (1997). What's wrong with sexual harassment? *Stanford Law Review*, 49, p. 691-772
14. Gelfand, M.J., Fitzgerald, L.F., Drasgow, F. (1995). The Structure of Sexual Harassment: A Confirmatory Analysis across Cultures and Settings. *Journal of Vocational Behavior* 47, p. 164-177
15. GFK (2014). Unsafe and harassed in public space: a national street harassment report. Available at: <http://www.stop-streetharassment.org/our-work/nationalstudy/>
16. Heben, T. (1994). A Radical Reshaping of the Law: Interpreting and Remediating Street Harassment. *South California's Review of Law and Women's Studies* 183
17. Kachkachishvili, I., Nadaraia, Kh., Rekhviashvili, B. (2014). Men and Gender Relations in Georgia", UNFPA. Available at: <file:///C:/Users/UCSS10/Downloads/Men-and-Gender-Relations-in-Georgia.pdf>
18. McCann, D. (2005) Sexual Harassment at Work: National and International responses. *Conditions of Work and Employment Series No. 2*, International Labour Organization
19. Numhauser-Henning, A. and Laulom, S. (2011). Harassment related to sex and sexual harassment law in 33 European Countries, discrimination versus dignity. Available at: <http://www.ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your-rights/final-harassment-en.pdf>.
20. Deirdre, D. "The Harm that Has No Name: Street Harassment, Embodiment, and African American Women." In *Gender Struggles: Practical Approaches to Contemporary Feminism*, edited by Constance L. Mui and Julien S. Murphy. Oxford: Rowman & Littlefield Publishers, Inc., 2002: 214-225.

21. Oshynko, N. A. (2002). No Safe Place: The legal Regulation of Street Harassment, The university of British Columbia, p. 36
22. Pierce, C.A. and Anguinis, H. (1997). Bridging the gap between romantic relationships and sexual harassment in organizations, *Journal of Organizational Behavior*, 18(3) p.197-200
23. Pina A., Gannon, T.A., Saunders B. (2009). An overview of the literature on sexual harassment: Perpetrator, theory, and treatment issues. Psychology Department, Keynes College, University of Kent, Canterbury KENT CT2 7NP, United Kingdom
24. Seigel, R.B. (2003). A Short History of Sexual Harassment. Available at: <http://www.law.yale.edu/documents/pdf/Faculty/Siegel-IntroductionAShortHistoryOfSexualHarrasmentLaw.pdf>
25. Shoenfelt, E. Maue, A., Nelson, J. (2002). Reasonable person versus reasonable woman: does it matter? *Journal of Gender, Social policy & the Law*, 10(3) p.648
26. Thompson, D. "The woman in the street: Reclaiming the public space from sexual harassment" *6 Yale Journal of law and feminism*, 1994, pg. 313 (As Cited in Norma Anne Oshynko "No Safe Place: The legal Regulation of Street Harassment", The university of btirish Columbia, May 2002.pg. 20)
27. UNDP (2013). Society's Attitudes to Gender Equality in Politics and Business, Available at: <http://ungeorgia.ge/uploads/GE-UNDP-Gender-Research-GEO.pdf>
28. Welsh. S. (1999). Gender and Sexual Harassment Annual Review of Sociology, 25 p. 169-190
29. Welsh S., Carr J., MacQuarrie B., Huntley A. (2006). I'm Not Thinking of It as Sexual Harassment: Understanding Harassment across Race and Citizenship. *Gender and Society*, . 20 (1), p. 87-107.
30. West, R., (1989). Pornography as a Legal Texts, in *For Adults Only: The Dilemma Of Violent Pornoghraphy* 108, 111(Susan Gubar and Joan Hoff eds.,1989) (As cited by Cynthia Grant Bowman "Street harassment and the informal ghettoization of women". Harvard Law Association, 1993, p. 3)

31. ჯაფარიძე, ს. (2012). სიძულვილის ენა და უმცირესობები. როგორ დავძლიოთ სიძულვილის ენა? ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო.

#### **პრეცედენტული სამართალი:**

- Amaani LYLE, Plaintiff and Appellant, v. WARNER BROTHERS TELEVISION PRODUCTIONS et al., Defendants and Respondents. No.B160528. Decided: April 21, 2004
- Bihun v. AT&T Information Systems, Inc. (1993) 13 Cal.App.4th 976 , 16 Cal.Rptr.2d 787
- Coleman v. Attridge Law, Steve Law, ECJ judgment, C-303/06, 17 July, 2008
- Goluszek V. Smith, no. 86 C 8412.697 F.Supp. 1452 (1988)
- Meritor Savings Bank v. Vinson, 477 U.S. 57 (1986)
- Steiner V. Showboat Operating Company no. 25 F3d 1459
- Wayne Mogilefsky v. 20 Cal. App. 4<sup>th</sup> 1409 (1993) 26 Cal. Rptr. 2d 116.

#### **საერთაშორისო დოკუმენტები:**

- BRANDENBURG v. OHIO, 395 U.S. 444 (1969)395 U.S. 444.
- CEDAW General Recommendation No.12, 1989
- CEDAW General Recommendation No. 19 on violence against women, 1992
- CEDAW/C/GEO/CO/4-5, 24 July 2014
- Declaration on the Elimination of Violence against Women, General Assembly Resolution 48/104 of 20 December 1993, 85<sup>th</sup> plenary meeting.
- Code du Penal de Belgique
- Commission on the Status of Women Report on the fifty-

seventh session(4-15 March 2013)Economic and Social Council,  
Official Records, 2013Supplement No. 7

- EU Council Directive 2006/54/EC(recast)
- EU Directive 2000/78/EC
- EU book on sexual harassment
- European Gender Equality law review-No. 2/2011
- Estonia, Employment contract act
- Estonia, Equal treatment act
- Estonia, gender equality act
- Finland, Act on Equality between man and women of (Amendments up to 2005 included)
- France, Code du Travail
- General Recommendation No. 19 ( II<sup>th</sup> session, 1992)Violence against women
- Germany, General Act on Equal Treatment
- Giving Globalization a Human Face, General Survey on the fundamental Conventions concerning rights at work in light of the ILODeclaration on Social Justice for a Fair Globalization, Report III (Part 1B), 2008
- ILO, Brochure, Fact Sheet on sexual harassment at work
- ILO: Committee of Experts: Special Survey on the application of Convention No.111 on discrimination in Employment and Occupation, Geneva, 1996.
- ILO, Direct Request (CEACR)-adopted 2013, published 103<sup>rd</sup> ILC session (2014), Georgia.
- ILO: Equality in Employment and Occupation: Special Survey on equality in employment and occupation in respect of Convention No.111, Geneva, 1996.
- Israel: prevention of sexual harassment law
- Journal of Laws of 2010, No. 254, item 1700, ACT of 3rd December, 2010 on the implementation of some regulations of

European Union regarding equal treatment.

- Loi à lutter contre le sexisme dans l'espace public, Service Public Federal Interieur et Institut Pour L'Egalite des Femmes et des Hommes, Publié le : 2014-07-24
- Penal Code of Canada
- Philippines: Anti-Sexual Harassment Act, Article 3.
- Poland, Labor code
- Protection from Harassment act 17 of 2011, South Africa
- Report on Sexual Harassment in the workplace in the EU member states, Government of Ireland, 2004
- UN Women, Creating Safe Public Spaces, Available at: <http://www.unwomen.org/en/what-we-do/ending-violence-against-women/creating-safe-public-spaces>
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10 (2)
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010
- საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 2014
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, კომენტარები (წიგნი I), თბილისი 2006

## ინტერნეტ რესურსები:

- Australian Human Rights Commission  
<https://www.humanrights.gov.au/sexual-harassment-know-where-line>
- Chimamanda Ngozi Adichie “*The danger of a single story*”, TedTalk  
<http://www.ted.com/talks/chimamanda-adichie-the-danger-of-a-single-story?language=en>
- Femme de la Rue: sexism on the streets of Brussels <https://www.youtube.com/watch?v=H0uQInTECI4>
- Hollaback! Brussels and Hollaback! Ghent  
<http://brussels.ihollaback.org/>
- Law and Policy on street harassment, Stop Violence Against Women, The Advocates for Human Rights, <http://www.stopvaw.org/law-policy-street-harassment>
- Stop Sexual Harassment in Egypt, The Egyptian initiatives. See: <http://egyptianinitiatives.com/stopsexualharassment.html>
- Stop Street Harassment, <http://www.stopstreetharassment.org/resources/definitions/>
- Ten Hours of Walking in NYC as a Woman  
<https://www.youtube.com/watch?v=b1XGPvbWn0A>
- The New York Times, Street Harassment Law Would Restrict Intimidating Behavior, published on November 2014, <http://www.nytimes.com/roomfordebate/2014/10/31/do-we-need-a-law-against-catcalling/street-harassment-law-would-restrict-intimidating-behavior>
- „ძალადობაზე, ბრალზე, სირცხვილსა და სხვა დანარჩენზე...” ინტერვიუ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან, ფილოსოფოს თათა ცოფურაშვილთან.  
<http://www.24saati.ge/weekend/story/44279-dzaladobazebralzesirtskhvilsadakhvadanarchenze>